საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
22 სექტემბერი **ხუთშაბათი** 2011
№ 223 (13 520) ფასი 80 თეთრი

# ასეთი რამ სეზონში ერთხელ ხდება

## დილამ ზესტაფონში ოთხი უპასუხო გოლი გაიტანა

## ქართული კლასიკო ქუთაისური სიურპრიზით

2



არჩილ გეგენავას ფოტო

### მოსალოდნელი ტრანსფერი

# კანტუ თუ ვეფი?




ბერძნულმა საიტებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომლის თანახმად 22 წლის გიორგი შერმადინმა შესაძლოა ახალ სეზონში მანუჩარ მარკოიშვილის გვერდით „კანტუში" ითამაშოს:

„იტალიური „კანტუ" ურთიერთობის გაწყვეტას აპირებს ბელარუს ცენტრ, 211-სანტიმეტრიან არტიომ პარახუსკისთან და მის შემცვლელად გიორგი შერმადინი შეუგულებია. ქართველი ცენტრი ბერძნული „პანათინაიკოსის" საკუთრებაა. კონტრაქტს ვადა ერთ წელიწადში ეწურება, ხოლო ბოლო სეზონში შერმადინმა 550 ათასი ევრო უნდა აიღოს. იტალიური კლუბი ესოდენ დიდი თანხის გადამხდელი არ არის და ცდილობს „პანათინაიკოსი" იჯარაზე დაითანხმოს."

გუშინვე კიდევ ერთი საინტერესო ამბავი გავიგეთ: შერმადინის დამატება ლატვიის ჩემპიონ „ვეფ რიგასაც" სურს.

დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

ვაჟა სიმონიშვილი

### ინტერვიუ დავით უსტიაშვილთან

# რატომ არ აიღო კოკოშკოვმა მაკედონიასთან ჯარიმა?

10




ბესიკ ჯანგავაძე მასტერტონიდან

lariwin.com
the better way to play
მეტი, ვიდრე თამაში
რეპორტაჟების სპონსორია ონლაინ კაზინო „ლარივინი"

### როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE



8-9

# ქართული სამზარეულოს დღე მასტერტონში

## საქართველოს ჩემპიონატი | III ტურის გამოტოვებული მატჩები

21.09. ქუთაისი. ტორპედო.
3 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ტორპედო | 2 |
| დინამო | 1 |

1:0 დოლიძე (6. ბოლქვაძის პასით), 2:0 მეგრელაძე (10. დოლიძის პასით), 2:1 იაგუე (41.ოდიკაძის პასით)

| ტორპედო | დინამო |
|---|---|
| 4-1-4-1 | 4-2-3-1 |
| მიგინეიშვილი | ლორია |
| ფოფხაძე | ოდიკაძე |
| გამეზარდაშვილი | კაკუბავა |
| ს. თოდუა | პომოლა |
| გურული | თომაშვილი |
| დილმელაშვილი | ალვარო |
| დოლიძე | კოშკაძე |
| დ. ბოლქვაძე | კვეკვესკირი |
| გ. დათუნაიშვილი | კოტო |
| თარხნიშვილი | ლექვთაძე |
| მეგრელაძე | იაგუე |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| გ. სუხიაშვილი | ა. გარსია |

**ტორპედო**

65. გურული - **ჩიკვილაძე**
71. დოლიძე - **საგანაძე**
78. მეგრელაძე - **გოცირიძე**

*სათადარიგოები: ქვილითაია, ფარულავა, ტაბატაძე, კუხიანიძე*

**დინამო**

63. ლექვთაძე - **ჩისკო**
71. კოტო - **კახელიშვილი**
84. ალვარო - **ფანცხავა**

*სათადარიგოები: გრიშიკაშვილი, რეხვიაშვილი, ჯილაური, თექთურმანიძე*

გაფრთხილება: ფოფხაძე (24), დათუნაიშვილი (49), კაკუბავა (68), ჩისკო (83), თარხნიშვილი (90)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

# ქუთაისური სიურპრიზი

ქართული „კლასიკოს" დროს ქუთაისის ცენტრალური არენა ყოველთვის გადაჭედილი იყო, თუმცა ამჯერად მაყურებელმა სანახევროდაც არ შეავსო სტადიონი. ამის მიზეზი ქუთაისელ გულშემატკივართა ბოლოდროინდელი იმედგაცრუება გახლდათ. ქომაგებს გუნდის მიმართ ნდობა ჰქონდათ დაკარგული და „დინამოსთან" მატჩამდეც ნეგატიურ პროგნოზს აკეთებდნენ. ქუთათურები ლიდერთან დაპირისპირებას არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში ხვდებოდნენ: „მეტალურგთან" წაგების შემდეგ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგა **გიორგი კიკნაძე**, რიონისპირელთა დროებით დამრიგებელს **გიორგი სუხიაშვილს** კი გუნდის მოსამზადებლად ფაქტობრივად დროც არ ჰქონდა; მაგრამ, სუხიაშვილისა და მისი ასისტენტის **კახა ჩხეტიანის** სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ გუნდის საბრძოლოდ განწყობა და „დინამოსთან" გამარჯვების მოპოვება მოახერხეს. სხვათა შორის, შეხვედრას სტუმართა ლოჟიდან **გია გეგუჩაძეც** ადევნებდა თვალს, რომელმაც „ტორპედოსთან" ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და მალე მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შესრულებასაც შეუდგება...

სუხიაშვილმა წინა მატჩისგან განსხვავებით ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება განახორციელა. ყველაზე თვალშისაცემი მარცხენა მცველად **ჩიკვილაძის** ნაცვლად **გურულის** დაყენება იყო. ამასთან ერთად, ძირითადს დაუბრუნდნენ **თოდუა, მეგრელაძე** და **თარხნიშვილი**.

მატჩი საკმაოდ საინტერესო და დაძაბული გამოდგა. პირველი ტაიმი მეორეზე გაცილებით სანახაობრივი იყო. შეხვედრა ისე დაიწყო, რომ ადგილობრივი გულშემატკივრები უკეთესს ვერ ინატრებდნენ: მასპინძლები მე-10 წუთზე უკვე 2:0 იგებდნენ! პირველი გოლისას მარცხენა ფრთაზე **ბოლქვაძემ** იაქტიურა, რთული სიტუაციიდან **დოლიძეს** საჯარიმოს მისადგომებთან ჩაუწოდა, ამ უკანასკნელმაც შეუჩერებლად დაარტყა და ბურთი **ლორიას** კარის მარცხენა დაბალ კუთხეში მოათავსა. სამიოდე წუთში „ტორპედომ" უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა: კონტრშეტევისას ბოლქვაძემ მეკარესთან პირისპირ ერთბაშად ორი ტორპედოელი დატოვა, დოლიძემ მეგრელაძეს უპასა და ქუთაისელთა მეგოლემ შანსი ხელიდან არ გაუშვა-2:0. დინამოელები მიიჩნევდნენ, რომ ამ ეპიზოდში თამაშგარე იყო, თუმცა არბიტრმა გოლი დააფიქსირა. ორბურთიანი ჩამორჩენა **გარსიას** შეგირდებისთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. თბილისელები კომბინაციური თამაშის აწყობას ცდილობდნენ, თითქოსდა ბურთსაც კარგად აკონტროლებდნენ, მაგრამ საგოლე მომენტების შექმნა უჭირდათ. **კოშკაძის** საჯარიმო დარტყმას **მიგინეიშვილი** იოლად გაუმკლავდა, საპასუხო იერიშისას კი „ტორპედოს" კიდევ შეეძლო გატანა, მაგრამ დოლიძემ მახვილი კუთხიდან უზუსტოდ დაარტყა, როცა შეეძლო, ბურთი უკეთეს პოზიციაში მყოფი მეგრელაძისთვის ან თარხნიშვილისთვის გადაეწოდებინა. შეტევაში მყოფ დინამოელებს ხშირად დაცვა მოშიშვლებული რჩებოდათ, მაგრამ ამით მასპინძლებმაც ვერ ისარგებლეს. საყურადღებოა, რომ ისინი ძალიან ხშირად ხვდებოდნენ თამაშგარეში. ტაიმის ბოლოს გარსიას გუნდი კიდევ უფრო გააქტიურდა. **ალვაროს** ჯარიმა მიგინეიშვილმა მოიგერია, **ლექვთაძის** ძლიერი დარტყმა კი მიზანს ასცდა. თბილისელთა მორიგი შეტევა გოლით დაგვირგვინდა. **ოდიკაძემ იაგუეს** ფლანგზე გრძელი გადაცემა გაუკეთა, ქუთაისელთა მცველებმა და მეკარემ უხეში შეცდომა დაუშვეს და ესპანელს მახვილი კუთხიდან კარის აღების საშუალება მისცეს.



არჩილ გეგენავას ფოტო

მართალია, მეორე ტაიმი პირველი ნახევარივით კარგი საცქერი არ გამოდგა, მაგრამ ბრძოლა და მონდომება ფეხბურთელებს შესვენების შემდეგაც არ აკლდათ. შესაბამისად მატჩიც დაძაბულად მიმდინარეობდა. ტაიმის დებიუტშივე მეგრელაძეს მიეცა გოლის გატანის შანსი, მაგრამ მისი ძლიერი დარტყმა მიზანს ასცდა. დასამახსოვრებელი იყო კოშკაძის მახვილი კუთხიდან შესრულებული საჯარიმო დარტყმა, რომელიც მიგინეიშვილმა აკრობატულ ნახტომში მოიგერია. ალექს გარსიამ მატჩის გადასარჩენად შეცვლებს მიმართა, თუმცა „ტორპედოს" მცველებს შეცდომა აღარ დაუშვიათ, მეტოქეს კარგად დაუდგნენ და „დინამოს "რეალური საგოლე შანსი არც კი მისცემია. ბოლოს კი ქუთათურებმა ბურთის დაჭერაც მოახერხეს და შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანეს.

**მატჩის შემდეგ**

**ალექს გარსია:** *„პირველ ათ წუთში მიუტევებელი შეცდომები დავუშვით, რაც ორ გაშვებულ გოლად დაგვიჯდა. შემდეგ ტერიტორიული უპირატესობა გვქონდა, მაგრამ ორბურთიანი ფორის გაბათილება ველარ შევძელით".*

**გიორგი სუხიაშვილი:** *„გუნდის მოსამზადებლად ძალიან ცოტა დრო გვქონდა. ფეხბურთელებს საწყის 10 წუთში „დინამოს" ნახევარზე ყოფნა და მეტოქის „მოხრჩობა "დავავალეთ, რამაც კარგი შედეგი გამოიღო, სწრაფი გოლები გავიტანეთ და ამან ჩვენი გამარჯვება განაპირობა".*

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

21.09. ზესტაფონი. დ. აბაშიძე.
1 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ზესტაფონი | 0 |
| დილა | 4 |

0:1 რაჟამაშვილი (40), 0:2 დ. ჩაგელიშვილი (45), 0:3 ახალკაცი (48), 0:4 ნემსაძე (60)

| ზესტაფონი | დილა |
|---|---|
| 4-4-2 | 4-5-1 |
| რ. კვასხვაძე | მერლანი |
| ალადაშვილი | ლ. ჩაგელიშვილი |
| გ. ონიანი | ქარქუზაშვილი |
| მ. კოზახიძე | მაჭავარიანი |
| ელიავა | ო.გველესიანი |
| ძარია | ვ. ხორგუაშვილი |
| გორგიაშვილი | ჯოჯუა |
| შ. გრიგალაშვილი | ახალკაცი |
| ბაბუნაშვილი | პ. ხორგუაშვილი |
| გელაშვილი | რაჟამაშვილი |
| წინამძღვრიშვილი | დ. ჩაგელიშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. ჭიაბრიშვილი | გ. ცეცაძე |

**ზესტაფონი**

45. გ. ონიანი – **საჯაია**
46. ბაბუნაშვილი – **სარდალიშვილი**
62. წინამძღვრიშვილი – **ს. ლომია**

*სათადარიგოები: მამალაძე, გაგოშიძე, თ. გრიგალაშვილი, ფიფია*

**დილა**

58. ვ. ხორგუაშვილი – **ნემსაძე**
73. ახალკაცი – **ბაქრაძე**
80. პ. ხორგუაშვილი – **სადალაშვილი**

*სათადარიგოები: შეყრილაძე, ჭითანავა, ი. ბერაია, ნ. ნოზაძე*

გაფრთხილება: ახალკაცი (42), საჯაია (78)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

# ასეთები სეზონში ერთხელ ხდება

## დილამ ისტორია შექმნა, ზესტაფონიდან მეკარე საუკეთესო იყო

ზესტაფონში გამაოგნებელი ამბავი მოხდა – სულაც არ იქნებოდა გასაკვირი, საქართველოს ჩემპიონებს ქულები რომ დაეკარგათ, არც მათი საშინაო მარცხი იქნებოდა იშვიათი სენსაცია, მაგრამ 0:4 ის ანგარიშია, რომელზეც ქართული საფეხბურთო სამყარო კიდევ დიდხანს ილაპარაკებს. წინა ტურში ბოლნისში ნათლად გამოჩნდა, რომ "ზესტაფონი" ოპტიმალური ფორმისგან შორსაა, მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგენდით, ფეროელები ასე ძალიან თუ იყვნენ მოშლილები.

ახლა უკვე უდავოა, რომ "ზესტაფონში" საქმე ვერ არის სახარბიელოდ და რაც მალე გამოსწორდება მდგომარეობა, მით უკეთესი იქნება თავად კლუბისთვისაც და ზოგადად, ქართული ფეხბურთისთვისაც. დაგვეთანხმებით, ჩემპიონის დაძაბუნება საქართველოს ჩემპიონატის დონეზე სასიკეთოდ არ იმოქმედებს.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ბუნებრივია, ასეთი შესანიშნავი და არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, ისტორიული მიღწევა არ უნდა დავუკარგოთ "დილას". გორელებმა საკუთარი შემტევი სტილით ეს სეზონი უკვე გაალამაზეს, გუშინდელი გამარჯვებით კი ჩემპიონატისა და ვინ იცის, სეზონის უმთავრესი სენსაციის ავტორები გახდნენ.

შიდაქართლელებმა გუშინ თამაში კონტრშეტევებზე ააგეს და მათი უმრავლესობა გოლებით დაასრულეს. თქვენ წარმოიდგინეთ, "დილას" ოთხზე მეტი გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ "ზესტაფონის" შემადგენლობაში საუკეთესო იყო მეკარე **როინ კვასხვაძე**, რომელიც გორელთა იერიშებს, ფაქტობრივად, მარტოდმარტო უმკლავდებოდა. "ზესტაფონმა" კი პრესტიჟის გოლის გატანაც ვერ შეძლო...



როინ კვასხვაძე

"დილამ" იმდენად დამაჯერებლად გაიმარჯვა, რომ ზესტაფონელი ქომაგების სიმპათიაც კი დაიმსახურა. ადგილობრივმა ფან-კლუბმა გორელები აპლოდისმენტებით გააცილა...

**ნიკა გვათუა**
ზესტაფონიდან

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | 6 | 4 | 1 | 1 | 12 | 6 | 13 |
| 2 | ბაია | 6 | 4 | 0 | 2 | 10 | 4 | 12 |
| 3 | მეტალურგი | 6 | 3 | 2 | 1 | 6 | 2 | 11 |
| 4 | ზესტაფონი | 6 | 3 | 2 | 1 | 10 | 10 | 11 |
| 5 | გაგრა | 6 | 3 | 1 | 2 | 9 | 6 | 10 |
| 6 | ტორპედო | 6 | 3 | 0 | 3 | 6 | 6 | 9 |
| 7 | მერანი | 6 | 2 | 2 | 2 | 6 | 8 | 8 |
| 8 | ვიტ ჯორჯია | 6 | 2 | 2 | 2 | 6 | 8 | 8 |
| 9 | დილა | 6 | 2 | 1 | 3 | 11 | 9 | 7 |
| 10 | კოლხეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 3 | 8 | 5 |
| 11 | სპარტაკი | 6 | 0 | 3 | 3 | 2 | 6 | 3 |
| 12 | სიონი | 6 | 0 | 2 | 4 | 3 | 11 | 2 |

## U17



ფოტო: www.gff.ge

# ელიტრაუნდი გამარჯვებით დავიწყეთ

**საქართველო–ბულგარეთი 3:2**

21.09. ტირასპოლი. დინამო

**0:1 პეტკოვი (17), 1:1 ჭეჭელაშვილი (19. პენ.), 2:1 ახვლედიანი (23), 3:1 პაპუნაშვილი (69), 3:2 პეტკოვი (71)**

საქართველო: **ადამია, გაბაძე, ნ. ჭანტურია, ჩაკვეტაძე, გოროზია (52. ლ. დვალი), აბურჯანია (41. ცინცაძე), ჭეჭელაშვილი, პაპუნაშვილი, მაჭავარიანი, ახვლედიანი, რ. ჭანტურია (71. კერძევაძე)**

*სათადარიგოები: შერმადინი, კაკაბაძე, ქებურია, დარციმელია*

ბულგარეთი: **კიტანოვი, მიცალკოვი, ილიევი, კალპაკლიევი, პეტკოვი, კოლევი, მინჩევი (58. ვასილევი), დრიანოვი, მიხაელ ორაჩევი, მიკი ორაჩევი (76. მაიმუნკოვი), ჩობანოვი (58. ანგელოვი)**

*სათადარიგოები: დიმიტროვი, ზდრავჩევი, მიხაილოვი, იუსეინი*

გაფრთხილება: **კალპაკიევი (19), ნ. ჭანტურია (70), ახვლედიანი (76), ჩაკვეტაძე (80), ილიევი (80)**

არბიტრი: **ნ. დაბანოვიჩი (ჩერნოგორია)**

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ბულგარეთთან ეფექტური გამარჯვებით დაიწყო. **ვასილ მაისურაძის** გუნდმა მოლდოვური მინი-ტურნირის პირველ ტურში ბულგარეთს მინიმალური სხვაობით, მაგრამ მაინც დამაჯერებლად სძლია და ელიტრაუნდისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა.

მატჩი ძალიან სანახაობრივი გამოდგა, ორივე გუნდმა აქცენტი შეტევაზე გააკეთა, რითაც თავიდან ბულგარელებმა იხეირეს, მაგრამ მოედანზე მოვლენები სულ მალე სხვანაირად განვითარდა. ქართველებს ანგარიშის გასათანაბრებლად ორიოდე წუთი დასჭირდა. **ჭიაბერ ჭეჭელაშვილის** ზუსტ თერთმეტმეტრიანს კი ოთხ წუთში **ნიკა ახვლედიანის** გოლი მოჰყვა.

ჩვენმა გუნდმა უპირატესობა მეორე ტაიმშიც განავრცო და **გიორგი პაპუნაშვილმა** ბულგარელები მძიმე დღეში ჩააგდო. მეტოქემ მხოლოდ პრესტიჟის გოლის გატანაღა შეძლო.

ხვალ საქართველოს ნაკრები მასპინძელ მოლდოვას ეთამაშება.

**შვედეთი–მოლდოვა 3:0**

**1:0 გერმანი (31. ს.კ.), 2:0 ოლსონი (39), 3:0 კუაკუ (48)**

მასპინძლებმა შვედებს იოტისოდენა წინააღმდეგობაც კი ვერ გაუწიეს და როგორც მოსალოდნელი იყო, ჯგუფის აუტსაიდერებად იქცნენ. მართალია, პირველი ტურის შემდეგ ცხრილში შვედეთს ჩამოვრჩით, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა ნამდვილად არ აქვს, ელიტრაუნდში პირველი ადგილით გავალთ თუ – მეორეთი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 2. საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | 3-2 | 3 |
| 3. ბულგარეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 2-3 | 0 |
| 4. მოლდოვა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილა

# დააფინანსებს ახალი გუბერნატორი გუნდს?


გია ცეცაძე

შიდა ქართლის გუბერნატორი **ზურაბ არსოშვილი** ენერგეტიკის მინისტრის მოადგილედ გადაიყვანეს, მის თანამდებობაზე კი გორის მაჟორიტარი დეპუტატი **გიორგი ტატიშვილი** დანიშნეს.

გუბერნატორის შეცვლა საფეხბურთო თემა იმიტომ გახდა, რომ კლუბის დაფინანსება ხშირად ამ თანამდებობის პირთა პიროვნულ შეხედულებაზეა დამოკიდებული. გორის "დილას" ალმავლობა კი 2010 წლის 10 ივლისიდან, ზურაბ არსოშვილის გუბერნატორად დანიშვნის შემდეგ დაიწყო. თბილისის "დინამო 2"-ისა და "არსენალის" ყოფილმა მოთამაშემ ერთ-ერთი პირველ ამოცანად საფეხბურთო კლუბის აღორძინება დაისახა – "დილა" მაშინ რეგიონული ლიგიდან პირველს დაუბრუნდა, არსოშვილს კი გუნდის გაძლიერება და უმაღლესში დაბრუნება სურდა.

ასეც მოხდა, "დილა" მოღონიერდა, ბოლო წლებში პირველად გაუჩნდა რეალური პატრონი, მიიწვიეს ახალგაზრდა და ბევრისთვის უცნობი სპეციალისტი **გია ცეცაძე**, რომელმაც საინტერესო მოთამაშეთა მთელი ჯგუფი მიიყვანა. სახელდახელოდ შეკრებილი ფეხბურთელებით "დილამ" გადათამაშებამდე მიაღწია, "სამტრედია" 2:0 დაამარცხა და ქართული ფეხბურთის ელიტას დაუბრუნდა. ამას გარდა, გუბერნატორი გუნდების აღდგენას კასპში, ქარელსა და ხაშურში აპირებდა.

რაც მთავარია, "დილა" უმაღლეს ლიგაში ფეხბურთით დაბრუნდა და არა უსახური თამაშით, რასაც ყველა მწვრთნელი აღნიშნავს, მაყურებელს კი სტადიონზე ასეთი ფეხბურთი იზიდავს. აქვე ისიც ვთქვათ, რომ გორელებმა ზესტაფონში გუშინდელი ხმაურიანი გამარჯვებით იმიჯი კიდევ უფრო აიმაღლეს და რვა საუკეთესო გუნდში მოხვედრის არცთუ ურიგო შანსიც გაუჩნდათ.

გუბერნატორს კლუბის შენახვის არანაირი ვალდებულება არ გააჩნია, კანონშიც სოციალურ სფეროებში ფეხბურთის პატრონობა არ არის მითითებული და არავინ იცის, შეინახავს თუ არა მომავალში "დილას", რომლის დაფინანსებისთვისაც მილიონ ლარამდე უკვე გამოყოფილია. ცხადია, ბიუჯეტში შეტანილ ხარჯს ახალი გუბერნატორი ვერ აკრძალავს, მაგრამ რა იქნება ახალი წლიდან? ფეხბურთის დაფინანსება ხომ ყოველ ახალდანიშნული გუბერნატორის პიროვნულ მიდგომაზეა დამოკიდებული.

უიმედოდ მაინც არ არიან, გია ცეცაძემ გვითხრა, რომ გიორგი ტატიშვილმა გუნდს აცნობა, დაფინანსების შემცირებას კი არა, გაზრდას აპირებს. საფეხბურთო სამყაროში პრემიერ **ნიკა გილაურისაც** ეიმედებათ, რომელმაც ყველა გუბერნატორს სიტყვიერი მითითება მისცა, რომ ფეხბურთს მიხედონ. თუ ასეა, ძალიანაც კარგი. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, რომ უმაღლესი ლიგის გუნდებს მაინც არ შეექმნეთ დაფინანსების შემცირების თუ გაუქმების საფრთხე, მილიონი ლარი კი ფეხბურთისთვის მზესუმზირის თანხაა.

ცხადია, 21-ე საუკუნეში საფეხბურთო კლუბის არსებობის საუკეთესო ფორმა კერძო საკუთრებაა, მაგრამ გასულ წელს განსახელმწიფოებრიობის მცდელობა კრახით დასრულდა. სწორედ ამიტომ არის საჭირო საბაზისო მდგომარეობის შესანარჩუნებლად სახელმწიფოს დახმარება. ბოლო წლებში ამ მხრივ სასაყვედურო მაინც არ არის, ბიუჯეტიდან ფეხბურთს და სპორტს შეძლებისდაგვარად სოლიდურად ეხმარებიან.

თუმცა სიტყვიერ მითითებასა და პიროვნულ დამოკიდებულებაზე უკეთესი საფეხბურთო კლუბების კანონის საფუძველზე (როგორც სოციალური სფეროს) მინიმალური დაფინანსება იქნება. მერე ბიუჯეტის იმედად მყოფ არც ერთ კლუბში აღარ დაინტერესდებიან, გუბერნატორად ვის ნიშნავენ და უყვარს თუ არა მას ფეხბურთი.

**მერაბ მამულაშვილი**

საავარაუდო ტრანსფერი

# ირტიშს კვახაძე სურს

ყაზახურ „ირტიშს", რომელიც რუსთავის „მეტალურგს" ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე დაუპირისპირდა და ქართულ გუნდთან ორმატჩიან პაექრობაში დამარცხდა, რუსთაველთა კაპიტნის **ალექსანდრე კვახაძის** შეძენა სურს.

კვახაძის მიმართ სიმპათია პავლოდარელთა თავკაცს **ტალგატ ბაისუფინოვს** არც პირველი მატჩის შემდეგ ჩატარებულ პრესკონფერენციაზე დაუმალავს; შეგახსენებთ, რომ იმ შეხვედრაში პირველი გოლი სწორედ კვახაძემ გაიტანა.

როგორც ფეხბურთელი ამბობს, მისი წაყვანა ყაზახებს ზაფხულშივე სურდათ, თუმცა იმ პერიოდში სატრანსფერო ფანჯარა დახურული იყო.

*„თამაშის შემდეგვე მესაუბრა „ირტიშის" მთავარი მწვრთნელი, მაგრამ სატრანსფერო სეზონი არ იყო, თან კონტრაქტი მაკავშირებს „მეტალურგთან ". თუმცა დამპირდნენ ,რომ ზამთარში ისევ შემეხმიანებიან და ვნახოთ, რა მოხდება"*, - გვითხრა კვახაძემ.

**მაგდა კლდიაშვილი**



ჩვენებური უცხოეთში?


თემურ ქეცბაია


კახა კაჭარავა

# ქეცბაია კაჭარავას კვიპროსში იწვევს

აგვისტოში ცნობილი გახდა, რომ **თემურ ქეცბაიამ** კვიპროსზე საფეხბურთო აკადემია ჩამოაყალიბა, რომელიც საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცის სახელს ატარებს და 1 სექტემბრიდან ლიმასოლის "ალფას" სპორტულ კომპლექსში ამოქმედდა.

კვიპროსული ვებგვერდები წერენ, რომ ქეცბაიამ ბავშვებს მშვენიერი სავარჯიშო პირობები დაახვედრა - სკოლაში 10 ბალახის და ხელოვნურსაფრიანი მოედნებია, ცხადია, გასახდელებით, საშხაპეებითა და სხვა საჭირო სათავსებითა და დარბაზებით. აკადემიაში 6-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვები ვარჯიშობენ და ყოველთვიურად 80 ევროს იხდიან, ხოლო თუ ძმები მოისურვებენ აკადემიაში ვარჯიშს, ოჯახს თითოეულზე 60-60 ევროს გაღება მოუწევს. ქეცბაია იმედოვნებს, რომ მისი აკადემია კუნძულზე საუკეთესო გახდება, ბავშვები კი პროფესიონალი მწვრთნელების ხელში აღიზრდებიან.

რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია, ნაკრების თავკაცმა ბავშვთა საფეხბურთო აკადემია საქართველოში რომ არ გახსნა, რადგან მისი მაქსიმალიზმიდან გამომდინარე, სკოლა საქართველოში საუკეთესო იქნებოდა.

მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმას საქართველოში ახალი თაობის სხვა ცნობილი ვეტერანებიც ერიდებიან, თუ არ ჩავთვლით **გიორგი ნემსაძეს** - საფეხბურთო სკოლა "საბურთალო" 90-იანი წლებიდან მოქმედებდა, თუმცა საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტნის სახელი მხოლოდ მეპატრონის შეცვლისა და "იბერია ბიზნესჯგუფის" მისვლის შემდეგ ეწოდა.

ვეტერანებიდან საკუთარი აკადემიები დააარსეს **თენგიზ სულაქველიძემ** და **კარლო მჭედლიძემ**, მაგრამ ეს იყო ადრე, ბოლო წლებში კი, მსურველთა საკმაოდ დიდი რაოდენობის მიუხედავად, სკოლა არავის ჩამოუყალიბებია. მაგალითად, **კახა კალაძე** აპირებდა და გადაიფიქრა, ისევე როგორც ვეტერანთა ჯგუფმა – **მიხეილ ყაველაშვილმა, გოჩა ჯამარაულმა** და **ლევან ყიფიანმა**, მათი ერთობლივი პროექტიც თაროზე შემოიდო. მიზეზი, როგორც საფეხბურთო სამყარო ამტკიცებს, დიდი გადასახადებია, რომელიც მსურველებს აფრთხობს. დიდი ხანია, გადასახადის შემცირებასა და მის რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ჯერ ვითარება უცვლელია.

კვიპროსში კი საფეხბურთო მეურნეობა აწყობილიც არის, მომგებიანიც და საფეხბურთო კლუბის და სკოლის ჩამოყალიბებას თუ პატრონობას ბევრი ეტანება. მიუხედავად იმისა, რომ ქეცბაიას აკადემიის ჩამოყალიბება საქართველოში გვსურდა, ძნელია გაამტყუნო, საკუთარ ფულს მომგებიან საქმეში რომ აბანდებს და არა წამგებიანში. სასაყვედურო ის იქნებოდა, მომგებიანი ჩვენთანაც ყოფილიყო და მაინც ასეთი არჩევანი გაეკეთებინა.

თუმცა, ეს აკადემია მაინც ქართველებთან იქნება გაიგივებული, რადგან ქეცბაია ქართველების დასაქმებას აპირებს. ეროვნული ნაკრების თავკაცმა საკუთარ სკოლაში მუშაობა თბილისის "დინამოს" ყოფილ მთავარ მწვრთნელ **კახა კაჭარავას** შესთავაზა, რომელიც ფიქრობს, დარჩეს (წინადადებები საქართველოშიც აქვს) თუ კვიპროსს მიაშუროს, სადაც ოთხი წელი ნიქოზიის "ოლიმპიაკოსში" თამაშობდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ნაკრები

# ზვიად სიჭინავა გაახალგაზრდავებას ემხრობა

2012 წლის შემოდგომაზე მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის თამაშები დაიწყება. როგორც ჩანს, გადაწყვეტილია, რომ ახალი ციკლის დაწყებამდე ეროვნულ ნაკრებში გამოცდილი მოთამაშეები ადგილს ახალგაზრდებს დაუთმობენ.

*"მთავარია, რა მიზანი ექნება ნაკრებს და ქართულ ფეხბურთს. მიმაჩნია, რომ ახლა უნდა ჩამოვყალიბდეთ, ახალ შესარჩევ ეტაპზე ახალგაზრდა ბიჭების რესურსი გამოვიყენოთ, რათა ევრო- 2016-ისთვის მაინც ჩამოვაყალიბოთ ძლიერი გუნდი. ამ პერიოდში კი ახალგაზრდულმა ნაკრებმა ეროვნულის მსგავსი ფეხბურთი უნდა ითამაშოს. ასეა ესპანეთში, ჰოლანდიაში, გერმანიაში, ბევრ ქვეყანაში, სადაც მომავალი თაობების გაზრდაზე სერიოზულად მუშაობენ"* – გვითხრა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ**.

მომავალი თაობებისა და ნაკრებში სრულფასოვანი შემცვლელების გაზრდა ბავშვთა ფეხბურთიდან იწყება. ახლა ყველა დარწმუნდა, რომ ეროვნულ ნაკრებზე აქცენტირებას შედეგი არ ექნება, სანამ ბავშვთა ფეხბურთში მდგომარეობა არ გამოსწორდება - საფეხბურთო სკოლები ნაკრებებს ხარისხიანი მოთამაშეების ნაცვლად, ახლა "ნახევარფაბრიკატებს" უზრდიან.

*"სწორედ მომავალი თაობების გასაზრდელად უნდა გამოვიყენოთ ახალი ციკლი. თუმცა უფრო გლობალური პრობლემებია მოსაგვარებელი – ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისთვის კეთდება ახალი სტადიონები, მოედნები. ბავშვთა ჯგუფები ვერასოდეს გახდებიან ნაკრების სრულფასოვანი მიმწოდებლები, სანამ დამწყები ფეხბურთელები 20/20-ზე მოედანზე ვარჯიშობენ. მერე, როდესაც გაიზრდებიან, როგორ ისწავლიან 105-მეტრიან მოედანზე ბურთის მარჯვენა ფლანგიდან მარცხნივ გადატანას? ამ პრობლემის მოგვარებას ემსახურება სკოლების გამკაცრებული ლიცენზირება და ფედერაციის სხვა ნამოწყებები"* – თქვა სიჭინავამ.


ზვიად სიჭინავა

**მერაბ მამულაშვილი**

## ქართული ფეხბურთი

### ფიფას რეიტინგი

# სექტემბერმა უკან დაგვხია



გუშინ ფიფას სექტემბრის სანაკრებო რეიტინგი გამოქვეყნდა, სადაც, როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა რეგრესი განიცადა. თუმცა ლატვიასთან საშინაო მარცხისა და მალტური ფრის მიუხედავად, **თემურ ქეცბაიას** გუნდი მხოლოდ ერთი პოზიციით დაქვეითდა და რეიტინგში ამჟამად 64-ე ადგილზეა.

შედარებისთვის ჩვენი თანაჯგუფელების მდგომარეობასაც გაგაცნობთ: ხორვატია მე-10-დან მე-9 ადგილამდე ავიდა, საბერძნეთმა მე-14-დან მე-11-მდე აინაცვლა, ისრაელი 32-ედან 38-ეზე ჩამოქვეითდა, ლატვიამ ათსაფეხურიანი ნახტომი გააკეთა და 74-ეა, მალტა კი ჩვენთან მიღწეული ფრით 14 ადგილით დაწინაურდა და 153-ე პოზიციაზეა.

რაც შეეხება რეიტინგის საუკეთესო ათეულს, მსოფლიოს ჩემპიონმა ესპანეთმა პირველობა დაიბრუნა, აღსანიშნავია ასევე პორტუგალიის 3-ადგილიანი პროგრესი და ინგლისის 4-საფეხურიანი რეგრესი.

FIFA Coca-Cola WORLD RANKING

**ხუათეული ასე გამოიყურება:**

1. ესპანეთი
2. ჰოლანდია
3. გერმანია
4. ურუგვაი
5. პორტუგალია
6. იტალია
7. ბრაზილია
8. ინგლისი
9. ხორვატია
10. არგენტინა

...64 საქართველო

**ლევან ჯანეზაშვილი**

### ლეგიონერები

# ქართველები თასზე წინ მიიწევენ



არნემის "ვიტესი" ჰოლანდიის თასის მეთექვსმეტედფინალში გავიდა. **გურამ კაშიასა და გიორგი ჭანტურიას** გუნდმა საკუთარ მოედანზე "ბრედას" პენალტების სერიით 5:4 აჯობა. მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ, 0:0 დასრულდა, თერთმეტმეტრიანი კი ორივე ქართველმა დაარტყა და ორივემ – ზუსტად.

მატჩისშემდგომი პენალტებით გავიდა დანიის თასის მერვედფინალში "ორჰუსი", რომლის ღირსებასაც **დავით დევდარიანი** იცავს. "ორჰუსმა" სტუმრად "ჰვიდოვრესთან" 2:2 ითამაშა, თერთმეტმეტრიანებით კი 9:8 გაიმარჯვა. დევდარიანი ძირითად შემადგენლობაში იყო და 75-ე წუთზე შეცვალეს.

საფრანგეთის რანგით მეორე ლიგაში "ლე მანის" კარში კვლავ **გიორგი მაკარიძე** იდგა. ქართველი მეკარის გუნდმა სტუმრად "ლე ავრთან" 1:1 ითამაშა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ჩერიშევმა, ქართველების დაბრუნების შანსი არისო



გია გრიგალავა

ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" ქართველთა ამბავი ყველასათვის ცნობილია - ძირითადი გუნდიდან მოკვეთეს **გოჩა ხოჯავა, გოგიტა გოგუა, ლაშა სალუქვაძე** და დუბლშემადგენლობაში გადაიყვანეს.

მახაჭყალის „ანჟისთან" 1:2 წაგებული შეხვედრის შემდეგ პრესკონფერენციაზე „ვოლგას" მთავარ მწვრთნელ **დმიტრი ჩერიშევს** მიზეზი რომ ჰკითხეს, ხელები „დაიბანა'', ამ კითხვაზე არ გიპასუხებთო.

როგორც ჩანს, ეს თემა მხოლოდ ჩვენთვის არ არის აქტუალური: ბოლო ტურში "ვოლგამ" შინ ნალჩიკის "სპარტაკს" 1:0 რომ მოუგო, ჩერიშევი ხასიათზე დადგა და ქართველების შესახებ კიდევ ერთხელ დაეკითხნენ – არის თუ არა ქართველთა სამეულის ძირითადში დაბრუნების შანსი და საამისოდ რა უნდა გააკეთონო?

*"ამ საკითხის დეტალურად განხილვა არ მსურს. თუმცა ძირითადში დაბრუნების შანსი ნებისმიერ მოთამაშეს აქვს"* – კვლავ გაურკვევლად, მაგრამ ამჯერად ოდნავ დამაიმედებლად განაცხადა ჩერიშევმა, მაგრამ ეს როდის მოხდება და საამისოდ ქართველებმა რა მოთხოვნების უნდა დააკმაყოფილონ, აღარ დაუკონკრეტებია.

აღსანიშნავია, რომ "ვოლგას" ქართველებს საკმაოდ უცნაური კონტრაქტები შეუდგინეს – თუ კლუბს **ომარ თეთრაძე** და სპორტული დირექტორი **მამუკა ჯულელი** დატოვებდნენ, მათი კონტრაქტები ავტომატურად გაწყდებოდა. თეთრაძე "ვოლგადან" გაუშვეს, ჯულელი კი ჯერჯერობით ნიჟნი ნოვგოროდში რჩება, მაგრამ სავსებით რეალურია, სეზონის ბოლოს ქართველებმა კონტრაქტის ეს პუნქტი აამოქმედონ.

სანამ "ვოლგას" ქართველებს ეს "ნეტარი" ჟამი დასდგომიათ, მანამდე სალუქვაძე მკურნალობს, გოგუა და ხოჯავა კი თამაშის წყურვილს დუბლშემადგენლობაში იკლავენ. სათადარიგოებში არ გადაუყვანიათ **გია გრიგალავა**, მაგრამ ის მწვრთნელის საქციელით გაოცებულია, ვერ ხვდება, რას ერჩის ჩერიშევი, რომელიც ლამის ყოველდღე ეუბნება, რომ მისი ეიმედება.

ერთ-ერთ საუბარში ჩერიშევმა ბრძანა კიდეც, მომხდარის მიზეზი არასაფეხბურთოაო, მაგრამ მოდი და იმარჩიელე, რა იგულისხმა.

**მერაბ მამულაშვილი**

### საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა, V ტური

#### ა ზონა

**სამტრედია–დინამო (ბ) 0:1**

20.09. სამტრედია. „ე. მანჯგალაძე". 200 მაყურებელი

0:1 მ. ჟვანია (38)

სამტრედია: ი. შენგელია, რ. ნინუა, ლ. ხაჭაპურიძე, ს. ლეჟავა, ა. გუბელაძე, დ. ჩხიკვაძე, შ. კერძევაძე, ი. ხვადაგიანი, კ. ბროლაძე (51. ს. მიქაძე), ბ. ახობაძე (51. პ. შათირიშვილი), ტ. რუხაია (67. ლ. სუთიძე)

*სათადარიგოები: ნ. ბანძავა, გ. პერტაია, გ. რუხაძე*

მწვრთნელი: კ. მიქაძე

დინამო: შ. მამინაშვილი, მ. ფარტენაძე, ნ. ხუხია, ზ. ლობჟანიძე, კ. მაკარიანი, მ. ჟვანია (60. დ. სამსეიშვილი), კ. თოდაძე, ა. მუჯირი, თ. ბერიძე, მ. ჯორბენაძე (81. გ. გოგიტიძე), ლ. გაბრიჭიძე (46. ნ. დიასამიძე)

*სათადარიგოები: თ. კაკალაძე, ლ. რამიშვილი, ნ. ნასუაშვილი, ვ. თევდორაძე*

მწვრთნელი: ი. ნასუაშვილი

გაფრთხილება: რ. ნინუა, ტ. რუხაია; კ. თოდაძე, დ. სამსეიშვილი

გაძევება: კ. თოდაძე

არბიტრი: გ. დოგრაშვილი

**კოლხეთი (ხ)–ჩხერიმელა 1:2**

20.09. ხობი. ცენტრალური. 300 მაყურებელი

0:1 ი. გვეტაძე (14), 0:2 გ. ბოხუა (18), 1:2 მ. ჭკადუა (71)

კოლხეთი: დ. ხარძეიშვილი, ო. ფიფია, ლ. ჩაჩიბაია, გ. გოგენია, მ. ბესარაშვილი, ც. ბუკია (46. გ. ლომაია), ი. კუტალია (46. ლ. გოგენია), ლ. მეფიშვილი, რ. ცობეხია (61. ა. გაბრავა), მ. ჭკადუა, ი. გერგაია.

*სათადარიგოები: ზ. გელაშვილი, დ. ნარსია, კ. ალანია*

მწვრთნელი: კ. ხურცილავა

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე, გ. ჭაავა, დ. ბერუაშვილი (50. გ. ზაქარაშვილი), ი. გვეტაძე, ი. ჭანკვეტაძე, ლ. მახარაძე, ო. გიორგობიანი, გ. გოგიჩაიშვილი (82. ა. ქაშაკაშვილი), დ. კოსტავა, ა. დოლონაძე (67. გ. თურმანიძე), გ. ბოხუა

*სათადარიგოები: ი. ორბელაძე, ბ. ახალაია, ი. გვარჯალაძე, გ. ივანაშვილი*

მწვრთნელი: მ. ხუნდაძე

გაფრთხილება: მ. ჭკადუა, გ. ლომაია; ი. გვეტაძე

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

**მეშახტე–მესხეთი 0:0**

20.09. ტყიბული. „ვ. ბოჭორიშვილი". 200 მაყურებელი

მეშახტე: დ. ოდიშარია, ნ. ხარაბაძე, თ. ხარებავა, კ. ხუჯაძე, მ. კოპალიანი, ა. მეტონიძე (37. გ. გვენეტაძე), ი. ლიბრაძე, გ. უგლავა, ვ. ჭრელაშვილი, ჯ. ავალიშვილი (69. გ. ხეცურიანი), დ. კუტალია

*სათადარიგოები: თ. ჯოხაძე, ე. ცნობილაძე, ლ. კობახიძე, ა. სახელაშვილი*

მწვრთნელი: დ. რუხაძე

მესხეთი: გ. ძამუნაშვილი, მ. ლეკიშვილი, ო. დარჩია, დ. ლეკიშვილი, კ. ხანიშვილი, დ. ხანიშვილი, ზ. სუდაძე (61. მ. მურმანიშვილი), დ. ტლაშაძე, ზ. ბარძიმაძე, გ. წინამძღვრიშვილი (84. გ. მურადაშვილი), ი. ცნობილაძე

*სათადარიგო: გ. გევორქიანი*

*მწვრთნელი: პ. გოგოლაძე*

გაფრთხილება: ა. მეტონიძე; ზ. ბარძიმაძე, გ. წინამძღვრიშვილი

არბიტრი: დ. სანოძე

**ჭიათურა-მერცხალი** გადაიდო

**ლოკომოტივი-სტუ** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბათუმი | 5 | 4 | 0 | 1 | 7-4 | 12 |
| 2. სტუ | 4 | 2 | 2 | 0 | 11-7 | 8 |
| 3. მერცხალი | 4 | 2 | 2 | 0 | 8-5 | 8 |
| 4. ჩხერიმელა | 5 | 2 | 2 | 1 | 6-6 | 8 |
| 5. ჭიათურა | 4 | 2 | 1 | 1 | 3-3 | 7 |
| 6. მეშახტე | 4 | 1 | 1 | 2 | 2-2 | 4 |
| 7. მესხეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-3 | 4 |
| 8. კოლხეთი (ხ) | 5 | 1 | 1 | 3 | 5-8 | 4 |
| 9. ლოკომოტივი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 10. სამტრედია | 5 | 0 | 1 | 4 | 2-7 | 1 |

**მომდევნო ტური. 25 სექტემბერი**

სამტრედია-ლოკომოტივი
დინამო (ბ)-მესხეთი
სტუ-კოლხეთი (ხ)
მერცხალი-მეშახტე
ჩხერიმელა-ჭიათურა

#### ბ ზონა

**გურია–ზოოვეტი 3:0**

19.09. ლანჩხუთი. „ევგრაფი შევარდნაძე". 300 მაყურებელი

1:0, 2:0 გ. კვერენჩხილაძე (48, 52), 3:0 გ. მელქაძე (76, პენალტით)

გურია: მ. გოგუაძე, ჯ. გოგიბერიძე (65. ტ. კუკულაძე), რ. კუკულაძე, ა. დვალიშვილი, გ. ნათენაძე, ზ. რაზმაძე (82. გ. შენირული), გ. მელქაძე, ლ. კობახიძე, ი. კილაძე, გ. კვიტაიშვილი. გ. კვერენჩხილაძე (79. ლ. რუსიეშვილი)

*სათადარიგოები: ბ. წერეთელი, ს. ფირცხალაიშვილი, დ. კეკელიძე*

*მწვრთნელი: გ. იმნაძე*

ზოოვეტი: მ. ძიძიგური, შ. გალეგაშვილი (69. გ. ჭოველიძე), თ. ჯიმშელეიშვილი, ი. ალასანია, მ. მახათაძე, უ. მამულაშვილი, ი,. ჯოჯიშვილი, ს. ლორთქიფანიძე (54. ბ. ბარბაქაძე), ლ. ლობჟანიძე (52. გ. ხუციშვილი), ი. სვანიძე, ზ. ტიელიძე

*სათადარიგოები: ი. მღებრიშვილი*

*მწვრთნელი: ე. გუგუშვილი*

გაფრთხილება: ზ. ტიელიძე

არბიტრი: თ. ხუჭუა

**ჩიხურა–იმერეთი 3:0**

19.09. საჩხერე. „ავთანდილ სტადიონი". 600 მაყურებელი

1:0 გ. სალარიძე (16), 2:0, 3:0 თ. მუმლაძე (36, 68)

ჩიხურა: რ. თევდორაძე, ლ. ჩიკვაიძე (71. გ. ქიმაძე), ჯ. ბერიანიძე, ლ. ჭელიძე, ი. ზაბახიძე, ლ. ნოზაძე, ლ. ბაკურაძე, გ. სილაგავა (75. ა. ივანიშვილი), გ. სალარიძე, ნ. კვასხვაძე (83. ე. ზივზივაძე), თ. მუმლაძე

*სათადარიგოები: გ. ცარციძე, ი. ლილუაშვილი, ნ. გუშარაშვილი, ზ. მწყერაშვილი*

მწვრთნელი: ს. ფრუიძე

იმერეთი: გ. ნიქაბაძე (46. ს. მეძველია), ვ. ბრეგაძე, გ. ხელაძე, ლ. გაჩეჩილაძე, დ. ხაბურძანია (46. ე. რუხაძე), გ. ცაგარეიშვილი, გ. გოდერიძე, დ. კუხალაშვილი (46. გ. გენძეხაძე), ბ. ჩხეტიანი, თ. დანელია, იაკობ დეისაძე

სათადარიგოები: დ. გოდერიძე, რ. კეჭეყმაძე, დ. სულაბერიძე, ნ. ჩაჩიბაია

მწვრთნელი: დ. ჭელიძე

გაფრთხილება: გ. ცაგარეიშვილი

გაძევება: გ. ცაგარეიშვილი

არბიტრი: ა. გუნთაძე

**სამგურალი–აეტი 2:0**

19.09. წყალტუბო. „26 მაისი". 300 მაყურებელი

1:0 რ. ჩიხლაძე (25), 2:0 ლ. ცხადაძე (32)

სამგურალი: ლ. გორდეზიანი, ბ. ხაჭიპერაძე, ბ. ბიბილაშვილი, კ. ძაგანია, ზ. ჩიხლაძე, ლ. ცხადაძე, ი. შალიკაშვილი, ხ. უგრეხელიძე (46. გ. გელენიძე), რ. ჩიხლაძე (51. ნ. უგრეხელიძე), რ. კვერნაძე, ზ. ქუთათელაძე (13. ზ. კუხალაშვილი)

*სათადარიგოები: თ. შეყრილაძე, დ. მემარნიშვილი, გ. ბუხაიძე, ლ. ნავერიანი*

*მწვრთნელი: გ. გოგიაშვილი*

აეტი: ო. ბელელური, გ. ბაბულაიძე, ლ. ბიწაძე (33. ნ. ნარსია), ლ. როსტობაია, ლ. ბაგალიშვილი, დ. ლობჟანიძე, ვ. ჭაბუკიანი, გ. მალაზონია (46. ნ. მამრაში), თ. ქართლელიშვილი, გ. ჯაჭვლიანი, ნ. ზაქარიაძე (33. გ. გრიგალაშვილი)

*სათადარიგოები: თ. მეტრეველი, ლ. ეზიეშვილი*

არბიტრი: ზ. ანიაშვილი

**ადელი–სქური 0:1**

19.09. ბათუმი. „ადელი". 150 მაყურებელი

0:1 გ. ჭკუასელი (79)

ადელი: თ ცინცაბაძე, მ. ფუტკარაძე (67. ლ. კვანტალიანი), ს. კახიძე, გ. ხაჩიძე, ვ. ხიდეშელი, გ. ფალავანდიშვილი (46. ჯ. მერაბიშვილი), ლ. მამეიშვილი, ა. ლორია, ა. აბუსელიძე, დ. ჯალაღანია, გ. სირაბიძე (59. გ. ქოქოლაძე)

*სათადარიგოები: გ. დევაძე, ნ. დავითაძე, ნ. წულუკიძე, გ. რომანაძე*

*მწვრთნელი: გ. ჯორბენაძე*

სქური: ნ. ჯოლოგუა, ი. ფაცაცია, ჯ. ყურუა, ზ. მოლაშხია (63. გ. შელია), შ. გაბუნია, ლ. გაბუნია, ბ. სვანიძე, ლ. ბოჯგუა, გ. სართანია, ა. სოხინი, გ. ჭკუასელი

*სათადარიგოები: გ. წურწუმია, გ. კვირკვია, ა. მიქენაია, ზ. ღარიბაშვილი, ზ. გახარია, ტ. ხარჩილავა*

*მწვრთნელი: ნ. ბოჯგუა*

გაფრთხილება: ს. კახიძე, გ. ხაჩიძე, გ. ფალავანდიშვილი, გ. სირაბიძე, ჯ. მერაბიშვილი; ლ. გაბუნია

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

**ნორჩი დინამოელი–სულორი 5:0**

20.09. თბილისი. „შატილი". 50 მაყურებელი

1:0 ლ. ლაბარტყავა (2), 2:0 ს. ძაგანია (65), 3:0 ვ. ჭანტურიშვილი (71), 4:0 ზ. ძაგანია (73), 5:0 თ. ჩარგეიშვილი (88)

ნ. დინამოელი: მ. ნონოსი, გ. ლომიძე, ა. ჩუენსუ, გ. ქვარაია, გ. თანიაშვილი (77. ლ. ელიზბარაშვილი), ა. შენგელია (14. გ. ოქრუაშვილი), თ. ჩარგეიშვილი, ვ. ჭანტურიშვილი, ი. ჩახვაშვილი, ლ. ლაბარტყავა (73. გ. კვანტალიანი), ზ. ძაგანია

*სათადარიგოები: ა. ბილიხოძე, ბ. შუბითიძე, მ. ხოკერაშვილი, ზ. ქარდავა*

*მწვრთნელი: ი. შენგელია*

სულორი: დ. ხურციძე, მ. დვალიშვილი, ვ. ნუცუბიძე, ა. ქებულაძე, ბ. დვალიშვილი (75. ბ. მჭედლიძე), ბ. ბელექანია, ნ. გიორგაძე (63. კგ. გოგაძე), გ. ნაფეტვარიძე, ბ. სულაბერიძე, თ. მაღლაკელიძე (46. გ. ნიკოლეიშვილი), კ. კვიმსაძე

*სათადარიგოები: ი. დვალიშვილი, დ. ივანიაძე, გ. ბრეგვაძე, ნ. ბრეგვაძე*

მწვრთნელი: გ. ბრეგვაძე

გაფრთხილება: გ. ქვარაია; ნ. გიორგაძე

გაძევება: ი. ჩახვაშვილი; მ. დვალიშვილი

არბიტრი: გ. ყრუაშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 5 | 5 | 0 | 0 | 13-1 | 15 |
| 2. გურია | 5 | 3 | 2 | 0 | 13-3 | 11 |
| 3. ნ. დინამოელი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-3 | 10 |
| 4. ზოოვეტი | 5 | 3 | 0 | 2 | 7-9 | 9 |
| 5. სქური | 5 | 2 | 1 | 2 | 4-6 | 7 |
| 6. სამგურალი | 5 | 1 | 3 | 1 | 4-4 | 6 |
| 7. ადელი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-6 | 4 |
| 8. იმერეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-7 | 4 |
| 9. აეტი | 5 | 1 | 0 | 4 | 2-7 | 3 |
| 10. სულორი | 5 | 0 | 1 | 4 | 0-16 | 1 |

**მომდევნო ტური. 24 სექტემბერი**

იმერეთი-სულორი
ჩიხურა-სამგურალი
სქური-გურია
ზოოვეტი-ნ. დინამოელი
აეტი-ადელი

● ინტერი

# მოსახდენი მოხდა, გასპერინი გაუშვეს

## კანდიდატები: რანიერი, როსი, ვან გაალი, ფლორესი, ფიგუ



გასპერინი გაუშვეს

„ინტერის“ წარუმატებლობებს დასასრული არ უჩანს - თავად განსაჯეთ, სეზონის დაწყებიდან მილანურმა გრანდმა ხუთი ოფიციალური შეხვედრა ჩაატარა და ვერც ერთი ვერ მოიგო. გახსოვთ ალბათ, ჯერ კიდევ აგვისტოში „ინტერი“ იტალიის სუპერთასის პაექრობაში დამარცხდა თანაქალაქელთან, რაც „ნერაძურის“ გულშემატკივრებმა მტკივნეულად აღიქვეს - ამას სერია A-ს სტარტი და სიცილიაში განცდილი მარცხი მოჰყვა, რასაც „ტრაბზონსფორთან“ საშინაო წაგება, „რომასთან“ ფრე და „ნოვარასთან“ განცდილი კიდევ ერთი სამარცხვინო მარცხი მიემატა. მოკლედ, „ინტერი“ კრიზისშია, ამას წყალი არ გაუვა და ამ კრიზისის მთავარი „შემოქმედი“ **ჯანპიერო გასპერინი** გახლავთ, მწვრთნელი, რომელიც გუშინ გაათავისუფლეს დაკავებული პოსტიდან. დიახ, მოხდა ის, რასაც „ნერაძურის“ გულშემატკივრები დიდი ხნის განმავლობაში ელოდნენ, **მასიმო მორატის** მოთმინების ფიალა აევსო და ენთუზიაზმით ალსავსე მწვრთნელს კარისკენ მიუთითა.

სენიორ ჯანპიერო გუნდს 3-4-3 ტაქტიკით ათამაშებდა, რამაც არ გამოილო შედეგი და ისეთი პირი უჩანდა, რომ არც არასდროს გამოიღებდა - თვითონ მწვრთნელი კი ჯიუტად იდგა თავის პოზიციაზე და არაფრის დიდებით არ ცვლიდა ტაქტიკურ მონახაზს. ამაზე მისი ბოლო კომენტარი მეტყველებს, როდესაც ჯერ კიდევ „ინტერის“ მთავარი მწვრთნელი იყო: *„სქემის შეცვლას არ ვაპირებ, რადგან საკუთარ თავში დარწმუნებული ვარ და მჯერა, რომ უახლოეს პერიოდში ყველაფერი გამოსწორდება. მჯერა ჩემი შეგირდებისაც, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ კრიზისიდან ამოსაძრომად. დიახ, კრიზისი სახეზეა, ამას არ უარვყოფ, მაგრამ დრო ყველაფერს თავის ადგილზე დააყენებს“.*

დრომ მართლაც დააყენა ყველაფერი თავის ადგილზე, გასპერინის მადლობა გადაუხადეს გაწეული შრომისთვის, წარმატებები უსურვეს და კარისკენ მიუთითეს.

გასპერინის გათავისუფლებიდან ერთი საათი არ იყო გასული, რომ მისი შესაძლო შემცვლელის შესახებ უამრავი ინფორმაცია გავრცელდა. ყველაზე ხშირად იმის შესახებ ისმის, რომ „ინტერს“ დღემდე უმუშევარი **კლაუდიო რანიერი** ჩაუდგება სათავეში - სენიორ კლაუდიომ უკვე მოასწრო და ამ თემასთან დაკავშირებით მოკლე კომენტარი გააკეთა: *„მილანიდან ჩემთვის არავის დაურეკავს და შესაბამისად, გამიჭირდება იმაზე საუბარი, რამდენად რეალურია გავრცელებული ცნობები. თუმცა, რადგან ამის შესახებ ასე ინტენსიურად საუბრობენ, ალბათ, ჩემი კანდიდატურა მართლაც განიხილება. არ დავმალავ, ჩემთვის დიდი პატივი იქნება ისეთი გუნდის გაწვრთნა, როგორიც „ინტერია“. ვნახოთ, ყველაფერი უახლოეს პერიოდში გამოჩნდება“.*

სხვადასხვა ვერსიით, „ინტერის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე კიდევ ოთხი კანდიდატურა განიხილება: **კიკე სანჩეს ფლორესი, ლუიშ ფიგუ, დელიო როსი** და **ლუი ვან გაალი**. უცხოელებთან დაკავშირება იტალიელმა ჟურნალისტებმა ამ დრომდე ვერ მოახერხეს, აი, დელიო როსის პოზიცია კი უკვე გაცხადდა: *„ჩემით „ინტერია“ დაინტერესებული? - თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ძალიან მიხარია, რადგან „ინტერი“ მსოფლიო მასშტაბის კლუბია და ყოველთვის უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის. ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს შემეძლო მილანური გრანდის ჩაბარება, მაგრამ მაშინ არჩევანი სხვაზე შეჩერდა - ვნახოთ, რა იქნება ამჯერად... ვარ თუ არა თანახმა? - ჩემი მოთხოვნები მაქვს, რომლებსაც ყველა დაინტერესებულ კლუბს წარვუდგენ - დანარჩენი კი შემდეგ გამოჩნდება“.*

ჯანპიერო გასპერინის გათავისუფლების თემას „ინტერის“ სპორტული დირექტორი **მარკო ბრანკა** გამოეხმაურა და შემდეგი განაცხადა: *„არ ვთვლი, რომ ნაჩქარევი გადაწყვეტილება მივიღეთ, რადგან გასპერინიმ ვერაფრით აუღო ალღო ახალ სამუშაოს. ამას ნათლად ვხედავდით და დროული გადაწყვეტილებაც მივიღეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ უბრალოდ რამდენიმე დღეს, ან სულაც კვირას დავკარგავდით და მოსახდენი მაინც მოხდებოდა. გასპერინი შესანიშნავი ადამიანი, კარგი მწვრთნელია, მაგრამ „ინტერი“ მისი გუნდი არ აღმოჩნდა. მინდა, რომ წარმატებები ვუსურვო ყველა იმ საქმეში, რასაც ხელს მოკიდებს“.*

**ლაშა ნიკლაური**

● იტალია. სერია A. IV ტური

**მილანი-უდინეზე 1:1**

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი – აბატე, ნესტა, ტიაგო სილვა, ძამბროტა (85. ინძაგი) – ვან ბომელი, ნოჩერინო, აკვილანი (69. ემანუელსონი) – ზეედორფი – კასანო, პატო (21. ელ შაარავი).

**უდინეზე (3-5-2):** ჰანდანოვიჩი – ბენეტია, დანილო, დომიცი – ბასტა, ბადუ, ისლა (84. აბდი), ასამოა, არმერო – ტორჯე (63. პინცი), დი ნატალე.

**გოლები:** 0:1 დი ნატალე (29), 1:1 ელ შაარავი (63).

**გაფრთხილება:** ძამბროტა, ნოჩერინო - დომიცი.

**კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 13(5)-8(4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 50 000

**ჩეზენა-ლაციო 1:2**

**ჩეზენა (4-3-3):** რავალია – კომოტო, ფონ ბერგენი, როსი, ლაურო (71. მარტინიო) – პაროლო, გუანა, კოლუჩი (61. კოლი) – ედერი (56. გეზალი), მუტუ, კანდრევა.

**ლაციო (4-3-1-2):** მარკეტი – სტანკევიჩუსი (64. ლულიჩი), დიაკიტე, დიასი, კონკო – ლედესმა, ბროკი (87. კანა), გონსალესი – ერნანესი (69. მათუზალემი) - სისე, კლოზე.

**გოლები:** 1:0 მუტუ (14), 1:1 ერნანესი (48-პენ.), 1:2 კლოზე (53).

**გაფრთხილება:** კომოტო, როსი, პაროლო - ერნანესი.

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 13-12; **თამაშგარე:** 3-8; **კარში დარტყმა:** 6(1)-11(7); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 16 000

**კიევო-ნაპოლი 1:0**

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო – სარდო, ცეზარი, მორერო, იოკიჩი – ბრედლი, რიგონი, ჰეტემაი – კრუსადო (59. სამარკო) – პალოსკი (84. მანდელი), თერეუ (59. მოსკარდელი).

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანკტისი – ფიდელეფი, ფერნანდესი, არონიკა – მაჯო, გარგანო, ჯემაილი, ცუნიგა – სანტანა (58. კავანი), პანდევი – მასკარა (71. ჰამშიკი).

**გოლი:** 1:0 მოსკარდელი (72).

**გაფრთხილება:** სორენტინო, რიგონი - ფიდელეფი, ინლერი.

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 4-15; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 11(9)-9(1); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 12 000

**ფიორენტინა-პარმა 3:0**

**ფიორენტინა (4-3-3):** ბორუცი – დე სილვესტრი, გამბერინი (86. ნასტასიჩი), ნატალი, პასკუალი – ბეჰრამი, მონტოლივო, ვარგასი (70. ხარჯა) – ჩერჩი (76. რომულო), სილვა, იოვეტიჩი.

**პარმა (4-4-1-1):** მირანტე – ძაკარდო, პალეტა, ლუკარელი, გობი – ზე ედუარდო, მორონე, ჯადიდი, მოდესტო (66. კრესპო) – ბიაბიანი – ფლოკარი.

**გოლები:** 1:0 იოვეტიჩი (46), 2:0 ჩერჩი (61), 3:0 იოვეტიჩი (81).

**გაფრთხილება:** ძაკარდო, პალეტა, ჯადიდი, ბიაბიანი (პარმა)..

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 17-12; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 12(6)-4(0); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 26 000

**ჯენოა-კატანია 3:0**

**ჯენოა (4-4-2):** ფრეი – ბოვო, დაინელი, კალაძე, მორეტი (70. ანტონელი) – ხორკერა (70. სეიმური), კუჩკა, ველოზო, კონსტანტი – პალასიო, კარაჩოლო (63. პრატო).

**კატანია (4-3-3):** ანდუხარი – პოტენცა, ბელუში, სპოლი, კაპუანო – ბიაჯანტი (45. დელ ვეკიო), ლოდი, ლედესმა (72. სუაზო) – გომესი, მაქსი ლოპესი, ბერგესიო (40. რიკიუტი).

**გოლები:** 1:0 პალასიო (29), 2:0 პალასიო (34), 3:0 კონსტანტი (79).

**გაფრთხილება:** ბოვო, დაინელი - ლედესმა.

**კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 16(10)-11(4); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 26 000

**იუვენტუსი-ბოლონია 1:1**

**იუვენტუსი (4-2-2-2):** ბუფონი – ლიხტშტაინერი, ბარცალი, კიელინი, დე ჩელიე (74. ვიდალი) – პირლო, მარკიზიო – კრასიჩი (60. ჯაკერინი), პეპე – დელ პიერო (46. მატრი), ვუჩინიჩი.

**ბოლონია (4-3-2-1):** ჟილე – მორლეო, პორტანოვა, კაზარინი, ანდერსონი – პერესი (68. კრჰინი), მუდინგაი, კონე – დიამანტი (46. პულცეტი), აკვაფრესკა (68. დი ვაიო) – რამირესი.

**გოლები:** 1:0 ვუჩინიჩი (29), 1:1 პორტანოვა (52).

**გაფრთხილება:** ლიხტშტაინერი, პეპე, ბონუჩი – კაზარინი, პორტანოვა, პერესი, პულცეტი.

**გაძევება:** ვუჩინიჩი (45).

**კუთხური:** 12-5; **ჯარიმა:** 19-16; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 12(6)-10(4); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 40 000

**ლეჩე-ატალანტა 1:2**

**ლეჩე (4-3-3):** ჟულიო სერჟიო – ტომოვიჩი, კუადრადო, ესპოზიტო, მესბა – პიატი, ობოდო (69. შტრასერი), ჯაკომაცი – გროსმიულერი, პასკუატო (65. ოფერე), დი მიკელე (74. კორვია).

**ატალანტა (4-4-1-1):** კონსილი (34. ფრეძოლინი) – მაზიელო, მანფრედინი, კაპელი, პელუზო (52. ბელინი) – შელოტო, ბრიგი, პადოინი, ბონავენტურა (74. ჩიგარინი) – მორალესი – დენისი.

**გოლები:** 0:1 დენისი (3-პენ.), 1:1 მესბა (25), 1:2 დენისი (56).

**გაფრთხილება:** დი მიკელე – პელუზო, შელოტო, მორალესი, დენისი, ბელინი.

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 14-17; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 8(6)-10(5); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 11 000

**პალერმო-კალიარი 3:2**

**პალერმო (4-4-2):** ცორვასი - პიზანო, სილვესტრი, მილიაჩო, ბალცარეტი – ბერტოლო (55. აგიურეგა), ბარეტო, დელა როკა, ზაჰავი (66. აკუა) - პინილია, მიკოლი (78. ერნანდესი).

**კალიარი (4-3-3):** აგაცი – პიზანო (58. პერიკო), კანინი, ასტორი, აგოსტინი – ბიონდინი, კონტი, ნაინგოლანი – რიბეირო (65. ლარივეი), კოსუ, ნენე (78. იბარბო).

**გოლები:** 1:0 ზაჰავი (1), 2:0 ბერტოლო (15), 3:0 მიკოლი (76), 3:1 კონტი (84), 3:2 ნაინგოლანი (90).

**გაფრთხილება:** პიზარო, ბალცარეტი, პინილია, აკუა – კოსუ, პერიკო.

**კუთხური:** 1-5; **ჯარიმა:** 13-14; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 6(3)-12(5); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 25 000

**ნოვარა-ინტერი 3:1**

**რომა-სიენა დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჯენოა | 3 | 2 | 1 | 0 | 7-3 | 7 |
| 2. უდინეზე | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 3. იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 4. ფიორენტინა | 3 | 2 | 0 | 1 | 5-2 | 6 |
| 5. ნაპოლი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-3 | 6 |
| 6. კალიარი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-5 | 6 |
| 7. პალერმო | 3 | 2 | 0 | 1 | 7-6 | 6 |
| 8. ნოვარა | 3 | 1 | 1 | 1 | 6-5 | 4 |
| 9. კიევო | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 10. ლაციო | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| 11. კატანია | 3 | 1 | 1 | 1 | 1-3 | 4 |
| 12. ლეჩე | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 13. პარმა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-8 | 3 |
| 14. მილანი | 3 | 0 | 2 | 1 | 4-6 | 2 |
| 15. ატალანტა | 3 | 2 | 1 | 0 | 5-3 | 1 |
| 16. რომა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 17. სიენა | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 18. ინტერი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-7 | 1 |
| 19. ბოლონია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| 20. ჩეზენა | 3 | 0 | 0 | 3 | 2-6 | 0 |

ატალანტა - 6 ქულა

● მილანი

# ინძაგი ჯანმრთელია

## მილანი კრასიჩით დაინტერესდა

„კორიერე დელო სპორტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „მილანის“ მესვეურები **მილოშ კრასიჩით** დაინტერესდნენ და მისი გადაბირება დაისახეს მიზნად. მართალია, ეს ყველაფერი ზამთრის სატრანსფერო ფანჯარას ეხება და იქამდე კიდევ შორია, მაგრამ ტრანსფერის მასშტაბიდან გამომდინარე, აქედანვე გამოიწვია ჟურნალისტთა ინტერესი. თურმე, სერბის თამაშით **ანტონიო კონტე** არცთუ ისე კმაყოფილია და მისი გასხვისების წინააღმდეგი სულაც არ არის, ეს ამბავი კი „მილანის“ მესვეურთა ყურამდე მივიდა...

გავრცელებულ ინფორმაციას „მილანის“ დირექტორთა საბჭოს წევრი **არიედო ბრაიდა** პრაქტიკულად ადასტურებს: *„კრასიჩი შესანიშნავი ფეხბურთელია, იოლად აუღო ალღო კალჩოს და მის გადაბირებაზე ნამდვილად არ ვიტყოდით უარს. დიდია შანსი, „იუვენტუსის“ მესვეურებთან მოლაპარაკების პროცესი დავიწყოთ, რადგან ჩემი ინფორმაციით, მილოში ხელშეუხებელ მოთამაშეთა რიცხვს არ მიეკუთვნება. ვნახოთ, ყველაფერს დრო გვიჩვენებს, უფრო კონკრეტულს დღეს ვერაფერს გეტყვით“.*

ამასობაში, **ფილიპო ინძაგი** გამოჯანმრთელდა და ერთ-ერთ საკონტროლო შეხვედრაში, რომელიც „მილანმა“ სამოყვარულო გუნდთან გამართა, ექვსი გოლი გაიტანა. ასეთი შედეგიანობა **მასიმილიანო ალეგრისთვის** საკმარისი სტიმული აღმოჩნდა იმისთვის, რომ ინძაგი „უდინეზესთან“ მატჩის განაცხადში შეეყვანა. პიპო თავს შესანიშნავად გრძნობს და ერთი სული აქვს, როდის დაუბრუნდება მოედანს ოფიციალურ შეხვედრაში:

*„ექიმებს ველაპარაკე და მითხრეს, რომ ტრავმისგან სრულიად გამოვჯანმრთელდი. ყველაფერი იმაზე უფრო კარგად არის, ვიდრე მეგონა, რაც ძალიან მახარებს. თავს შესანიშნავად ვგრძნობ და მოედანზე დაბრუნების ცხოველი სურვილი მაქვს. ბევრმა უკვე ჩამომწერა, თუმცა ეს არ მწყინს და პირიქით, მათი მესმის კიდეც - ჩემი მხრივ, ბევრს ვიშრომებ, რომ ყველას დავანახო: პიპო ინძაგის ჯერ კიდევ შეუძლია უმაღლეს დონეზე თამაში“.*

**ლაშა ნიკლაური**

ქოლესტერინის საზომი აპარატი



54 ლარი

გლუკომეტრები



25-99 ლარი

შპს „კონტრასტი“

მის: ბორჯომის ქ. №4 ტ: 34 74 03; 899 19 60 55

● საფრანგეთი. ლიგა 1. VII ტური

**მარსელი-ევიანი 2:0**

**მარსელი:** მანდანდა – ნკულუ, მორელი, დიავარა, ფანი, ლ. გონსალესი (ჯ. ტრაორე 77), კაბორე (ა. დიარა 71), ამალფიტანო, ვალბუენა, ა. აიუ (ჟ. აიუ 72), რემი

**ევიანი:** ანდერსონი – რიპერი, კამბონი, მენსა, ჯეჯე, ტიე ბი, სორლენი, საგბო, ფარინა (ჰელიფა 72), გოვუ (რაბიუ 66), ადნანი (მონგონგუ 46)

**გოლები:** 1:0 რემი (25), 2:0 რემი (74)

**გაფრთხილება:** ამალფიტანო, რემი, ა. დიარა – რიპერი, გოვუ, სორლენი, ბარბოსა

**გაძევება:** რიპერი (44)

**კარში დარტყმა:** 25(10)-5(1) **ჯარიმები:** 18-21 **კუთხურები:** 5-1 **თამაშგარე:** 2-6 **ბურთის ფლობა:** 60-40

**აიაჩო-მონპელიე 1:3**

**აიაჩო:** ოჩოა - მენდი, პულარი, ლიპინი, მეჯანი, ანდრე (ლასნი 81), სამარიტანო, მოსტეფა (პიერაზი 86), კინკელა, დელორი (სოკრიე 67), ილანი

**მონპელიე:** ჟუდრენი, ბოკალი, იანგამბივა, ბედიმო, ელ-კაუტარი, ბელჰანდა, ესტრადა (სტამბული 85), კაბელა (ილტონი 66), საიჰი (მარვო 75), უტაკა, კამარა

**გოლები:** 0:1 კაბელა (3), 0:2 ესტრადა (9) 0:3 უტაკა (35), 1:3 მოსტეფა (54)

**გაფრთხილება:** დელორი, სამარიტანო, პულარი – ჟურდენი, საიჰი, ელ კაუტარი, ბოკალი

**გაძევება:** ელ კაუტარი (64)

**კარში დარტყმა:** 16(5)-7(3) **ჯარიმები:** 18-18 **კუთხურები:** 10-2 **თამაშგარე:** 7-1 **ბურთის ფლობა:** 58-42

**კანი-ლიონი 1:0**

**კანი:** ტებო – სეუბე, ერტო, ვანდამი, სორბონი, ნივე, ამუმა, ლეკა (რენო 80), ბიულო, ფრო (მ ბაიე ნიანგი 84), კ. ტრაორე (პრომანი 65)

**ლიონი:** ლორისი – კონე, რევეიერი, დებო (ბელფოდილი 62), სისოკო, მენსა, ბასტოსი, ფოფანა, გონალონი (ლაკაზეტი 82), გომისი (ვერკუტრი 45), ბრიანი

**გოლი:** 1:0 ნივე (45)

**გაფრთხილება:** ნივე, ამუმა -

**გაძევებები:** ნივე (64) – ლორისი (44)

**კარში დარტყმა:** 9(1)-11(2) **ჯარიმები:** 18-10 **კუთხურები:** 6-3 **თამაშგარე:** 3-2 **ბურთის ფლობა:** 49-51

**დიჟონი-ბრესტი 1:0**

**დიჟონი:** რეინე – ზარური, ბამბა, სუპრაიენი, ვარო (მალუდა 64), სანჰარე, კორნიე, მაცუი (ალტამა 61), კურნიო, მანდანი (ბოტეაკი 78), ტილი

**ბრესტი:** ელანა – ზებინა, ბაისი, ჰენტილეტი, კულიბალი, კულმა (ლორენცი 67), ევოლო, ლესუამე (ბა 76), ლიჩკა (გუიდელეიე 36), ედენ ბასატი, პოიე

**გოლი:** 1:0 მანდანი (33)

**გაფრთხილება:** სუპრაიენი, სანჰარე – გუიდელეიე, ლორენცი

**გაძევება:** ჰენტილეტი (32)

**კარში დარტყმა:** 20(4)-11(2) **ჯარიმები:** 16-14 **კუთხურები:** 9-3 **თამაშგარე:** 3-0 **ბურთის ფლობა:** 45-55

**ლორიანი-ოსერი 1:1**

**ლორიანი:** ოდარი – ეკელე მანგა, ლე მანი, ბაკა, ბურიიონი, რომაო, მვემბა, ჟუფრე (მონე პაკე 67), კუტადიერი, ემეგჰარა (კემპბელი 61), ალიადიერი (სუნუ 77)

**ოსერი:** სორენი, ბოლი, გრიხტინგი, დუდკა, სიდიბე, შეფნი, ე. სისე, ა. ტრაორე (ბერტო 90), ტე ტალეკი (სანოგო 75), ბენ საჰარი (კონტუტი 51), ოლიეჩი

**გოლი:** 1:0 ემეგჰარა (23), 1:1 ოლიეჩი (62)

**გაფრთხილება:** კემპბელი, კუტადიერი – ბოლი, გრიხტინგი, სისე

**კარში დარტყმა:** 14(8)-12(8) **ჯარიმები:** 8-18 **კუთხურები:** 5-1 **თამაშგარე:** 3-4 **ბურთის ფლობა:** 62-38

**ნანსი-ვალანსიენი 1:1**

**ნანსი:** ასემბე – ლოტიე, ლუისი, სანე, მანგანი (სამი 63), დიაკიტე, ბრიზონი (ელდერი 29), კარაბუე, მუკანჯო (იო გუკი 70), ბაკარი, ნიკულაე

**ვალანსიენი:** პენეტო – მირენი, ანგუა, დიუკურტიუ, ბონგი, სანჩესი (კოადი 80), გომისი, კადირი (პუჟოლი 63), ტე ჰი, დანიჩი, სამასა (საესი 84)

**გოლები:** 1:0 მუკანჯო (15), 1:1 კოადი (82)

**გაფრთხილება:** მუკანჯო – გომისი, სანჩესი

**გაძევება:** გომისი (90)

**კარში დარტყმა:** 5(1)-13(3) **ჯარიმები:** 15-22 **კუთხურები:** 1-9 **თამაშგარე:** 2-0 **ბურთის ფლობა:** 38-62

**პსჟ-ნიცა 2:1**

**პსჟ:** სირიგუ – სეარა, კამარა, არმანი, ჟაიე, ნენე (შანტომი 84), ბოდმერი, მატუიდი, პასტორე (ერდინგი 90), მენეზი, გამეირო (ტიენიე 80)

**ნიცა:** ოსპინა – სიველი, პეიჩინოვიჩი, მონსონი, დიაკიტე (გნეკი გუიე 81), დიგა, ობრიელი (ჯეჯე 79), ფაე, საბლე (კ. კულიბალი 41), მუნიე, მულუნგუი

**გოლები:** 1:0 ნენე (36 პენ), 1:1 მონსონი (61 პენ), 2:1 გამეირო (71 პენ).

**გაფრთხილება:** მატუიდი, არმანი, ჟაიე - დიგა, დიაკიტე, მონსონი

**გაძევება:** ჟაიე (78) – მონსონი (85)

**კარში დარტყმა:** 12(6)-12(6) **ჯარიმები:** 15-13 **კუთხურები:** 6-5 **თამაშგარე:** 1-1 **ბურთის ფლობა:** 55-45

**სოშო-რენი 2:6**

**სოშო:** რიშე – კორშია, სოჟე, პერკისი, პეინბერნე, ანენი, ბუდებუზი (პრივატი 78), მარტენი, ნოგეირა (ა. კამარა 63), მაიგა, ბუტენი (ბაკამბუ 67)

**რენი:** კოსტილი – ტეოფილ-კატერინი, კანა-ბიიკი, ბოიე, დანზე, ტეტი, ფერე, მვილა, პიტრიოპა (ეკოკო 62), ჰაჯი (პაჟო 86), მონტანო (ბრაიმი 73)

**გოლები:** 0:1 მონტანო (22), 1:1 ბუტენი (24), 1:2 კანა-ბიიკი (35), 2:2 მაიგა (41), 2:3 ფერე (51), 2:4 ჯაჰი (69) პენ, 2:5 მონტანო (71), 2:6 ეკოკო (90)

**გაფრთხილება:** პეინბერნე – ტეტი, დანზე

**კარში დარტყმა:** 8(4)-19(9) **ჯარიმები:** 12-16 **კუთხურები:** 7-2 **თამაშგარე:** 0-1 **ბურთის ფლობა:** 46-54

**სტ. ეტიენი-ტულუზი 1:1**

**სტ. ეტიენი:** რუფიე – პაულაო, მინიო, გულამი, ზუმა, კლემანი, ლემუანი (ბატლე 77), გუილავოგუი, აუბემიანგი, გრადელი (საადი 72), კიტამბალა (ბ. სახო 60)

**ტულუზი:** აამადა – კონგრე, მ'ბენგე, აბდენური, ნინკოვი, მაშადუ (ბრაატენი 60), დევო, ტაბანუ (მ. სისოკო 83), სირიე, კაპუე, ბულუტი (რივიერი 71)

**გოლები:** 0:1 ტაბანუ (12), 1:1 პაულაო (89)

**გაფრთხილება:** ზუმა, საკო – ნინკოვი, სისოკო

**კარში დარტყმა:** 14(3)-5(2) **ჯარიმები:** 10-18 **კუთხურები:** 7-0 **თამაშგარე:** 1-2 **ბურთის ფლობა:** 60-40

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მონპელიე | 7 | 5 | 1 | 1 | 15-6 | 16 |
| 2. რენი | 7 | 4 | 2 | 1 | 17-11 | 14 |
| 3. ლიონი | 7 | 4 | 2 | 1 | 11-6 | 14 |
| 4. პსჟ | 7 | 4 | 2 | 1 | 11-7 | 14 |
| 5. ტულუზი | 7 | 4 | 2 | 1 | 11-7 | 14 |
| 6. ლილი | 7 | 3 | 3 | 1 | 12-9 | 12 |
| 7. ლორიანი | 7 | 3 | 3 | 1 | 9-6 | 12 |
| 8. კანი | 7 | 3 | 1 | 3 | 8-8 | 10 |
| 9. სოშო | 7 | 2 | 3 | 2 | 12-15 | 9 |
| 10. დიჟონი | 7 | 3 | 0 | 4 | 6-13 | 9 |
| 11. ოსერი | 7 | 1 | 5 | 1 | 10-9 | 8 |
| 12. სტ. ეტიენი | 7 | 2 | 2 | 3 | 6-10 | 8 |
| 13. ბორდო | 7 | 1 | 4 | 2 | 8-9 | 7 |
| 14. ევიანი | 7 | 1 | 4 | 2 | 6-8 | 7 |
| 15. მარსელი | 7 | 1 | 3 | 3 | 8-10 | 6 |
| 16. ვალანსიენი | 7 | 1 | 2 | 4 | 8-9 | 5 |
| 17. ნიცა | 7 | 1 | 2 | 4 | 6-8 | 5 |
| 18. ბრესტი | 7 | 0 | 5 | 2 | 5-7 | 5 |
| 19. აიაჩო | 7 | 1 | 2 | 4 | 7-15 | 5 |
| 20. ნანსი | 7 | 0 | 4 | 3 | 5-8 | 4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მიონხენგლადბახის ბორუსია

# ალმაფრენა შვეიცარიელი პილოტით

## ბორუსიას სახელს ახლა გლადბახი ამართლებს

გერმანიის მოქმედი ჩემპიონი კრიზისშია, სამაგიეროდ, ყველასათვის მოულოდნელად, დორტმუნდის სეხნიამ, მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" დაიწყო ალმაფრენა. „გლადბახის" ფანებს თავი ზღაპარში ჰგონიათ: გუნდი, რომელიც წინა სეზონში ელიტიდან გავარდნას ძლივს გადაურჩა, ექვსი ტურის შემდეგ მესამე ადგილზეა და ერთპიროვნულ ლიდერ „ბაიერნს" მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მიონხენგლადბახელები ზაფხულში დიდად არ გაძლიერებულან, პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ „გლადბახის" ალმაფრენის მთავარი მიზეზი მისი



პილოტი, შვეიცარიელი მწვრთნელი **ლუსიენ ფავრია**. ეს უკანასკნელი კი არ მალავს, რომ წარმატების გასაღები ტაქტიკურ დისციპლინაშია, რომელიც მან გუნდში მისვლის დღიდანვე გაამკაცრა. ფავრის ხელში „ბორუსია" ბურთისთვის ბოლომდე იბრძვის და ცდილობს, მოედანზე მიმდინარე პროცესი აკონტროლოს – „გლადბახი" მეორე ნომრად აღარ თამაშობს და შედეგიც სახეზეა.

*„როცა საკუთარი თავის და დასახული მიზნების მიღწევის გჯერა, ყველაფერი შესაძლებელია,* - აცხადებს მიონხენგლადბახელთა ახალგაზრდა ლიდერი **მარკო როისი** და იქვე დასძენს, *- თუმცა არაფრისდიდებით არ უნდა გადავაჭარბოთ. ექვსი ტურის შემდეგ მესამე ადგილზე ყოფნა ძალიან სასიამოვნოა და ნამდვილად არ არის შემთხვევით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახლა ჩემპიონობაზე ან თუნდაც ჩემპიონთა ლიგის საგზურზე უნდა ვიფიქროთ. ეს უდიდესი სისულელე იქნებოდა. მართალია, მადა ჭამაში მოდის, მაგრამ რეალისტებად უნდა დავრჩეთ. ყველას გვახსოვს გასული სეზონი და ის, რომ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას სულ ბოლოს, პლეი ოფშიღა გადავურჩით. მართალია, მაშინაც ვიცოდით, რომ ზოგადად მეტი შეგვეძლო, მაგრამ არა ჩემპიონობა ან ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა. რაც არ უნდა იყოს, ჯერ მხოლოდ 13 ქულა გვაქვს მოპოვებული, რაც არც ისე ბევრია, როგორც ეს მე-6 ტურის შემდეგ ჩანს. შრომა უნდა გავაგრძელოთ."*

როისის ეს სიტყვები, როგორც ჩანს, ფავრისგან მოდის, რომელიც მეცხრე ცაზე მყოფი ფეხბურთელებისა და ქომაგების მიწაზე დაბრუნებას ცდილობს და ყველას აფრთხილებს, რომ სეზონი მძიმე იქნება. თუმცა ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ მას მერე, რაც „გლადბახს" ლუსიენი წვრთნის, შვეიცარიელმა გუნდს თავისი ხელწერა დაატყო და თანაც იმდენად აშკარად, რომ გუნდის თამაშის ყურების დროს ყველაფერი ნათლად ჩანს.

მწვრთნელთან ერთად, უფრო სწორად, მწვრთნელიდან გამომდინარე, „გლადბახის" წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი დაცვის სტაბილურობა და ზოგადად გუნდის კომპაქტური დგომაა. შარშან მიონხენგლადბახელები ძალიან ბევრ გოლს უშვებდნენ და შვეიცარიელმა სპეციალისტმა პირველ რიგში დაცვა დააყენა, რაც ნებისმიერი გუნდისთვის ფუნდამენტია ხოლმე – მნიშვნელობა არ აქვს, ეს გუნდი შემტევ ფეხბურთს თამაშობს, თუ დაცვითს. „გლადბახი" ბურთის ფლობას არ ერიდება, სწრაფ კომბინაციებს ახორციელებს და რაც ასევე შესამჩნევია, ფეხბურთელები ყველა თამაშში მოთმინებით ელიან თავიანთ მომენტს. დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმის დამტკიცებას, რომ ფავრის ხელში „ბორუსია" ძალიან ცოტა გოლს უშვებს – ექვს ტურში **მარკ-ანდრე ტერ შტეგენის** კარი ხომ მხოლოდ 3-ჯერ დაილაშქრა. საინტერესოა ისიც, რომ „გლადბახი" თამაშებს უმეტესად ერთბურთიანი უპირატესობით იგებს – ბუნდესლიგის ბოლო 10 შეხვედრიდან მიონხენგლადბახელებმა ხუთი (!) 1:0 მოიგეს.

ლუსიენ ფავრის ხელში გუნდის ტაქტიკური სქემა კლასიკური 4-4-2-ია, ორი საყრდენითა და ორი გარემარბით. თავდასხმის საოცნებო დუეტად კი მარკო როისისა და **იგორ დე კამარგოს** წყვილი ჩამოყალიბდა. ეს შემტევები გასულ უქმეებზე, „ჰამბურგთან" მატჩშიც ძალიან კარგად კომბინირებდნენ და გეხსომებათ, „ბორუსიამ" ჩრდილოგერმანული კლუბი სწორედ დე კამარგოს გოლით (1:0) დაამარცხა.

### ჰანკე ადგა, ბრუვერსი დაწვა

გუშინ **რომან ნოიშტედტერმა** გუნდთან ერთად ივარჯიშა, რამაც ფავრი ძალიან გაახარა, სამაგიეროდ, დაშავდნენ ნახევარმცველი **ლუკას რუპი** და მცველი **როელ ბრუვერსი**. რუპის ტრავმა ფავრისთვის არც ისე პრობლემატურია, აი, ბრუვერსი კი დაცვის ხაზს ძალიან სჭირდება. დაცვის ცენტრში ლუსიენი **დანტესთან** ერთად უმეტესად სწორედ ბრუვერსს ათამაშებს ხოლმე, რომელმაც ზაფხულში **მარტინ შტრანცლი** სასტარტო შემადგენლობიდან ამოაგდო. თუმცა უახლესი ინფორმაციით, ბრუვერსი ლაზარეთში დიდხანს არ დარჩება. სამაგიეროდ, უკვე სრულად ჯანმრთელია და მომავალ ტურში მოედანზე გასვლას აუცილებლად მოახერხებს თავდამსხმელი **მაიკ ჰანკე**, რომელსაც ლუსიენი ეგრევე ძირითად შემადგენლობაში არ გაამწესებს. როისი და დე კამარგო ძალიან კარგ ფორმაში არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ჰანკესა და **რაულ ბობადილიას** სათადარიგოთა სკამისთვის შეგუება მოუწევთ.

● ბუნდესლიგა. ახალი კონტრაქტები



რაული და მარიო გომესი

# ბომბეგოლეების მომავალი

## გააფორმებენ ახალ კონტრაქტებს რაული და გომესი?

**ბუნდესლიგის ტოპ-თავდამსხმელები რაული და მარიო გომესი ყურადღების ცენტრში მარტო კარგი თამაშისა და გოლების გამო არ არიან. მოგეხსენებათ, შემოდგომა ზოგადად ახალი კონტრაქტების გაფორმების პერიოდია და ახლო მომავალში „ბაიერნიცა" და „შალკეც" თავიანთ მთავარ მეგოლეებს გაუმჯობესებული წინადადებებით მიმართავენ.**

### რაული უნდა დარჩეს

**ფელიქს მაგათის** წასვლის შემდეგ, რაულმა „შალკეში" მოიწყინა და ბევრს ეგონა, რომ ახალი მწვრთნელის, **რალფ რანგნიკის** ხელში ვერ გაიბრწყინდა. გარდა იმისა, რომ ვეტერანი ესპანელი გოლეადორი გელზენკირხენში სწორედ „დესპოტმა ფელიქსმა" ჩაიყვანა, მიზეზი ისიც იყო, რომ რანგნიკმა რაული უკან დახია და გამთამაშებლის პოზიციაზე გადაიყვანა, რაც ესპანელს თავიდან არ მოსწონდა. ახლა კი გელზენკირხენული კლუბის ბოსი **კლემენს ტიონიესი** აცხადებს, რომ რაულისთვის ახალი კონტრაქტის გაფორმება უნდა, რომელსაც ვადა 2013 წლამდე უნდა ჰქონდეს.

*„ჩვენთვის მისი შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გოლები საერთოდ რომ არ გაიტანოს, მისი გამოცდილება გვჭირდება. „შალკე" ახალგაზრდული გუნდია, რომელიც ვერ მისცემს თავს იმის უფლებას, რომ რაულის დარი ვარსკვლავი დაკარგოს. ესპანელი თავის შესაძლებლობებს ყველა თამაშში ამტკიცებს და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნამდვილი პროფესიონალი და შესანიშნავი პიროვნებაა,* - აცხადებს ტიონიესი და იქვე დასძენს, *- შესაბამისად, ძალიან გვინდა, მას ახალი კონტრაქტი გავუფორმოთ. ჩემი სურვილია, რომ რაული „შალკეში" 2013 წლამდე დარჩეს."*

ესპანელი თავდამსხმელი მაღალანაზღაურებადი მოთამაშეა, მაგრამ ტიონიესი ამბობს, ფინანსური პრობლემები არ გვაქვს და მისთვის დიდი ხელფასის გადახდა შეგვიძლიაო.

### გომესს დარჩენა უნდა

რაც შეეხება მარიო გომესს: რეკორდმაისტერისა და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი თვითონვე ამბობს, რომ მიუნხენიდან წასვლა არ უნდა. ახლა მთავარი ისაა, თუ რას ფიქრობენ „ბაიერნის" ხელმძღვანელები და პრინციპში, არც ამ კითხვაზე პასუხის გაცემაა რთული, რადგან გომესის გვარი ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირების რეიტინგში ისევ ყველაზე მაღლა წერია (8 გოლი 6 ტურის შემდეგ). აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ მარიო გასულ სეზონშიც გერმანიის ჩემპიონატის საუკეთესო გოლეადორი გახდა. ასე რომ, მიუნხენში გომესის შესაძლებლობებში ეჭვი ფაქტობრივად არავის ეპარება, თუმცა თუ ჩვენ გერმანელ კოლეგებს დავუჯერებთ, შეფები ჯერ მაინც ორჭოფობენ. თუმცა ეს ეჭვი იმდენად მცირეა, რომ „შპორტ ბილდის" ინფორმაციით, სულ მალე პრეზიდენტი **ული ჰიონესი** და ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** მარიოსთან მოლაპარაკებებს დაიწყებენ. გომესის აქტუალურ ხელშეკრულებას ვადა 2013 წლის 30 ივნისამდე აქვს.

*„ამ მომენტში კონტრაქტზე არ ვფიქრობ, იმიტომ, რომ საქმეები ძალიან კარგად მიგვდის და საჩქაროც არაფერია, რადგან ჩემს ხელშეკრულებას ვადა 2013 წლამდე აქვს, მაგრამ თუ მაინც მეკითხებით, გიპასუხებთ, რომ „ბაიერნთან" ახალი კონტრაქტის გაფორმება შესაძლებელია,"* - ამბობს გომესი.

*„გომესი არც ისე დიდი ხნის წინ ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო და გოლები ვერ გაჰქონდა, ახლა კი იდეალურ ფორმაშია. იმედია, არ მოეშვება და საკუთარ თავზე მუშაობას გააგრძელებს. ასეთ შემთხვევაში, „ბაიერნისთვის" ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე მასზე უკეთესი ფორვარდი ვერ წარმომიდგენია,"* - ეს რუმენიგეს სიტყვებია.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

● გერმანიის ნაკრები

# ლელი ლიოვისთვის თემაა

**კრისტიან ლელი** მიუნხენის „ბაიერნში" რომ თამაშობდა (**იურგენ კლინსმანის** დროს), იმდენი ქნა, რომ რეკორდმაისტერის ფანებიც კი დასცინოდნენ. ერთ დროს პერსპექტიული, ახლა კი უკვე 27 წლის მარჯვენა მცველი ბერლინის „ჰერტას" ღირსებას იცავს – გერმანიის დედაქალაქის კლუბში **ლევან კობიაშვილის** პარალელურ ფლანგზე დგას და შესანიშნავად გამოიყურება. მისი კარგი თამაში არც გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** გამოეპარა. ბუნდესმწვრთნელის თქმით, მას მერე, რაც კრისტიანი მაღალ დონეზე ათამაშდა, ავტომატურად მოხვდა გერმანიის ნაკრების გაფართოებულ სიაში, საიდანაც პირველ გუნდში ერთი ნაბიჯი აქვს გადასადგმელი.

*„ნამდვილად არ გამოვრიცხავ, რომ ახლო მომავალში კრისტიან ლელი ნაკრებში გამოვიძახო. ამ სეზონში იმდენად კარგად თამაშობს, რომ ვფიქრობ, მორიგ შანსს იმსახურებს. თუმცა სეზონის დაწყებიდან ჯერ მხოლოდ 6 ტურია გასული, რაც ბევრს არაფერს ნიშნავს. „ჰერტა" ელიტაში ახლახან დაბრუნდა და რამდენიმე მატჩის კარგად ჩატარება ჯეროვანი საზომი ვერ იქნება, მაგრამ თუ ლელი ასე გააგრძელებს, შანსს აუცილებლად მივცემ,"* - განაცხადა ლიოვმა „ბერლინერ ცაითუნგისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რომ ბუნდესგუნდში მარჯვენა მცველის პოზიციისთვის **ბენედიქტ ჰიოვედესი** (შალკე), **ჟერომ ბოატენგი** (ბაიერნი) და **კრისტიან ტრეში** (ვოლფსბურგი) იბრძვიან. 27 წლის ლელმა განსაკუთრებით კარგად გასულ უქმეებზე, „აუგსბურგთან" (2:2) ითამაშა და კარგი თამაში 2008 წლის აპრილის შემდეგ, ბუნდესლიგაში გატანილი პირველი გოლით დააგვირგვინა.



კრისტიან ლელი მალე შეიძლება ბუნდესგუნდში ვიხილოთ

● მეკარე

# ჰილდებრანდი აინტრახტში ვარჯიშობს

გერმანიის ნაკრების ყოფილი მეკარე, ერთ დროს გერმანული სამეკარეო სკოლის ამომავალ ვარსკვლავად შერაცხილი **ტიმო ჰილდებრანდი** დღესდღეობით უმუშევარია. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, 32 წლის ტიმომ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებულ ფრანკფურტის „აინტრახტში" დაიწყო ვარჯიში, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფრანკფურტულ გუნდში თამაში შეუძლია.

„აინტრახტის" მთავარი მწვრთნელი **არმინ ფეეა**, რომელიც 2007 წელს „შტუტგარტს" ხელმძღვანელობდა და ეს გუნდი გერმანიის ჩემპიონი გახადა – მაშინ შვაბენლანდური კლუბის კარს სწორედ ჰილდებრანდი იცავდა. ტიმოს „აინტრახტთან" ერთად ვარჯიშის ნება სწორედ ფეემ დართო და არ მალავს, ეს თვითონ ჰილდებრანდმა მთხოვაო.

„მთავარი ის არის, რომ გუნდთან ერთად ვვარჯიშობ, რაც მოდუნების და ფორმიდან ამოვარდნის საშუალებას არ მაძლევს," - ამბობს 32 წლის კიპერი, რომელიც ბოლოს ლისაბონის „სპორტინგში" იყო, მაგრამ ვერც იქ შეძლო ძველებურად თამაში, რის გამოც ზაფხულში ისევ უკლუბოდ დარჩა. ფეე ამბობს, რომ ტიმოს გუნდში აყვანაზე და მის კარში ჩაყენებაზე არ ფიქრობს.

**გოტფრიდ ლენცი**



ტიმო ჰილდებრანდი უმუშევარია

● ბორუსია (დ)

# ბარიოსმა ვარჯიში დაიწყო!

### ...და მაინცთან შეიძლება ითამაშოს კიდეც

დორტმუნდის „ბორუსიას" ქომაგებმა გუშინ ძალიან გაიხარეს, რადგან გერმანიის ჩემპიონის მთავარმეგოლე **ლუკას ბარიოსმა** სრული დატვირთვით ვარჯიში დაიწყო. 26 წლის ფორვარდი, რომელმაც წინა სეზონში 16 გოლი გაიტანა და „ბორუსიას" საუკეთესო ბომბარდირი გახდა, როგორც იქნა გამოჯანმრთელდა და დიდი შანსია, რომ ბუნდესლიგის მომდევნო ტურში ითამაშოს, რაც კრიზისში მყოფი „დორტმუნდისთვის" ძალიან კარგი ამბავია.

წარმოშობით არგენტინელი, ისე კი პარაგვაის ნაკრების თავდამსხმელი ლუკასი ზაფხულში, კოპა ამერიკის ფინალში (0:3 ურუგვაისთან) დაშავდა და ამ სეზონში „დორტმუნდს" ერთხელაც არ დახმარებია. გუშინ მან აბსოლუტურად უპრობლემოდ ივარჯიშა, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა „მაინცთან" მოედანზე გავიდეს. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად უპრობლემოდ გადაიტანს ლუკასი დღევანდელ და ხვალინდელ ვარჯიშებს. შესაძლოა, „ბორუსიას" მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლოპმა** „მაინცთან" მისი ძირითად შემადგენლობაში გამწესება, ან მინიმუმ განაცხადში შეყვანა ჯერ კიდევ არ გარისკოს, მაგრამ ფაქტია, რომ მომავალ ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგის მატჩში (მარსელის „ოლიმპიკთან") აუცილებლად განაცხადში იქნება.

ფაქტია, რომ „დორტმუნდს" მისი დახმარება ძალიან სჭირდება – „შავყვითლებმა" ექვს ტურში მხოლოდ შვიდი გოლი გაიტანეს და ორი თამაში მოიგეს.

**გოტფრიდ ლენცი**

● ესპანეთი. ლა ლიგა. IV ტური



ვალენსია-ბარსელონა

# მესტალიამ იმედები არ გაგვიცრუა

## მესის და რონალდოს ახალი კონკურენტი, მადრიდელთა ჯალათი კლუბი და სანტა სანტი

ესპანეთის ჩემპიონატის მე-4 ტური ამაღამ დასრულდება და მხოლოდ ამის შემდეგ გვეცოდინება ის გუნდი, რომელიც სათავეში მოექცევა იბერიულ პელეტონს. ორი თამაშიდან გაცილებით მნიშვნელოვანი სევილიურია, რომელშიც პრიმერადივიზიონში დაბრუნებული „ბეტისი" ახალგაზრდულ „სარაგოსას" მასპინძლობს, სევილიურ კლუბს ხომ ჯერ არაფერი დაუკარგავს - სამი მატჩიდან სამივე მოიგო, განსაკუთრებით კი ბილბაოში, „სან მამესზე" 3:2 გამარჯვებაა აღსანიშნავი. ტური კი სამ დღეზე გაიწელა.

### სტუმართა ნულები

პირველ დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი „ყვითელი წყალქვეშა ნავის" პირველი გამარჯვება იყო. „ვილიარეალმა" ამ ზაფხულს რამდენიმე ვარსკვლავი კი დაკარგა, მაგრამ მაინც არ გვეგონა, თუ ასეთი სუსტი სტარტი ექნებოდა. და აი, მეოთხე ტურში, როგორც იქნა, გარიდოს გუნდმაც გაიხარა - „მალიორკას" 2:0 მოუგო. ამ შეხვედრაში ჰოლანდიელმა **დე გუზმანმა** პირველად ითამაშა ყოფილი კლუბის წინააღმდეგ. როგორც ძველ, კარგ დროს, „ვილიარეალის" რიგებში თავი ახლაც **ჯუზეპე როსიმ** და **ნილმარმა** გამოიჩინეს. როსი ისედაც კარგად თამაშობდა ამ სეზონში. აი, ბრაზილიელს კი „ეძინა". ანგარიში მე-7 წუთზე **ხოსე კატალას** პასით იტალიელმა ფორვარდმა გახსნა. მეორე ტაიმში კი **ბორხა ვალეროს** პასით ნილმარმა იხეირა. აღსანიშნავია, რომ ორივე შემტევი **დუდუ ავატესთან** პირისპირ დატოვეს. მოკლედ, „მალიორკას" დაცვა კრიტიკას ვერ უძლებს. ამის შემდეგ მეკარე **დიეგო ლოპესმა** ორი-სამი სახიფათო დარტყმაც მოიგერია.

„ანოეტადან" მორიგი გუნდი წავიდა განბილებული, ბასკებმა დებიუტანტ „გრანადას" შინ არაფერი გაატანეს - 1:0. არ იყო კარგი მატჩი, ორივე გუნდს უჭირდა მომენტების შექმნა, ბოლოს ისევ „რეალ სოსიედადმა" ივარგა, მეორე ტაიმში **დანიელ ესტრადამ** ისე „მოჭრა" ბურთი და მარცხენა კუთხეში გაიტანა, რომ მეკარე **რობერტოს** ანდალუსიური კლუბის გადარჩენის შანსი არ დაუტოვა.

კიდევ უფრო ცუდი თამაში „რეინო დე ნავარაზე" შედგა, სადაც წინა ტურში სირცხვილნაჭამმა „ოსასუნამ" ორი ქულა „სევილიას" დააკარგვინა - 0:0. უბრალოდ ბრწყინვალე იყო სტუმართა მეკარე **ხავი ვარასი**, რომ არა მისი დამაჯერებელი თამაში, „სევილია" სულაც დამარცხდებოდა. ბოლოს სტუმრებს მსაჯიც დაეხმარა, როცა ვერ შენიშნა **დიეგო პეროტის** ხელით თამაში საკუთარ საჯარიმოში.

### კუპერთან ვერმოგებული დუელი

**ჟოზე მოურინიომ** ვერ აჯობა **ექტორ კუპერს** - ვალენსიაში დამარცხებულმა „სამეფო გუნდმა" რენომე ვერც სანტანდერში გამოისწორა, მართალია, ამჯერად არ წაუგია, მაგრამ ორი ქულა დამსახურებულად დაკარგა - 0:0. ყველაზე მეტად იმ ეპიზოდს თუ გავიხსენებთ, როცა მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე **ქარიმ ბენზემა** წაიქცა თუ წააქციეს საჯარიმოში, რეფერიმ პენალტი არ დანიშნა. ზედიზედ ორი ტურია, „რეალს" გოლი ვერ გააქვს - მოურინიოს გუნდმა 6 შესაძლებელიდან 5 ქულა ქარს გაატანა.

მადრიდის „ატლეტიკო" ათამაშდა, გუნდმა კვლავ დიდი ანგარიშით მოიგო, ამჯერად „სპორტინგი" 4:0 დაამარცხა. **რადამელ ფალკაომ** ამჯერად დუბლი იკმარა. ვფიქრობთ, **ლეო მესისა** და **კრიშტიანო რონალდოს** სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდათ.

„მალაგამ" **სანტი კასორლას** საჯარიმო დარტყმის წყალობით მოუგო „ბილბაოს", რომელიც უფსკრულისკენ მიექანება, „ლევანტემ" კი კვლავ დაამარცხა მადრიდული კლუბი, ამჯერად, „რაიო ვალეკანო".

### თრილერი მესტალიაზე

პირველ ტაიმში „ვალენსია" 12 კაცით თამაშობდა 10-ის წინააღმდეგ, **ერიკ აბიდალი** აშკარად ვერ იყო ჯანზე, ჯერ იყო და, მატიოს ჩამოწოდებულს საკუთარ კარში მიუჩინა ადგილი, შემდეგ ზონა მიატოვა და **პაბლო ერნანდესს** კარიერაში ერთ-ერთი უადვილესი გოლი გაატანინა. ფრანგის ამ ორ შეცდომას შორის იყო **პედროს** გოლი **ვისენტე გუაიტას** კარში.

მეორე ტაიმში გუაიტამ დუელი მოუგო მესის, მაგრამ მალევე არგენტინელის პასით **სესკ ფაბრეგასმა** გაათანაბრა. ახლა ის ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც ლა ლიგის ოთხივე ტურში გაიტანა. ბოლო წუთებზე კი მასპინძელთა კარი რამდენჯერმე სასწაულებრივ გადაურჩა გოლს - 2:2.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



დუბლის ავტორი რადამელ ფალკაო

**ატლეტიკო-სპორტინგი 4:0**

**ატლეტიკო (4-3-3):** კურტუა - სილვიო (76. ადრიანი), [illegible] - კოკე ([illegible]), ასუნსაო ([illegible]), გაბი - სალვიო, ფალკაო, არდა.

**სპორტინგი (4-2-3-1):** კუელიარი - ლორა, ბოტია, გრეგორი, დ. სუარესი - რივერა, რ. ლეონი - კარმელო (72. მორანი), ს. ალვარესი (63. ბილიჩი), დე ლას კუევასი (78. აიოსე) - ტრეხო.

**გოლები:** 1:0 ლორა (27 ს.კ.), 2:0 დომინგესი (68), 3:0 ფალკაო (72), 4:0 ფალკაო (80)

**გაფრთხილება:** ასუნსაო, კოკე - სუარესი, ლორა, რივერა, კარმელო

**კუთხური:** 10-3; **ჯარიმა:** 17-17; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 19-3 (11-1); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 50 000

**მალაგა-ბილბაო 1:0**

**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო - გამესი, დემიკელისი, მატეისენი, ელიზეუ - ტულალანი, დუდა (78. მარესკა) - ხოაკინი (87. სება ფერნანდესი), ბაპტიშტა, კასორლა - ვან ნისტელროი (63. რონდონი).

**ბილბაო (5-4-1):** ირაისოსი - ეკიზა, გურპეგი, ხ. მარტინესი, ირაოლა, იტურასპე (64. დ. ლოპესი) - მუნიაინი, დე მარკოსი, სუსაეტა (56. ი. მარტინესი), გაბილონდო - ლორენტე.

**გოლი:** 1:0 კასორლა (61)

**გაფრთხილება:** კასორლა - ხ. მარტინესი, იტურასპე

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 16-20; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 13-8 (4-3); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 19 000

**რაიო ვალეკანო-ლევანტე 1:2**

**ვალეკანო (4-2-3-1):** დანი - ტიტო, ლაბაკა (46. მოვილია), ხორდი, რ. ბრავო (46. პაჩეკო) - მიჩუ, ფუეგო - პიტი, ტრაშორასი (58. ტამუდო), ბოტელიო - დელიბაშიჩი.

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - პ. ლოპესი, ბალესტეროსი, ნანო, ხუანფრანი - ხ. ტორესი, იბორა - ვალდო (85. პალიარდო), ბარკერო (64. რ. სუარესი), ხუანლუ (68. ელ ჟარი) - კონე.

**გოლები:** 0:1 ვალდო (10), 0:2 ბალესტეროსი (29), 1:2 ტამუდო (72)

**გაფრთხილება:** პიტი, დელიბაშიჩი - ლოპესი

**გაძევება:** ბოტელიო (77)

**კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 15-11; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 14-9 (7-5); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 14 000

**რასინგი-რეალი 0:0**

**რასინგი (4-2-3-1):** ტონიო - ფრანსისი, ალვარო, ბერნარდო, კრისტიანი - ციოლისი, პაპე დიოპი - სამპერიო (75. ადრიანი), ნაუელპანი, სერანო (62. სისმა) - სტუანი (67. მუნიტისი).

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, ვარანი, რ. კარვალიო, მარსელო - ლ. დიარა (75. კაკა), ჩაბი ალონსო - კალეხონი (46. დი მარია), იოზილი (67. იგუაინი), რონალდო - ბენზემა.

**გაფრთხილება:** კრისტიანი, ციოლისი, ადრიანი, სტუანი, მუნიტისი, ნაუელპანი - კარვალიო, დიარა, იოზილი

**კუთხური:** 2-10; **ჯარიმა:** 20-19; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 5-16 (2-2); **ბურთის ფლობა:** 31%-69%.

**მაყურებელი:** 21 000

**ვალენსია-ბარსელონა 2:2**

**ვალენსია (4-4-2):** გუაიტა - მიგელი, რამი, რუისი, მატიო (72. პიატი) - პ. ერნანდესი, ალბელდა (46. ტ. კოსტა), ბანეგა, ალბა - კანალესი (67. ჟონასი), სოლდადო.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, მასკერანო, პუიოლი (63 ტ. ალკანტარა), აბიდალი - ჩავი, ბუსკეტსი, კეიტა (57 ადრიანო) - პედრო (56 ვილია), მესი, ფაბრეგასი.

**გოლები:** 1:0 აბიდალი (11 ს.კ.), 1:1 პედრო (13), 2:1 პ. ერნანდესი (22), 2:2 ფაბრეგასი (76)

**გაფრთხილება:** რამი, კანალესი, ჟონასი, სოლდადო - მასკერანო

**გაძევება:** ალბა

**კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 12-5; **თამაშგარე:** 2-12; **კარში დარტყმა:** 9-10 (1-7); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 54 500

**ესპანიოლი-ხეტაფე** დღეს
**ბეტისი-სარაგოსა** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალენსია | 4 | 3 | 1 | 0 | 8-5 | 10 |
| 2. მალაგა | 4 | 3 | 0 | 1 | 7-2 | 9 |
| 3. ბეტისი | 3 | 3 | 0 | 0 | 5-2 | 9 |
| 4. ბარსელონა | 4 | 2 | 2 | 0 | 17-4 | 8 |
| 5. სევილია | 4 | 2 | 2 | 0 | 5-3 | 8 |
| 6. ლევანტე | 4 | 2 | 2 | 0 | 4-2 | 8 |
| 7. რეალი | 4 | 2 | 1 | 1 | 10-3 | 7 |
| 8. ატლეტიკო | 4 | 2 | 1 | 1 | 8-1 | 7 |
| 9. სოსიედადი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| 10. ვალეკანო | 4 | 1 | 2 | 1 | 3-3 | 5 |
| 11. ოსასუნა | 4 | 1 | 2 | 1 | 2-9 | 5 |
| 12. ვილიარეალი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-8 | 4 |
| 13. სარაგოსა | 3 | 1 | 1 | 1 | 2-7 | 4 |
| 14. ესპანიოლი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 15. მალიორკა | 4 | 1 | 0 | 3 | 1-4 | 3 |
| 16. გრანადა | 4 | 1 | 0 | 3 | 1-6 | 3 |
| 17. რასინგი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-8 | 2 |
| 18. ბილბაო | 4 | 0 | 1 | 3 | 4-7 | 1 |
| 19. ხეტაფე | 3 | 0 | 1 | 2 | 3-6 | 1 |
| 20. სპორტინგი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-9 | 0 |

**ბომბარდირები:** 5 - სოლდადო (ვალენსია), მესი (ბარსელონა), ფალკაო (ატლეტიკო); 4 - რონალდო (რეალი), ფაბრეგასი (ბარსელონა), კასორლა (მალაგა); 3 - აგირეჩე (რეალ სოსიედადი), მიკუ (ხეტაფე), ნეგრედო (სევილია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

lariwin.com
the better way to play
მეტი, ვიდრე თამაში

რეპორტაჟების სპონსორია ონლაინ კაზინო „ლარივინი"

ლელოს სპეციალური კორესპონდენტი ბესიკ ჯანგავაძე პალმერსტონიდან

რაგბი. მეტოქეები

# ვილკინსონი – დისციპლინას ალტერნატივა არ აქვს


ჯონი ვილკინსონი

საქართველოსა და ინგლისის ნაკრებებს შორის შეხვედრიდან ოთხი დღე გავიდა, თუმცა "ვარდების" ბანაკში ვნებათაღელვა არ ცხრება. ინგლისელთა მეგზავი, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე **ჯონი ვილკინსონი** აღიარებს, რომ არ არსებობს სხვა გზა, თუ არა გუნდში დისციპლინის განმტკიცება.

საქართველოს ნაკრებთან ინგლისელებმა 41:10 მოიგეს, თუმცა მატჩის მსვლელობამ და შინაარსმა "ვარდების" თავკაცი **მარტინ ჯონსონი** ზომაზე მეტად განარისხა. ყველაზე მეტად მან პირველ ტაიმში დაშვებულ შეცდომებზე ინერვიულა. ინგლისელი მორაგბეები მატჩის პირველ ნახევარში თერთმეტჯერ დაჯარიმდნენ და ქართველების მეგზავს რომ ეყოჩაღა, კაცმა არ იცის, მოვლენები როგორ განვითარდებოდა. ამჯერად "ვარდებს" გაუმართლათ, სხვა მეტოქეები ანალოგიურ შეცდომებს მათ არაფრით აპატიებენ.

*"მწარედ მახსოვს 1999 წელი. მაშინ მსოფლიოს თასის გათამაშებას მეოთხედფინალში გამოვეთიშეთ. დღემდე არ დამვიწყებია, რას ვგრძნობდი, როცა ნახევარფინალურ მატჩს ტელევიზორში ვუყურე და "ნიუკასლის" წინააღმდეგ სათამაშოდ წავედი. თავს საშინლად ვგრძნობდი და ძალიან არ მინდა, ეს კიდევ ერთხელ მოხდეს"* – თქვა ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მარტინ ჯონსონმა.

*"ზუსტად ვიცი, რა ჰქონდა ჯონსონს მხედველობაში, ეს ამბავი რომ მოგვიყვა. იმ დღეს მან ჩემს წინააღმდეგ ითამაშა. კარგად მახსოვს, ეს დღე ალბათ ყველაზე წვიმიანი, ყველაზე ცივი იყო ნიუკასლის არსებობის ისტორიაში და ჩვენ მაშინ "ლესტერს" ვეთამაშეთ.*

*მარტინი მართალია, მსოფლიოს თასის გათამაშება სიკვდილ-სიცოცხლისთვის ბრძოლაა. აქ წამითაც არ შეიძლება მოდუნება. ეს ძალიან ძვირად შეიძლებოდა დაგვჯდომოდა საქართველოს ნაკრებთან მატჩში, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, მათ ფეხით თამაში არ წაუვიდათ და გადავრჩით. მაგრამ ვინ იცის, რა მოხდება თუ იმავე შეცდომებს გავიმეორებთ სხვა გუნდებთან თამაშში?*

*ჩვენ უბრალოდ უფლება არ გვაქვს, საქართველოს ნაკრებთან მატჩში დაშვებული შეცდომები გავიმეოროთ. საამისოდ კი თითოეული ჩვენგანის მაქსიმალურად მობილიზებაა საჭირო"* - თქვა ინგლისელთა მეგზავმა ჯონი ვილკინსონმა.

გუნდში შექმნილი მდგომარეობის განსახილველად ინგლისელებმა სპეციალური კრება გამართეს, სადაც საკმაოდ მწვავე საუბარი წარმართულა. ყველამ თავისი მოსაზრება გამოთქვა, თუმცა საბოლოოდ ერთზე შეთანხმდნენ:

*"მოთამაშეები მეტი პასუხისმგებლობით უნდა მიუდგნენ მოვალეობას, რომელიც მათ გუნდში აკისრიათ. ყველა მიხვდა, რომ გამოსავალი ერთია, ნაკრებში დისციპლინა უნდა დამყარდეს"* - დაასკვნა ჯონიმ.

შეგახსენებთ, რომ "ვარდები" 24 სექტემბერს დანიდინში რუმინეთის ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

# რომეო გონტინიაკი დილემის წინაშე


მარიუს ტინკუ

საქართველოს ნაკრები მორიგ მატჩს მსოფლიოს თასის გათამაშებაში 28 სექტემბერს პალმერსტონში რუმინეთის ეროვნულ გუნდთან გამართავს. მანამდე ჩვენი მეტოქე 24 სექტემბერს ინგლისის ნაკრებს დაუპირისპირდება.

"სტეუარის" თავკაცი **რომეო გონტინიაკი** დილემის წინაშე დგას. რუმინეთის ნაკრების ყოფილ შუამარბს ვერაფრით გადაუწყვეტია, როგორ მოიქცეს, "ვარდებთან" სათადარიგო მორაგბეები ათამაშოს და ძირითადი, წამყვანი მოთამაშეები დაასვენოს თუ პირიქით.

რუმინელები საქართველოს ნაკრებთან მატჩს გადამწყვეტად მიიჩნევენ. ისინი ჯერ კიდევ მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე ღიად აცხადებდნენ, რომ ახალ ზელანდიაში მხოლოდ საქართველოს ნაკრების დასამარცხებლად მიდიან.

*"დიდი ხანია ვფიქრობთ, როგორ მოვიქცეთ. სათადარიგო მორაგბეებით ინგლისთან თამაში დიდი ავანტიურაა, თუმცა მეორე მხრივ, საქართველოს ნაკრებთან თამაშს ჩვენთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ ჩვენ ქართველებს დავამარცხებთ, ეს შესაძლოა რუმინეთში რაგბის აღორძინების დასაწყისი გახდეს. ვნახოთ, ვიფიქრებთ და მალე გადავწყვეტთ, როგორ მოვიქცეთ"* – თქვა დანიდინში ჩასვლისას გამართულ პრესკონფერენციაზე რუმინეთის ნაკრების მწვრთნელმა რომეო გონტინიაკმა.

იმავე პრესკონფერენციაზე რუმინელთა ლიდერმა, შერკინების კვაჭმა არგენტინასთან მატჩი შეაფასა და მომავალ შეხვედრებზეც ილაპარაკა.

*"არ ვიცი, რა დაგვემართა არგენტინასთან მატჩში. ცხადია, ჩვენი თამაშით კმაყოფილნი არ ვართ. "პუმები" ძლიერები არიან და კარგად დარბიან, თუმცა საკმაოდ ხშირად არღვევდნენ თამაშის წესს, რასაც არბიტრი რატომღაც არასდროს ამჩნევდა.*

*რუმინეთის დღევანდელი ნაკრები გაცილებით ძლიერია, ვიდრე ის 20 წლის წინათ იყო. "სტეუარის" შემადგენლობაში უკვე ათი წელიწადია, ვთამაშობ და ასეთი ერთ მუშტად შეკრული გუნდი არასდროს გვყოლია.*

*ჩვენ შეგვიძლია ინგლისის ნაკრებს მედგარი ბრძოლა გავუმართოთ. მთავარია, ბურთი მოვიპოვოთ და მეტოქეს თავისუფალი გადაადგილების არეალი შევუზღუდოთ.*

*ვინ ითამაშებს "ვარდებთან", ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. ნებისმიერ შემთხვევაში, ყველა ბოლომდე იბრძოლებს"* – თქვა მარიუს ტინკუმ.







როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

მსოფლიოს თასი



# ქართული სამზარეულოს დღე მასტერტონში

სამდღიან შუალედში მსოფლიოს ორ ელიტარულ გუნდთან საკმაოდ მძიმე მატჩების შემდეგ, საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა მორაგბეები სამი დღით დაასვენეს. გუშინ, ახალზელანდიური ტრადიციები "ბორჯღალოსნებმა" ქართულით ჩაანაცვლეს და ქალაქგარეთ, ერთ-ერთი ფერმერის ეზოში ქართული დღე მოაწყვეს.

ყველასთვის დიდი მოულოდნელობა იყო საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის **გიორგი ნიჟარაძის** კულინარიული ნიჭი. მან დღის პირველი ნახევარი სასტუმროს სამზარეულოში გაატარა. "ქართული ხმების" მომღერლის **გივი ჭიჭინაძისა** და საქართველოს ნაკრების თარჯიმნის, ველინგტონში მცხოვრები **მზია ხმალაძის** დახმარებით, რაგბის კავშირის პრეზიდენტმა უგემრიელესი კერძები მოამზადა.

ჩვენი მასპინძლის ფერმა მასტერტონიდან 20 კილომეტრში, ულამაზეს ადგილზე მდებარეობს. ეზოს, სადაც ქართული კულინარიის დღე გაიმართა, საკმაოდ კარგად მოვლილი ვაზის რიგები ესაზღვრებოდა. ღონისძიებაზე, რომელზეც ჩვენი მასტერტონელი მეგობრები გვეწვივნენ, საქართველოს ნაკრების მორაგბეები ქართული ჩოხებით მოვიდნენ. "ბორჯღალოსნებს" ჩოხები ბიზნესმენმა **ლევან ვასაძემ** "სამოსელი პირველში" შეუკერა.

სტუმრებიც და მორაგბეებიც აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ გიორგი ნიჟარაძის მიერ მომზადებული კერძებით. ჩანახმა, შქმერულმა, ჩაქაფულმა, წიწილამ ბაჟეში, ორი სახეობის ლობიომ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. ქართული სუფრა აბა რაა ხაჭაპურის გარეშე! ოქლენდში მცხოვრებმა კანდელაკების ოჯახმა, რომელიც ახალ ზელანდიაში ყველის სხვადასხვა სახეობას აწარმოებს, მათ შორის სულგუნსაც, "ბორჯღალოსნებს" ხაჭაპურები გამოუგზავნა.

დასასრულისკენ ტრადიციულად გივი ჭიჭინაძის ბენეფისი შედგა. ტე ტანე კაი ვაიატა (კაცი, რომელიც მღერის) ახალ ზელანდიაში უკვე საკმაოდ პოპულარული გახდა. "ოტაგო დეილი ტაიმსის" გუშინდელ ნომერში რაგბის თემაზე გამოქვეყნებული თითქმის ყველა სტატია მთლიანად ქართველ მომღერალს დაეთმო.

გივი ჭიჭინაძემ ჯერ გიორგი ნიჟარაძესთან ერთად შეასრულა გურული სიმღერა, მერე კი ქართულ ჩოხებში გამოწყობილ ნაკრების წევრებთან ერთად რამდენჯერმე იმღერა, ბოლოს კი სოლო კონცერტი გამართა, რეპერტუარში როგორც ქართული, ისე იტალიური პოპულარული სიმღერები იყო.

*"დღეს ლამაზი დღე მოვაწყვეთ. ქართულ ჩოხებში გამოწყობილი მორაგბეები, შესანიშნავი კერძები, ვფიქრობ, ლამაზი კვალი დავტოვეთ მასტერტონში. ბიჭებს სახლი გავახსენეთ, მონატრებული ქართული კერძები მოვუმზადეთ. ახალზელანდიელებს კი ქართული სამზარეულო გავაცანით და ძალიან მოეწონათ"* – თქვა გიორგი ნიჟარაძემ.

ადგილობრივებმა გაწეული მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადეს ქართველ სტუმრებს. ფერმის დიასახლისი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელის რიჩი დიქსონის თანაგუნდელის მეუღლე აღმოჩნდა.

*"შოტლანდიელი ვარ, ნახევარი ცხოვრება შოტლანდიაში გავატარე, ნახევარი კი აქ. ჩემი მეუღლე რიჩი დიქსონთან ერთად თამაშობდა შოტლანდიის ნაკრებში. სამწუხაროდ, ის ამჟამად ახალ ზელანდიაში არ იმყოფება. ჩვენ თქვენი გულშემატკივრები ვართ და ბოლომდე ერთგულად გიქომაგებთ. წარმატებას გისურვებთ დარჩენილ ორ მატჩში და დიდი მადლობა შესანიშნავი სალამოსთვის"* – თქვა მან.

დღეს საქართველოს ნაკრები დილის ათ საათზე "მემორიალ პარკის" სარაგბო სტადიონზე ივარჯიშებს. სადილის შემდეგ, 16 საათზე მასტერტონელები ცენტრალურ ქუჩას "ქუინზ სტრიტს" გადაკეტავენ და "ბორჯღალოსნების" საპატივცემულოდ ალლუმს გამართავენ.

**A ჯგუფი**

**ტონგა–იაპონია 31:18**

**სატურნირო მდგომარეობა**

**ახალი ზელანდია – 10 ქულა, 2. საფრანგეთი - 10, 3. ტონგა – 5, 4. კანადა – 4, 5. იაპონია – 1.**

**დღეს**

**სამხრეთ აფრიკა–ნამიბია 12:00**

*ავტორის ფოტო*




სუმო

აკი ბაშო. 11-25 სექტემბერი

# გაგამარუმ ძალა გამოაჩინა

**ᲗᲣᲙᲘ** აქამდე 24 წლის **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)** იმით იყო გამორჩეული, რომ ელიტის ყველაზე მძიმე რიკიშია (199 კილოგრამს იწონის), მაგრამ სერიოზული მიღწევა არ ჰქონია, ამიერიდან მას ელიტის ელიტაც (იოკოძუნა, ოძეკები და სხვები) უნდა უფრთხოდეს, რადგან გუშინ კარიერაში პირველად დაამარცხა ფალავანი, რომელიც ჩემპიონის ტიტულს ატარებს - 184-კილოიან ესტონელ **ბარუტოს** მოუგო. გაგამარუს სულ 7 წამი დასჭირდა ქართველთა მეგობრის, მაგრამ ამავე დროს ძალიან უხერხული მეტოქის დოჰიოდან გასადევნად. ამ მოგებით ჩვენებურმა ოძეკის საჩემპიონო შანსი მოუსპო. 26 წლის ბარუტო აქამდე 4-ჯერ შეხვედრია **კოკაის (ლევან ცაგურია)** და მათ შორის 2:2-ია, 10-ჯერ უბრძოლია **ტოჩინოშინთან (ლევან გორგაძე)**, ბალტიელი 9:1-ს იგებს, გაგამარუს კი გუშინ პირველად დაუპირისპირდა.

ესეც მე-10 მოგება (თანაც, ზედიზედ!) და „სუფთა" მეორე ადგილი, წინ მხოლოდ ერთი სუმოისტია - დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** (11-0), 10 მოგება კი მხოლოდ ჩვენებურს აქვს.

გუშინ გამორჩეული დღე იყო ჩვენთვის - აკი ბაშოზე სამივე ქართველმა მოიგო, სამივემ ძალიან მნიშვნელოვანი ორთაბრძოლა. კოკაიმ ამ გამარჯვებით კაჩი კოში ანუ დადებითი ბალანსი და ელიტაში დარჩენა (რეიტინგში წინსვლით) დაიბევა. ტოჩინოშინმა მოიგო და ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულების შანსი შეინარჩუნა, ახლა ლევანს დარჩენილი 4 ორთაბრძოლიდან 3-ის მოგება ესაჭიროება.

**XI დღე**

ჰაკუჰო-კაკურიუ (სუკუინაგე), ჰარუმაფუჯი-კისენოსატო (უვატედაშინაგე), **გაგამარუ**-ბარუტო (ოკურიდაში), ტოჩიოძანი-კოტოშოგიკუ (ოშიდაში), ტოიონოშიმა-ვაკანოსატო (იორიკირი), იოშიკაძე-არანი (ჰატაკიკომი), ჰომაშო-ოკინოუმი (მაკიოტოში), ტაკეკაძე-ტოკიტენკუ (ცუკიოტოში), **ტოჩინოშინი**-ტაკაიასუ (უვატენაგე), მიაბიამა-კაისეი (ჰატაკიკომი), კიოკუტენჰო-გოეიდო (იორიკირი), ვაკაკოიუ-საგაცუკასა (ჰიკიოტოში), ფუჯიაზუმა-ტამაასუკა (ცუკიდაში), კიტატაიკი-ტოჩინოვაკა (ოშიდაში), ტოიოჰიბიკი-ტოსაიუტაკა (ცუკიდაში), **კოკაი**-ტამავაში (ჰიკიოტოში), კიმურაიამა-ამინიშიკი (ჰიკიოტოში), ასასეკირიუ-ჰოჩიამა (უვატენაგე), შოტენრო-იოშიაზუმა (იორიკირი), დაიდო-ტაკანოიამა (სუკუინაგე).

**სატურნირო მდგომარეობა**

**11-0: ჰაკუჰო** (იოკოძუნა).

**10-1: გაგამარუ** (მაეგაშირა 11).

**9-2: კოტოშოგიკუ** (სეკივაკე), **კიტატაიკი** (მ 11).

**8-3: ბარუტო** (ოძეკი), **კისენოსატო** (სეკივაკე), **კიოკუტენჰო** (მ 10), **კოკაი** (მ 16)... 5-6: **ტოჩინოშინი** (მ 4).

**XII დღე**

ჰაკუჰო-კისენოსატო, ბარუტო-კაკურიუ, ჰარუმაფუჯი-ტოჩიოძანი, **გაგამარუ**-კოტოშოგიკუ, არანი-ტაკეკაძე, ტოიონოშიმა-იოშიკაძე, ოკინოუმი-ვაკანოსატო, ჰომაშო-გოეიდო, ტოკიტენკუ-ფუჯიაზუმა, **ტოჩინოშინი**-კაისეი, მიაბიამა-საგაცუკასა, კიტატაიკი-ვაკაკოიუ, ამინიშიკი-ტაკაიასუ, **კოკაი**-ტოჩინოვაკა, შოტენრო-ტოიოჰიბიკი, კიოკუტენჰო-ტაკანოიამა, ტამავაში-ტოსაიუტაკა, ასასეკირიუ-ტამაასუკა, იოშიაზუმა-ჰოჩიამა, დაიდო-კიმურაიამა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**





ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. ანალიზი



# რატომ არ აიღო კოკოშკოვმა მაკედონიასთან ჯარიმა?

საქართველოს ნაკრების ევრობასკეტზე გამოსვლას ყველა ცალსახად დადებითად აფასებს - საქართველო ევროპის 12 საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა. თუმცა ზოგის თქმით, ჩვენს გუნდს მეტის მიღწევა შეეძლო და ყურადღებას ამახვილებს სხვადასხვა ხელისშემშლელ ფაქტორზე. მაგალითად კალათბურთელთა ტრავმებზე, ტურნირის გადატვირთულ გრაფიკზე, ნატურალიზებულსა თუ მწვრთნელზე.

ბოლო დროს აგორდა **იგორ კოკოშკოვის** საწინააღმდეგო ტალღა, შეცდომებზე უთითებენ და აცხადებენ, მომავალი ციკლისთვის უკეთესი მწვრთნელი გვინდაო.

გამოგიტყდებით, მეც მინდა მთავარ მწვრთნელად **დევიდ ბლატი**, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგორ კოკოშკოვის გარჯა უარყოფითად შეფასდეს და მის დამსახურებას ხაზი გადაესვას. კატეგორიულ განცხადებამდე საინტერესოა გავიგოთ პასუხი იმ მოქმედებებზე, რომლებსაც კოკოშკოვის შეცდომებად თვლიან.

ამ საკითხში დაგვეხმარება საქართველოს ნაკრების მეორე მწვრთნელი **დავით უსტიაშვილი**, რომელსაც გუშინ ველაპარაკეთ. მას ჯერ გუნდის გამოსვლის ზოგადი შეფასება ვთხოვეთ.

- ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების თამაშს არაერთი უცხოელი სპეციალისტი აფასებს დადებითად, თუნდაც ისეთი მწვრთნელები, როგორებიც არიან მარკოვიჩი, ბლატი... მაკედონელთა თავკაცმა, დოკუზოვსკიმ, რომლის გუნდმაც ევრობასკეტზე მეოთხე ადგილი დაიკავა, აღნიშნა - საქართველოსთან რომ გაგვიჭირდა, ისეთი რთული შეხვედრა მანამდე არ გვქონიაო. ჩვენმა გუნდმა ჯგუფური ეტაპის ბარიერი გადალახა და საუკეთესო 12 ნაკრებს შორის მოხვდა, რაც უთუოდ დიდი წარმატებაა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ნაკრებს პირველი ეტაპის შემდეგ ტრავმების გამო ზაზა ფაჩულია და გიორგი ცინცაძე დააკლდნენ.

**- ტრავმები შესაძლოა გადაღლამაც გამოიწვია. ვფიქრობ, ევრობასკეტზე მოკლე დროში ძალიან ბევრი მატჩი ტარდება...**

- ამ მხრივ ყველა გუნდი თანაბარ პირობებშია. სამწუხაროა, რომ ტრავმების გამო ორი წამყვანი კალათბურთელი გამოგვაკლდა. ზაზაცა და გიორგიც სასტარტო ხუთეულის წევრები არიან და მათი არყოფნა ძალიან დაგვეტყო, განსაკუთრებით მაკედონიასა და ფინეთთან მატჩებში. ამ გუნდებთან ნამდვილად შეიძლებოდა წარმატებით თამაში. თუმცა ყველამ დაინახა, რომ საქართველოს ნაკრებმა ყოველ მატჩში ბოლომდე იბრძოლა და ევრობასკეტზე დადებითი კუთხით წარმოჩინდა.

**- მაკედონიასთან მატჩზე გკითხავთ. ბოლო 16 წამში მაკალებზე ჯარიმა რატომ არ აიღეთ?**

- იმ შეხვედრის ბოლოს შეტევაში გვიჭირდა. მაკალებზე ჯარიმა რომ აგველო, იყო დიდი ალბათობა, რომ იგი საჯარიმოებს გამოიყენებდა, ჩვენ კი დარჩენილ დროში ვერ ჩავაგდებდით. ასეთ შემთხვევაში იტყოდნენ, თამაში მწვრთნელმა წააგოო. გადავწყვიტეთ, უჯარიმოდ გვეთამაშა და მაკედონელთა ნატურალიზებული თუ ვერ ჩააგდებდა, ყველაფერი ოვერტაიმში გაგრძელდებოდა. სხვათა შორის, მსგავს სიტუაციებში გაცილებით სახელიანი მწვრთნელებიც ისე მოქცეულან, როგორც იგორ კოკოშკოვი.

**- იყო კიდევ ერთი გადაწყვეტილება, რაზეც შესაძლოა მწვრთნელს არ დავთანხმებოდით. გემახსოვრებათ, კლაიპედაში სლოვენიასთან მატჩისას ზონურ დაცვაზე გკითხეთ, რომლის დროსაც მეტოქემ 15 სამქულიანი ჩააგდო. პრესინგისას ამდენი შორეული ტყორცნის რეალიზაცია წარმოუდგენელია.**

- მაშინაც ვთქვი, რომ სლოვენიელთა წინააღმდეგ ზონური დაცვა იყო ოპტიმალური ვარიანტი. სწორედ ამის წყალობით ბოლო წამებამდე თამაშში ვიყავით და გამარჯვების შანსს ვინარჩუნებდით, რადგან სლოვენიელები ძირითადად სამქულიანების იმედად იყვნენ. ოდნავ უარესად რომ ესროლათ, შესაძლოა მოგვეგო კიდეც. თუ დააკვირდით, რიგ ეპიზოდებში პერსონალურ დაცვაზე გადავედით, რამაც არ გაამართლა, სლოვენიელებიც სწორედ ამას ელოდნენ. საერთოდ, მინდა აღვნიშნო: ეს ნიუანსები ზოგისთვის შეცდომაა, ზოგისთვის - არა. ვთვლი, რომ იგორ კოკოშკოვმა ყველა სათამაშო სიტუაციაში ადეკვატური გადაწყვეტილება მიიღო. არ უნდა დაგვავიწყდეს, ვის წინააღმდეგ გვიწევდა თამაში - გადახედეთ, სად და რამდენ წუთს თამაშობენ სლოვენიელი, რუსი კალათბურთელები და შემდეგ ჩვენს შემადგენლობას შეადარეთ. ამის ფონზე საქართველოს ნაკრებმა მართლაც ღირსეულად იბრძოლა. ალბათ, ბევრს არ ეგონა ფავორიტებთან ასე თუ ვითამაშებდით.

**- რუსეთთან მატჩის გახსენებასაც გთხოვთ. იყო ეპიზოდი, როცა თამაშში გარდატეხის შეტანა შეიძლებოდა...**

- ორი ქულით რომ ჩამოვრჩით, რამდენიმე შეტევა გავაცუდეთ, ხან ფარქვეშიდან ვერ ჩავაგდეთ, ხან ბურთი დავკარგეთ. ამის მიზეზი იყო დაძაბულობა, რომელიც მატჩს ახლდა. თამაშის მოსაგებად გამოცდილება დაგვაკლდა. მას მერე გამოჩნდა, რა დონის გუნდთან გვქონდა საქმე - რუსეთის ნაკრებმა ხომ ევრობასკეტი მესამე ადგილზე დაასრულა.

**- ჩემპიონატის დაწყებამდე შეიძლება გვევარაუდა, რომ ზოგიერთ მატჩში კალათბურთელებს დაასვენებდით.**

- სამწუხაროდ, ამის შანსი არ მოგვეცა. თუნდაც რუსეთთან და სლოვენიასთან საბრძოლველად ვემზადებოდით და მატჩები ისე წარიმართა, რომ გამარჯვების შანსს ბოლომდე ვინარჩუნებდით. ასეთ ვითარებაში ვინმეს დასვენებაზე ფიქრიც წარმოუდგენელი იყო.

**- აქამდე წაგებულ მატჩებზე ვილაპარაკეთ, მოგებულებზეც ვთქვათ. გამოჩნდა, რომ ბელგია სუსტი იყო, სამაგიეროდ, უკრაინას ჰყავდა კარგი ნაკრები...**

- ვერ ვიტყვი, ბელგია ხელწამოსაკრავი იყო-მეთქი. უბრალოდ, სადებიუტო მატჩში ჩვენ გაცილებით უკეთესად ვითამაშეთ და ბევრი რამ ამ შეხვედრამაც გადაწყვიტა. მეორე დღეს ბელგიამ ბულგარეთთან თითქმის მოგებული ბრძოლა წააგო. ვფიქრობ, იმ შეხვედრაში რომ ეყოჩაღა, პირველ ტურში გაფუჭებულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას გაიუმჯობესებდა და სულ სხვა კალათბურთს ითამაშებდა. რაც შეეხება უკრაინასთან დაპირისპირებას, საქართველო-უკრაინას შორის გამარჯვებული მომდევნო ეტაპის საგზურს თითქმის ინაღდებდა. მატჩის მსვლელობისას სხვადასხვა სტილის დაცვას ხშირად ვუნაცვლებდით და მეტოქეს თამაშის დალაგების საშუალებას არ ვაძლევდით. სხვათა შორის, პრესკონფერენციაზე უკრაინის ნაკრების კალათბურთელმაც თქვა - წაგების მთავარი მიზეზი მეტოქის დაცვა იყო, რომელსაც ალღო ვერ ავუღეთო.

**- რამდენიმე კალათბურთელზეც გკითხავთ. მარკიზ ჰეინსზე იგორ კოკოშკოვის მოსაზრება ვიცით. მასზე თქვენ რას ფიქრობთ?**

- სამწუხაროდ, ტორინ გრინს ისეთი ტრავმა ჰქონდა, რომ ევრობასკეტზე თამაშს ვერ შეძლებდა. გრინი გაცილებით გამოცდილია. მის ადგილას მარკიზ ჰეინსი ავიყვანეთ, რომელსაც დიდი პოტენციალი აქვს, თუმცა ლიტვაში შესაძლებლობები ვერ გამოავლინა. ვფიქრობ, ამაში ხელი ერთმა გარემოებამაც შეუშალა: იგი ხან პლეიმეიქერად თამაშობდა, ხან მსროლელად. ერთ რომელიმე ამპლუაში რომ გარჯილიყო, ალბათ, უფრო მეტ სარგებელს მოგვიტანდა.

**- ტაირონ ელისი?**

- იგი ამპლუით მსროლელია. ევრობასკეტისთვის კი ისეთი კალათბურთელი გვსურდა, სხვადასხვა პოზიციაზე საჭიროებისამებრ რომ გამოვიყენებდით.

**- მეტ სათამაშო დროსა და შედეგს ველოდით ვლადიმერ ბოისასგან...**

- ვოვა გამოცდილი მოთამაშეა, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ მას მუხლის ჯვარედინი მყესის ოპერაცია აქვს გადატანილი. მსგავსი ოპერაცია 90-იან წლებში მეც გავიკეთე და მას მერე ძალიან გამიჭირდა ძველი კონდიციების დაბრუნება. თუმცა იმედი მაქვს, რომ ბოისა ნელ-ნელა ძველ ფორმას დაიბრუნებს. ნაკრებს მისი გამოცდილება ძალიან სჭირდება.

**- მაკედონიასთან მატჩმაც დაგვანახვა, რომ მანამდე ნიკა ცქიტიშვილის მეტად დატვირთვაც შეიძლებოდა.**

- მაკედონელთა თამაში კარგად გვქონდა შესწავლილი და ვიცოდით, რომ ცქიტიშვილისთვის სივრცეები ხშირად გამოჩნდებოდა. ასეც მოხდა და ნიკამ საუკეთესო თამაში მაკედონიასთან უჩვენა. სხვა თამაშებში ცქიტიშვილსაც და მისი ამპლუის სხვა კალათბურთელებსაც არეალს მაქსიმალურად უზღუდავდნენ.

**- ბოლოს თორნიკე შენგელიაზე გკითხავთ, რომელიც ტურნირის ერთ-ერთ აღმოჩენად იქცა.**

- თორნიკე ახალგაზრდაა, თუმცა საკუთარი დამაჯერებელი გარჯით ბევრი გააკვირვა. მან დიდი წვლილი შეიტანა ბელგიასა და უკრაინასთან გამარჯვებებში. შენგელიას პოტენციალში კიდევ ერთხელ ყველა დარწმუნდა. ახლა უფრო მეტი შრომა სჭირდება, რათა რეზერვი სრულად აამოქმედოს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● ხსოვნა

## ჯუმბერ დავლიანიძე



75 წლისა გარდაიცვალა ჭიდაობის საერთაშორისო ექსტრა კლასის მსაჯი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, საპატიო სპორტის ოსტატი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ღირსების ორდენოსანი ჯუმბერ დავლიანიძე.

50-იან წლებში წარმატებული ფალავანი იყო თავისუფალ ჭიდაობაში. შემდგომ კი უფრო ცნობილი მსაჯი გახდა, ხელმძღვანელობდა მსაჯთა კოლეგიას ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში. მისგან ბევრს სწავლობდნენ ახალგაზრდა არბიტრები.

მთელი შეგნებული ცხოვრება მან სპორტის, ჭიდაობის სამსახურში განვლო. დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებზე არბიტრობის დროს კი საქართველოს ერთგვარი ელჩი იყო სამსაჯო წრეებში. საოცრად კეთილი ხიბლი ჰქონდა. ამიტომაც დიდ პატივს სცემდნენ შინ და გარეთ.

რაც შეეხება მეგობრობას, ის აქ ეტალონად გვესახებოდა. სხვებსაც ამეგობრებდა ერთმანეთში... ქართული სუფრის მშვენება იყო.

სიცოცხლით სავსე კაცი იყო და ამიტომაც არის ძალზე გულდასაწყვეტი ამ კეთილღიმილიანი, საჭიდაო თემის დიდი მოღვაწის დაკარგვა.

ოჯახთან ერთად დამწუხრებულნი არიან ჯუმბერის მეგობრები, სხვადასხვა თაობის ფალავნები, კოლეგები.

თუმცა ერთი რამ მაინც ნათელია - ჯუმბერ დავლიანიძის სახელი უსათუოდ დარჩება საქართველოს ჭიდაობის მატიანეში, როგორც სახელოვანი მსაჯისა. ტურნირებზე გათამაშდება მისი სახელობის პრიზები, ახალგაზრდა მოჭიდავეებს გადაეცემათ დიპლომები, გათამაშდება მისი სახელობის თასები და ა.შ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს!

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ვეტერანი მოჭიდავე, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ექსტრა კლასის მსაჯი, ღირსებისა და ფილა-ს ორდენების კავალერი

ჯუმბერ დავლიანიძე

და უსამძიმრებს ოჯახს.

*ქვეყნდება განმეორებით გუშინდელ ნომერში შეუსაბამო ფოტოს დაბეჭდვის გამო.*



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მოჭიდავე, ღირსების და ფილა-ს ორდენების კავალერი, ჭიდაობის საერთაშორისო მსოფლიო ფედერაციის ექსტრა კლასის კატეგორიის მსაჯი

ჯუმბერ დავლიანიძე

და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს.

## ალბერტ თავაძე



ბრმა შემთხვევამ უდროოოდ წაგვართვა ერთგული მეგობარი. დილით, ჩვეულებრივ, მივიდა უზნაძის ქუჩაძე მდებარე ძველ ტრეკზე, სადაც იკრიბებიან მოზარდი ველოსიპედისტები და იქიდან გზატკეცილზე სავარჯიშოდ წარუძღვა მოწაფეებს. თავადაც ველოსიპედზე იყო ამხედრებული და ისე აძლევდა დარიგებებს ბიჭებს.

ალბერტ თავაძე ერთ-ერთი იყო იმ მეტად მცირერიცხოვანი არმიის ნარჩენებიდან, ვინც არ შეუშინდა სიძნელეებს და სოლიდური ასაკის მიუხედავად (იგი 76 წლისა იყო) სკრუპულოზურად აკეთებდა თავის საქმეს.

ძნელად წარმოსადგენი რამ მოხდა - ველოსიპედიდან გადმოვარდნილი მწვრთნელი ქირურგების ხელში აღმოჩნდა და მიუხედავად მათი დიდი მცდელობისა, გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ქართულმა სპორტმა აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. სპორტსმენობის დროს არაერთ წარმომადგენლობით შეჯიბრებაში გაუმარჯვია, არაერთხელ გამხდარა საქართველოს ჩემპიონი, წარმატებით გამოდიოდა დიდ საკავშირო მრავალდღიან რბოლებში და ქართველ ველოსიპედისტთაგან ერთ-ერთ პირველს მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება. მერე მწვრთნელობა დაიწყო და მალევე დაიმკვიდრა ადგილი საუკეთესო პედაგოგთა შორის, გახდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ბუნებრივია, ალბერტ თავაძეს ასევე მალე ანდეს საქართველოს ველოსიპედისტთა ნაკრების თავკაცობა. ნაკრებში მის მოწაფეებს შორის იყო ჯერჯერობით ერთადერთი ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი ომარ ფხაკაძე.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს მრავალმხრივ განათლებული და ერუდირებული ადამიანი, მსოფლიო ველოსპორტის საუკეთესო მცოდნეც იყო. მას არ გამოეპარებოდა თანამედროვე პროფესიული ველოსპორტის არც ერთი სიახლე.

ბოლო წლებში ალბერტის ოცნება იყო, თავისი აღზრდილები ენახა 2015 წელს თბილისში გასამართ ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე. ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ მოვამზადებთ მის მოწაფეებს ამ დიდი ფორუმისთვის. ამით ხომ თავისებურ ძეგლს დავუდგამთ ჩვენს უდროოდ წასულ მეგობარს, რომლის ნეშტსაც დღეს მივაბარებთ მის სათაყვანებელ ქართულ მიწას.

ქართული ველოსპორტის ვეტერანები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმოჩენა



ალექსი ფანჩულიძე (სტოკჰოლმი, 1956 წელი)

# ოლიმპიელი ალექსი ფანჩულიძე - ჰოლანდიიდან

ცნობილი ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის **პაატა ნაცვლიშვილის** მრავალმხრივი შემოქმედება სპორტს, განსაკუთრებით ოლიმპიზმის კვლევასაც მოიცავს და არაერთი საინტერესო მიგნებებითაც გაუმდიდრებია ჩვენი ცოდნა ამ სფეროში.

და აი, ახალი აღმოჩენით გაგვაოცა და გაგვახარა პაატა ნაცვლიშვილმა. გუშინ თბილისში, ხელნაწერების ეროვნულ ცენტრში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომლის თემა იყო „უცხოეთის ქართული მემკვიდრეობა", პაატა ნაცვლიშვილმა წაიკითხა მოხსენება: „ალექსი ფანჩულიძე - ერთადერთი ჰოლანდიელი 1956 წლის ოლიმპიადაზე".

როგორც ხედავთ, კიდევ ერთი უნიკალური ფაქტით მდიდრდება საქართველოს ოლიმპიური მოძრაობის ისტორია. კითხვაზე, თუ როდის გახდება ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის მისი გამოკვლევის შინაარსი, მომხსენებელმა გვიპასუხა, რომ პირველად ეს მოხსენება ამ საერთაშორისო კონფერენციის მასალებში დაიბეჭდება, შემდეგ კი გამოქვეყნდება პრესასა და ტელევიზიაში. არ არის გამორიცხული, რომ ახალი მასალის დამატების შემდეგ დღემდე უცნობი ოლიმპიელის ამბავი ცალკე წიგნადაც გამოიცეს. დავძენთ, რომ ზემოხსენებული კონფერენცია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დამაარსებლის, **ილია აბულაძის** დაბადებიდან 110 წლისთავს მიეძღვნა.

**თენგიზ თომაშვილი**

წყალბურთი

# ოლიმპიკი ევროპის თასს მასპინძლობს

შარშან შემოდგომით ქართველმა წყალბურთელებმა პირველად იასპარეზეს ევროპის საკლუბო პირველობაზე. ერთ-ერთი საკვალიფიკაციო რაუნდი მაშინაც თბილისში გაიმართა და ჩვენი ბიჭები ლენტროფის გათამაშების მომდევნო ეტაპზე გავიდნენ.

და აი, ერთი წლის შემდეგ თბილისს კვლავ ეწვია წყალბურთელ ვაჟთა საკლუბო პირველობა, ამჟამად, ევროპის თასის სახელწოდებით. საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში" მომდევნო რაუნდში გასასვლელად 6 ქვეყნის წარმომადგენლები იასპარეზებენ. საქართველოს სპორტულ ღირსებას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლიგამუსი" (**ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა ქენქაძე, თამაზ ლაზარდი, იოვან პოპოვიჩი, მარკო კორდიჩი, გიორგი ხვედელიანი, გალაქტიონ ლაითაძე, მიხეილ ბაღათურია, ზურაბ რურუა, კონსტანტინე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, გიორგი ბაბუნაშვილი, ივან სტრუიჩი,** მთავარი მწვრთნელი **ზვიად დავითიანი**, მწვრთნელი-**მირიან ასათიანი**) დაიცავს. გუნდი მთლიანად ეროვნული ნაკრების წევრებითაა დაკომპლექტებული და ეს ტურნირი მათთვის ორმაგად სასარგებლოა: საერთაშორისო შეჯიბრებებში გამოსვლის გამოცდილებას გაიმდიდრებენ და ევროპის ჩემპიონატის საპლეიოფო ჩემპიონატისთვისაც მოემზადებიან: 1 ოქტომბერს ხომ საქართველოს ნაკრები რუმინეთს უნდა დაუპირისპირდეს.

ევროპის თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის A ჯგუფში უნინდებურად უნგრეთის „ჰონვედია" ფავორიტი. ექვსი ათეული წლის წინათ ჩამოყალიბებული გუნდი ექვსჯერ იყო ქვეყნის ჩემპიონი, რვაჯერ თასსა და ორჯერ სუპერთასს ფლობდა. ევროლიგის 2003-2004 წლების სეზონის გამარჯვებულმა მსგავს შეჯიბრებებში სამჯერ მეორე ადგილი დაიკავა, ერთხელ სუპერთასი მოიგო.

ოცი წელიწადია, ევროთასების გათამაშებაში მონაწილეობს საფრანგეთის „ოლიმპიკი". ნიცელებმა ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ქვეყნის ჩემპიონატის ოქროს მედლები 12-ჯერ დაიმსახურეს.

არსებობის ოთხ ათეულ წელიწადს ითვლის ჰოლანდიის „დე ჟილ ლეიდენი", ნიდერლანდების თასის ოთხგზის მფლობელი, რომელსაც ქვეყნის ჩემპიონატებში სამჯერ ვერცხლი და ერთხელ ბრინჯაო რგებია.

ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ჰყავდათ სანკტ-პეტერბურგელებს წყალბურთელ ვაჟთა რამდენიმე გუნდი: „ბალტიკა", სკიფ-ი, „სპარტაკი". ნევისპირელებს სამჯერ (1940, 1947, 1952 წ.წ.) საკავშირო ჩემპიონატებიც აქვთ მოგებული. საგულისხმოა, რომ ქართველი წყალბურთელები მეტწილად ამარცხებდნენ ლენინგრადელ მეტოქეებს. მაგალითად, 1960 წელს თბილისის „დინამომ" (ლერი გოგოლაძე, ზურაბ ლომიძე, გივი ჩიქვანაია, ირაკლი ჩხიკვაძე, ოთარ მიმინოშვილი, კონსტანტინე ავანესიანი, რეზო ჯანაშვილი, ბორის მეგედი, ვიქტორ რომანოვი, ჯუმბერ ნიკლაური და ნოდარ გვახარია), როცა სსრკ ჩემპიონატში მე-2 ადგილი დაიკავა, ლენინგრადის სამივე გუნდი ორ-ორჯერ დაამარცხა. იმედია, ლიგამუსელები წინამორბედთა ღირსეულ ტრადიციას „ოლიმპიკში" განაგრძობენ.

თბილისური ტურნირის მეექვსე მონაწილეა ხორვატიის „ვკ მედვეჟაკი", რომელიც დიდი წარმატებებით ვერ დაიკვეხნის (ერთხელ იყო ქვეყნის ჩემპიონი), მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს წყალბურთის ხორვატიული სკოლის კლასი.

შარშანდელ თბილისურ ბატალიებში თუ ორი გამოკვეთილი აუტსაიდერი (ისრაელის **ასა** და თურქეთის **ენკა**) მონაწილეობდა, წლეულს მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალის გუნდები იბრძოლებენ მომდევნო ეტაპის 4 საგზურისთვის.



დღეს პირველ ტურში ითამაშებენ: **„ჰონვედი" (უნგრეთი)-„სანკტ-პეტერბურგი" (რუსეთი), „ოლიმპიკი" (საფრანგეთი)-„ვკ მედვეჟაკი" (ხორვატია), „ლიგამუსი-თბილისი" (საქართველო)-„დე ჟილ ლეიდენი" (ჰოლანდია).**

ევროპის თასზე საქართველოს კიდევ ერთი გუნდი იასპარეზებს - თბილისის „ივერია", რომელსაც სახელოვანი წყალბურთელი **რევაზ ჩომახიძე** უდგას სათავეში. ჩვენი გუნდი B ჯგუფში გამოდის, რომელსაც სტამბოლი მასპინძლობს. თურქულ ბატალიებში ახალგაზრდა ივერიელები მასპინძელთა „ენკას", ათენის „პანიონიოსს", რუმინეთის „ამეფა არადიას", გერმანიის „ბასპო ჰანოვერსა" და ხორვატიის „მოლნარი სპლიტს" გაუწევენ მეტოქეობას. ამ ჯგუფიდანაც მე-2 რაუნდში 4 საუკეთესო გუნდი ითამაშებს. კიდევ ორი ჯგუფის საკვალიფიკაციო მატჩები იტალიასა და საფრანგეთში გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

ჭიდაობა

# ნაცნობი სახეები - ახალ სპორტკომპლექსში

თუ ზოგიერთი სპორტული ბაზა ინგრევა, ბევრი ახალიც შენდება. მარნეულში ქართული ჭიდაობის გუნდური პირველობა სწორედ ახლახან აშენებულ ბრწყინვალე სპორტკომპლექსში გაიმართა.

ეს იყო წლეულს რიგით მესამე გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. პირველი ორი მცხეთასა და გორში ჩატარდა.

მესამე ასპარეზობის ორგანიზატორი იყო ქვემო ქართლის გუბერნატორი **დავით კირკიტაძე.** გაისად ქვემო ქართლი ამ ტურნირს ორჯერ - გაზაფხულზე და შემოდგომაზე უმასპინძლებს.

ამჯერადაც ტრადიციულად რვა რეგიონის გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს - იმერეთი, ქვემო ქართლი, აფხაზეთი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი, თბილისი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი და შიდა ქართლი. თითოეულ გუნდში იყო 5-5 მოჭიდავე. 60, 70, 80, 90 და +90 წონით კატეგორიებში, პლიუს 2 სათადარიგო. ტრადიციულია ისიც, რომ მონაწილეთაგან ნახევარი ფავორიტია, . ნახევარი - აუტსაიდერი.



როგორც ყველა ქართული ჭიდაობის გუნდურ პაექრობას სჩვევია, მარნეულის ტურნირმაც ემოციურ ატმოსფეროში ჩაიარა.

ნაცნობი გუნდები და ნაცნობი მოჭიდავეები მცირედის გამოკლებით, ასევე ნაცნობი მსაჯები და სიახლე - მარნეულის სპორტკომპლექსი, სადაც პირველად აჟღერდა ქართული ჭიდაობის მუსიკა. ამ საზეიმო შერკინებას ესწრებოდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლადო ვარძელაშვილი,** ქვემო ქართლის გუბერნატორი დავით კირკიტაძე, საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **კახა გენაძე** (მთავარი მსაჯი **თეიმურაზ გიორგაძე**).

მესამე ადგილისათვის თბილისის გუნდმა 3:2 მოუგო შიდა ქართლს. ფინალურ შეხვედრაში კი ქვემოქართლელებმა მცხეთა-მთიანეთის გუნდს აჯობეს. პირველ ადგილზე გასულებს 7000, მეორეზე - 5000, მესამეზე 4000 ლარი გადაეცათ.

გამარჯვებული გუნდის ღირსებას იცავდნენ **გიორგი ტაბატაძე** (60), **ნიკა ბაშარული** (70), **ამბაკო ავალიანი** (80), **ლაშა ბერიძე** (90) და **ლომერ ყორყოლიანი** (+90).

**გაბრიელ ბარჯაძე**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ძიუდო. ეროვნული ნაკრები

# ხაბარელსაც უარი უთხრეს?

საქართველოში მოვლენები ისე სწრაფად იცვლება ხოლმე, არაფერი გვიკვირს. მათ შორის - სპორტშიც და კონკრეტულად, ძიუდოშიც. მით უფრო, სპორტის ამ სახეობაში ბოლო წლებში რამდენი უკეთურობა ვიხილეთ. ამიტომ გუშინ მომხდარი ფაქტი არ გაგვკვირვებია, თუმცა უსიამოვნო ამბად კი დაგვრჩა - საქართველოს ძიუდოს ფედერაცია უარს ამბობს ავსტრიელი **პეტერ ზაიზენბახერის** გაშვებაზე და მის ნაცვლად ნაკრების სათავეში **შოთა ხაბარელის** მოყვანაზე.

ბუნებრივია, მომხდარის მიზეზად სხვადასხვა ვერსია დასახელდება. მოვლენათა ასეთი ცვლილება არც გამკვირვებია. მეტიც - ველოდი კიდეც. ხაბარელის საკითხი იმთავითვე კულუარული ბრძოლის საგნადაც იქცა. ის ძალები, რომლებმაც თავის დროზე ნაკრებიდან მისი წასვლა განაპირობეს, დღესაც ინარჩუნებენ გავლენას. ხაბარელის კანდიდატურის დასახელებას ამჯერად ამიტომ არ ველოდი და ძალიანაც გამიკვირდა, როცა 19 სექტემბერს სეოკ-ის ოფისის გახსნის ცერემონიალზე ეს ამბავი გავიგე. მაშინვე ვიკითხე, ახლაც დაპირისპირების საგანი ხომ არ გახდება-მეთქი. მაშინ კი დამამშვიდეს, არაო, მაგრამ ფაქტი ჯიუტია. ზაიზენბახერის პოსტზე დატოვებას რაც შეეხება, ფედერაციის პოზიციაში იმთავითვე მსოფლიოს ჩემპიონატზე მომხდარი მარცხის „გაპრავების" მცდელობა დავინახეთ. ჩვენთვის მიუღებელი სწორედ ეს მცდელობაა, რადგან სიმართლე თუ არ ითქვა, მაშინ იგივე შეცდომებიც გარანტირებულია და იგივე შედეგი ოლიმპიადაზეც - რაც პარიზში მივიღეთ. ფედერაციის პოზიციაც გაუგებარია, რატომ ებღაუჭება ასე ავსტრიელს, როცა მისი სამწვრთნელო შესაძლებლობები არც ისე მაღალი ყოფილა - მსგავს შედეგს ჩვენი მწვრთნელებიც ალწევდნენ, ხოლო ფიზმომზადებაში ახალგაზრდულ გუნდებში არანაკლები მიღწევები ჰქონდათ **სოსო ლიპარტელიანს** და **გიორგი გუგავას**. ავსტრიელი იმთავითვე რატომღაც ფედერაციის პროტეჟე ჩანდა და ალბათ, ამიტომაც გაუფორმეს ჩუმად და მალულად კონტრაქტი ოლიმპიადამდე, როცა თავდაპირველად ოფიციალურ ცერემონიალზე მასთან ხელშეკრულება მხოლოდ მსოფლიოს პირველობამდე დადეს.

არაა გამორიცხული, ამ ამბით ქართულ ძიუდოში დაპირისპირების ახალი ტალღა აგორდეს. უკვე ვრცელდება ინფორმაცია, რომ ზაიზენბახერის ხელმძღვანელობით ვარჯიში არც სპორტსმენებს სურთ, რომლებიც მსოფლიოზე მარცხის მიზეზს მის სავარჯიშო მეთოდიკაში ხედავენ, ხოლო თავად ხაბარელს გუშინ საღამოს სპორტის სამინისტროში უხმეს. არ გამოვრიცხავთ, ხაბარელმა ამის შემდეგ უცხოეთსაც მიაშუროს სამუშაოდ, რისგანაც აქამდე კატეგორიულად იკავებდა თავს. თუ წავა, არც გაემტყუნება, თუმცა თვითონ ამჯერადაც კატეგორიულად გამორიცხავს ამას.

**ირაკლი თავაძე**

სპორტული რადიო
ჯა - კო
Ja - Ko
FM 96.3
FM 96.3
WWW.RADIOJAKO.GE

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ლიგის თასი

# ოუენი ცოცხალია!

**20 სექტემბერს** ინგლისის ლიგის თასის მე-3 რაუნდში რამდენიმე საინტერესო შეხვედრა გაიმართა. მათ შორის ყველაზე დიდ ინტერესს, ბუნებრივია, პრემიერლიგური გუნდების დაპირისპირებები იწვევდა. "მანჩესტერ იუნაიტედი" "ლიდსს" "ელანდ როუდზე" ეწვია, "არსენალი" "შრიუსბერის" დაუპირისპირდა, "ნოტინგემ ფორესტი" - "ნიუკასლს, "სტოკი" კი "ტოტენჰემს".



**მაიკლ ოუენმა** მიმდინარე სეზონში პირველად დაიწყო მატჩი სასტარტო შემადგენლობაში და ეს მოვლენა დუბლით აღნიშნა. ამით მან ყველას მიანიშნა, რომ მისი ჩამოწერა ძალიან ადრეა. მე-15 წუთზე ვეტერანმა მარჯვენა ფლანგიდან პასი **ჟი სუნ პარკისგან** მიიღო, ერთი მოძრაობით დაამუშავა ბურთი და მოატყუა მეტოქე, მეორე შეხებით კი ისე დაარტყა, რომ ბურთი და მეკარე სხვადასხვა კუთხეში აღმოჩნდნენ. 32-ე წუთზე საჯარიმოსთან ახლოს მაიკლმა ბურთი ისევ მარჯვენა ფლანგიდან მიიღო, ამჯერად **ანტონიო ვალენსიასგან**. ისევ ერთი შეხებით დაამუშავა და მეკარისგან მაღალ, მარჯვენა კუთხეში დაარტყა. ლიდსელები ცდილობდნენ მეტოქისთვის ღირსეული წინააღმდეგობა გაეწიათ, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი გამოსდიოდათ. მათ მხოლოდ ერთი რეალური მომენტი შექმნეს, ჯერ **ტომ ლისმა**, შემდეგ კი დამატებაზე **როსი მაკორმაკმა** სცადეს "მანიუს" კარის აღება, მაგრამ დიდებულად გაისარჯა **დიმიტარ ბერბატოვი**, რომელმაც ბურთი ორჯერ გამოიტანა ცარიელი კარიდან. გუნდების კლასს შორის უზარმაზარ სხვაობას ტაიმის ბოლოს კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი: **რაიან გიგზმა**, მარცხენა ფლანგზე მეტოქე პატარა ბავშვივით მოატყუა და საჯარიმოში შეჭრილმა ტერფის გარეთა მხრიდან დაარტყა, **ენდი ლონეგრანისგან** მცირე რიკოშეტის შემდეგ ანგარიში უკვე გამანადგურებელი გახდა. მიიღო რა კომფორტული უპირატესობა მისმა გუნდმა, სერ **ალექს ფერგიუსონმა** მეორე ტაიმში მინდორზე დებიუტანტებს **პოლ პოგბასა** და **ლარნელ კოულს** უხმო. შოტლანდიელმა სასტარტოშივე ანდო ადგილი "მანიუს" აკადემიის კიდევ ერთ აღზრდილ **ეზეკილ ფრაიერსს**. ასე რომ, მიუხედავად რაღაც დოზით ექსპერიმენტებისა, მატჩი შედგა და ჩემპიონები წინ მიიწევენ. თამაშის შემდეგ ფერგიუსონმა განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი მაიკლ ოუენის ბრწყინვალე თამაშს. აი, რა თქვა მან: *"ოუენი ფანტასტიკური ფეხბურთელია, ის თავის საქმეს პროფესიულად უდგება. მისი მეორე გოლი კი უბრალოდ შედევრი იყო. ვწუხვარ, რომ მაიკლს თავის გამოჩენის შანსი ხშირად არ ეძლევა, მაგრამ ასეთი დონის თავდამსხმელის თადარიგში ყოფნაც კი ძალიან მაგარია".*

ბევრად უფრო რთული შეხვედრა გადაიტანა "არსენალმა". "ახალი სტარტი", როგორც ამ შეხვედრას **არსენ ვენგერმა** უწოდა, კინაღამ ჩაიშალა. ქვედალიგელმა "შრიუსბერიმ" ნამდვილად ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია პრემიერლიგის გრანდს. თამაში მასპინძლების შეტევებით დაიწყო. პირველი მომენტი **ჩუ იუნ-გი-გიბსის** კომბინაციის შემდეგ **მარუან შამახს** შეექმნა, მაგრამ მეკარე **ბენჯამინ სმიტმა** მაროკოელის თავურს საოცარი რეაქციით უპასუხა, მალე იმავე შამახს შეეძლო გატანა, თუმცა თავდამსხმელის მიერ მეკარის მოძრაობის საწინააღმდეგოდ დარტყმულ ბურთს სმიტმა ისევ მოუძებნა ღირსეული პასუხი. ის იყო, გულშემატკივრებმა იფიქრეს, გოლი "მწიფდებაო", რომ ის მართლა გავიდა, ოღონდ "არსენალის" კარში – სტუმრებმა ელემენტარული ორსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს და ბურთი საჯარიმოში დაკიდეს, **იოან ჯურუ** რატომ არ აუხტა **ჯეიმსს კოლინზს**, ნამდვილად ვერ გეტყვით. 33-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა: კირან გიბსმა **კარლ ჯენკინსონის** ჩაწოდებულს თავით "ურქინა", თუმცა სმიტის შეცდომის გარეშე ეს ბურთი ვერ გავიდოდა, მეკარემ ბურთი ახლო კუთხეში გაუშვა. 58-ე წუთზე 18 წლის **ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენმა** 27-28 მეტრიდან არაადამიანური ძალით მოიქნია ფეხი და მეკარე კიდევ ერთხელ დატოვა ხახამშრალი. ზუსტად 20 წუთში იმავე ოქსლეიდ-ჩემბერლენისა და მეორე 18 წლის "ღლაპის" **ოგუჟან ოზიაკუპის** მიერ გათამაშებული კომბინაციის შემდეგ თავი **იოსი ბენაიუნმა** გამოიჩინა. ოქსლეიდ-ჩემბერლენის გარჯით კმაყოფილი დარჩა არსენ ვენგერი. აი, რა თქვა თინეიჯერ შეგირდზე ფრანგმა სპეციალისტმა: *"მომავალში ის აუცილებლად გახდება ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი. თუმცა ამ ეტაპამდე მას ბევრი მუშაობა მოუწევს. თავიდან ალექსი ცოტას ნერვიულობდა, მეორე ტაიმში კი ყველაფერი გვიჩვენა, რაც შეეძლო".*

დრამა განვითარდა "სიტი გრაუნდზე", სადაც "ნოტინგემ ფორესტმა" პრემიერლიგის მეოთხეადგილოსანი "ნიუკასლი" მიიღო. **პეტერ ლიოვენკრანდსის** დუბლის წყალობით ფავორიტები ორჯერ გავიდნენ წინ, თუმცა **რობი ფინდლისა** და **მეტ დერბიშირის** გოლებით მასპინძლებმა ორჯერვე გაათანაბრეს და თამაში დამატებით დროში გადაიყვანეს. 93-ე წუთზე სტუმრები მესამედ გავიდნენ წინ, თავი **დენი სიმპსონმა** გამოიჩინა. 10 წუთში **მარკუს ტუდგეიმ** კიდევ ერთხელ გაათანაბრა. "ნოტინგემს" პენალტების სერიამდე წამები დააკლდა, **ფაბრისიო კოლოჩინიმ** დამატებითი დროის კომპენსირებულ მეორე წუთზე დაახლოებით 2 მეტრიდან თავით გაიტანა - 4:3.

აი, "სტოკ სიტიმ" და "ტოტენჰემმა" კი უგოლო 120 წუთის შემდეგ ურთიერთობა პენალტების სერიაში გაარკვიეს. შეხვედრამ გუნდები ისე გადაღალა, იმის გათვალისწინებით, რომ ორივე გუნდს თამაშები 4-4 ფრონტზე აქვს (პრემიერლიგა, ლიგისა და ასოციაციის თასები, პლუს, ევროპის ლიგა) შეიძლება ვივარაუდოთ, მომდევნო დაპირისპირებისთვის ისინი ძალებს სრულად ვერ აღიდგენენ.

ჟურნალისტები ვარაუდობდნენ, რომ **ტონი პულისი** "დეზებს" მეორე შემადგენლობას დაუპირისპირებდა, თუმცა ეს ასე არ მოხდა. ძირითადში იყო ექსტოტენჰემელი **ვილსონ პალასიოსი**, თუმცა სკამზე დარჩა კიდევ ერთი "ექსი" **პიტერ კრაუჩი**, ვინც მე-18 წუთზე შეცვლაზე ტრავმირებული **კენუაინ ჯონსის** მაგივრად შევიდა. რაც შეეხება სტუმარს, **ჰარი რედნაპმა** **იუნეს კაბულსა** და **ასუ-ეკოტოს** დამატებული ახალტრავმამოშუშებული **ვან დერ ვაარტი, ჩორლუკა** და რეზერვისტები გამოიყვანა. პირველივე წუთებიდან ცხადი იყო, რომ მატჩი არ იქნებოდა გახსნილი. პირველი რეალური მომენტები ტაიმის მიწურულს მასპინძელთა კართან შეიქმნა, როცა ჯერ **სანდროს**, შემდეგ კი **კეროლს** მიეცათ გატანის შანსი. ანგარიშის გახსნა შეეძლო კრაუჩსაც, მაგრამ ყოფილი თანაგუნდელის დარტყმას **გომეში** გაუმკლავდა. გუნდებს არაფერი გამოუვიდათ არც დამატებით დროში. საქმე პენალტების სერიაზე მიდგა, სადაც გადამწყვეტი დარტყმა ტოტენჰემელ **მასიმო ლუონგოს ტომას სორენსენმა** აუღო. დამატებით პენალტებამდე თავისი დარტყმები კარს ააცილეს **ჯერმეინ პენანტმა** და **რომან პავლუჩენკომ**.

არსენალი



არსენ ვენგერს (ცენტრში) არსენალში დარჩენა კიდევ დიდი ხნით უნდა

# ვენგერს ესმის

## ემირეიტსზე კი ფრანგის ბოლომდე სჯერათ

**არსენ ვენგერს** "შრიუსბერისთან" გამარჯვების შემდეგ პრესკონფერენციაზე მრავალ შეკითხვაზე მოუხდა პასუხის გაცემა. ეს ბუნებრივიც არის, რადგან "მეთოფეებმა" უკანასკნელი 58 წლის განმავლობაში ყველაზე ცუდი სტარტი აიღეს ჩემპიონატში და კანტიკუნტად, მაგრამ უკვე გამოჩნდნენ ისეთი გულშემატკივრებიც, ვინც ვენგერის გუნდიდან გაშვებას ითხოვენ. ისინი გაოცებულები არიან ბოლოდროინდელი საკადრო პოლიტიკით. მაგალითად პირდაღებულნი დარჩნენ, როცა კლუბმა ყველასთვის უცნობ **ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენში** ლიგა ერთში დაქვეითებულ "საუთჰემპტონს" 12 მილიონი გირვანქა გადაუხადა. ამ "ავანტიურის" ავტორი კი, ბუნებრივია, სწორედ ვენგერია. სამაგიეროდ, ის უარს ამბობს წამყვან ფეხბურთელებთან ახალი, გაუმჯობესებული კონტრაქტების გაფორმებაზე, რის გამოც ბევრ მათგანს თვალი წასვლაზე უჭირავს. მათ საპასუხოდ ფრანგი სპეციალისტი აცხადებს, რომ ლონდონში დარჩენას კიდევ დიდხანს გეგმავს. *"მე მესმის გულშემატკივართა უკმაყოფილების საფუძველი, მაგრამ ისიც მშვენივრად ვიცი, რომ ხალხი ხანდახან ყოველგვარ საზღვარს გადადის. მე კრიტიკის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მეტიც, არასოდეს მითქვამს, რომ ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს. თუმცა, როგორც ყველა ადამიანს, მირჩევნია ქება ვისმინო. უკვე 14 წელია, "არსენალის" მთავარი მწვრთნელი ვარ და არასოდეს ჩემი გუნდი ჩემპიონთა ლიგის მიღმა არ დარჩენილა. იმედი მაქვს, ეს კიდევ 14 წელიწადს გაგრძელდება. ის, რომ "შრიუსბერისთან" რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელმა თავი კარგად წარმოაჩინა, მაგალითად კოკელენმა და ოქსლეიდ-ჩემბერლენმა, ხაზს უსვამს, რომ გუნდს დიდებული პერსპექტივა აქვს".*

ვენგერის მომავალზე კომენტარი გააკეთა კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა **ივან გაზიდისმა**. მისი თქმით, "არსენალის" მთავარი მეწილე **სტენ კროენკე** ფრანგი მწვრთნელის მიერ გუნდში გატარებულ პოლიტიკას ბოლომდე ენდობა. *"მისტერ სტენ კროენკე ბოლომდე ერთგული დარჩება კლუბში ვენგერისა და მის მიერ დანერგილის სტრატეგიისა. სატრანსფერო საქმეებში ის თავად აქტიურად მონაწილეობდა. მის მხარდაჭერას კი კლუბში ყველა გრძნობს, მით უმეტეს მუსიე არსენი,"* – აცხადებს სამხრეთაფრიკელი ფუნქციონერი.

ლიგა 1. VII ტური

# აზარის ექსკლუზივი

"ბორდომ" და "ლილმა" მაყურებელს თვალსასეირო სანახაობა შესთავაზეს – **ედენ აზარის** ფანტასტიკური გოლი, დიდებული **მიკაელ ლანდრო**, გატანილი და გაფუჭებული პენალტები და რაც მთავარია, **ჯო კოულის** პირველი სერიოზული გაელვება. ყოველივე ამაზე მკითხველს ქვემოთ მოვუთხრობთ.

საფრანგეთის 2009 წლის კრიზისში ჩაფლული ჩემპიონი მოქმედი ოქროსმედალოსნის წინააღმდეგ წარდგა, რომელსაც ორი ფრის შემდეგ (ცსკა 2:2, სოშო 2:2) დასამტკიცებელი ჰქონდა, რომ ის ისევ ფორმაშია. ყოველივე თითქოს იოლ საპროგნოზოს ხდიდა სტუმრების მოგებას, მაგრამ საქმე არც მთლად ასე იოლად იყო. აღმოჩნდა, რომ **ფრანსის ჟიიოს** გუნდიც ნელა, მაგრამ უმატებს. მათ ეს ამ შეხვედრაში გვიჩვენეს. ყველა ერთხმად ამტკიცებს, რომ ჟირონდელთა უმთავრესი პრობლემა ფსიქოლოგიაშია. ამას აღიარებს თავად მწვრთნელიც, მაგრამ დიაგნოზის მიუხედავად გუნდს ვერაფრით შველის. არადა, ჟიიო რომ ნიჭიერი სპეციალისტია, ამაზე საფრანგეთში არავინ კამათობს.

ორივე გუნდმა აგრესიული დაცვა აირჩია, ამიტომაც ბურთი ძირითადად ცენტრში მოძრაობდა. მეტოქის საჯარიმოში ბორდოელის ბურთით ლამის პირველივე გამოჩენას პენალტი მოჰყვა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსაჯი **ტონი შაპრონი** მწარედ შეცდა, რადგან **ფლორან ბალმონს შეიხ დიაბატეს** წინააღმდეგ წესები არ დაურღვევია, მალელმა ფეხბურთელმა სტუმარს ფეხები აშკარად პირადი ინიციატივით გამოსდო. "დაზარალებულმა" მართალია ცუდად დაარტყა, მაგრამ მიკაელ ლანდრო ბურთს თითებითღა შესწვდა - 1:0. ჩემპიონმა ამის შემდეგ კი მოინდომა ინიციატივის ხელში აღება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მშვენივრად მოქმედებდა "ბორდოს" შუა ხაზი, რომელიც "ლილის" ყოველ ასეთ მცდელობას საკუთარ ნახევარზევე შლიდა.

პრაქტიკულად არ ჩანდა **ბენუა პედრეტი**. სამაგიეროდ აქტიურობდნენ **ჯო კოული** და ედენ აზარი. სახიფათო მომენტი "ლილის" კართან **მორის-ბელაის** აქტიურობის შემდეგ **იოან გუფრანმა** შექმნა, მაგრამ მისმა დარტყმულმა ძელს სანტიმეტრებში ჩაუქროლა. მე-40 წუთზე აზარის კუთხურს ბალმონი თავით გამოეხმაურა. მასპინძელთა 23 წლის სათადარიგო გოლკიპერმა **კევინ ოლიმპამ** ის გაჭირვებით მოიგერია, თუმცა ბურთი **მუსა სოვს** მიუვიდა. სენეგალელის დარტყმული ძელს მოხვდა და ჯო კოულს მიუგორდა, ინგლისელის დარტყმული კი სასწაულ ნახტომში ისევ ოლიმპამ გააუვნებლა. ეს მომენტი გარდამტეხი აღმოჩნდა – "ლილმა" ინიციატივა ხელთ იგდო. მასპინძლებზე ზეწოლა გაძლიერდა, რამაც შედეგი 57-ე წუთზე მოიტანა. კოულმა დროულად დაინახა მარცხენა ფლანგზე გახსნილი აზარი, ბელგიელმა სამი მცველი ექსკლუზიურად მისთვის ჩვეული სიმსუბუქით ჩამოიცილა და შორეულ დაბალ კუთხეში დაარტყა. ამ შემთხვევაში მეკარე უკვე უძლური აღმოჩნდა. მოსაგებად "ლილი" წინ დიდი ძალებით წავიდა, შესაბამისად დაცვა მოშიშვლდა და დაიწყო შეცდომების კასკადი, მაგრამ ლანდრო იდეალურად თამაშობდა. მე-80 წუთზე მეკარემ საკუთარ საჯარიმოში **ბენ ჰალფალაჰა** დასცა. დაინიშნა პენალტი, რომელიც ისევ დიაბატემ დაარტყა. ლანდრომ შეძლო საკუთარი შეცდომის გამოსწორება. ანგარიში მატჩის ბოლომდე აღარ შეცვლილა.

თამაშის შემდეგ ჟურნალისტები ჯო კოულის აზრით დაინტერესდნენ. აი, რა განაცხადა ინგლისელმა: *"ქულა გასვლით შეხვედრაში არ შეიძლება ცუდ შედეგად ჩაითვალოს, მაგრამ ჩემთვის აშკარაა, რომ ეს შეხვედრა უნდა მოგვეგო. მე რაც შემეხება, "ლილში" თავს ბედნიერად ვგრძნობ. იმედია, ამიერიდან ჩემს გუნდს უფრო მეტად დავეხმარები".*



ჯო კოული ლილს ნელ-ნელა უშინაურდება

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პასი ამერიკიდან

● არგენტინა. აპერტურა. VII-VIII ტური


ლუკას ვიატრი გოლს აღნიშნავს

# ამას ვის ვხედავთ პირველ ადგილზე!

## 666-წუთიანი მშრალი სერია და მეკარის გოლი

**VII ტური**

**ინდეპენდიენტე-კოლონი 0:1**

**გოლი:** 0:1 იგუაინი (16)

**ოლიმპო-გოდოი კრუსი 2:2**

**გოლები:** 0:1 სანჩესი (44), 1:1 ფურჩი (60), 2:1 ფურჩი (65), 2:2 კარუსო (77)

**გაძევება:** ზ. გარსია (37. გოდოი კრუსი)

**სან მარტინი-ბელგრანო 0:1**

**გოლი:** 0:1 პერესი (82)

**ტიგრე-არსენალი 2:2**

**გოლები:** 0:1 სელაია (32), 1:1 მორალესი (53-პენ), 2:1 ეჩევერია (60), 2:2 ბურდისო (85)

**გაძევება:** კამპესტრინი (72. არსენალი)

**ოლ ბოისი-ბანფილდი 0:1**

**გოლი:** 0:1 ელუჩანსი (68)

**სან ლორენსო-ატლეტიკო 1:3**

**გოლები:** 0:1 განდინი (69), 1:1 ს. გონსალესი (88), 1:2 ფ. გონსალესი (90), 1:3 ა. კასტრო (90-პენ)

**გაძევება:** რომეო (90. სან ლორენსო)

**ნიუელსი-ველესი 1:1**

**გოლები:** 0:1 ა. ფერნანდესი (78), 1:1 ვალენსია (89)

**ესტუდიანტესი-არხენტინოსი 4:3**

**გოლები:** 0:1 სალსედო (3), 0:2 ბარსოლა (32), 1:2 მერკადო (36), 2:2 კარილიო (40), 3:2 მ. ფერნანდესი (44), 3:3 ბარერა (85), 4:3 მერკადო (86)

**ლანუსი-ბოკა 1:2**

**გოლები:** 0:1 ვიატრი (5), 1:1 ინსაურალდე (46 ს.კ.), 1:2 ერვიტი (61)

**სანტა ფე-რასინგი 1:1**

**გოლები:** 0:1 მორენო (10), 1:1 ბოლონია (67)

**გაძევება:** ბარალესი (71. სანტა ფე)

**თქვენ წინაშეა აპერტურის მე-7 ტურის მიმოხილვა, თუმცა ამ ქვეყანაში უკვე მე-8 ტურის ნაწილიც გაიმართა და არც ამ შეხვედრებს დავტოვებთ უყურადღებოდ.**

### ტურის მოვლენები

„ბოკა ხუნიორსი" ერთპიროვნული ლიდერია! ასეთი რამ კი სამ წელიწადზე მეტია არ მომხდარა. რა თქმა უნდა, **ფალსიონის** ფორმაციის „ბოკას" ჯერ კიდევ ბევრი უკლია **კარლოს ბიანკის** შესანიშნავ გუნდთან, თუმცა დღეისათვის პრაგმატიზმი პირველ ფონზე გადმოდის - ფალსიონის გუნდი კი ცხრილში პირველია. გუნდში დაცვის ხაზი სტაბილურია, არადა, სწორედ დაცვა იყო „ბოკას" შარშანდელი კამპანიის მთავარი თავსატეხი, ახლა კი 7 მატჩში გუნდმა მხოლოდ 2 გოლი გაუშვა. მეკარე **ორიონს** თამაშიდან გოლი საერთოდ არ გაუშვია, ერთხელ საჯარიმოთი გაუტანეს და ერთხელ თავისივე ფეხბურთელმა „იყოჩაღა". ბოლოს „ბოკამ" სწორედ „ლანუსთან" წააგო, რომელსაც ამ ტურში აჯობა და გალიდერდა. მას მერე კი ბუენოსაირესელებმა ზედიზედ 17 მატჩი არ წააგეს.

„ესტუდიანტესმა" პირველად მოიგო და თანაც როგორ! 7-გოლიანი თრილერი სულ ბოლოს დაასრულა თავის სასარგებლოდ. ამ მატჩს შეეწირა „არხენტინოს ხუნიორსის" თავკაცი **პედრო ტროლიო**, რომელიც უმალვე გადადგა. შედეგების მიხედვით ეს გადადგომა ლოგიკურია, თუმცა თამაშით გუნდს ეტყობოდა, რომ ტროლიო მას კიდევ ბევრს შემატებდა. თუმცა თავად ტროლიომ ინება წასვლა. სხვათა შორის, მან თქვა, რომ თამაში 3:3-იც რომ მორჩენილიყო, მაინც წავიდოდა.

მაჩანჩალა „ბანფილდმა", როგორც იქნა, მოიგო, ჩემპიონატში კი პირველი გოლი გაიტანა. ამ ისტორიული გოლის ავტორი **ხუან ელუჩანსია**. იცით, რამდენი წუთის განმავლობაში ვერ გაპქონდა ბურთი „ბანფილდს"? 666...

„სან ლორენსოს" კრიზისი აშკარაა, დიდებული სტარტის მერე არეული თამაში. ზუსტად ასეთი რამ შეემთხვა ბოლო სეზონში „რასინგს".

ტურის მოვლენად **ჯოვანი მორენოს** გოლი შევრაცხეთ, მართალია, ამ საჯარიმოთი „რასინგმა" ვერ მოიგო, მაგრამ „ჯიოს" ფანტასტიკური ცაცია ისევ სჩადის საოცრებებს.

**რამონ დიასის** „დებიუტი" „ინდეპენდიენტეში" უღიმღამო გამოდგა, მისმა გუნდმა შინ „კოლონთან" 0:1 წააგო. „სანტა ფეს" მეკარე **ენრიკე ბოლონიამ** გოლი თამაშიდან გაიტანა! მან თავისივე გაფუჭებულ პენალტს დაამატა - ესეც ტურის კურიოზი...

### ტურის ციფრები

29 გოლი ტურში არაა ურიგო შედეგი, ამ ჩემპიონატისთვის კი სულაც ფანტასტიკურია. 17:12 სტუმრების სასარგებლოდ.

ტურში ორი დუბლი შესრულდა, თავი „ოლიმპოს" ფორვარდმა **ხულიო ფურჩმა** და „ესტუდიანტესის" მარჯვენა მცველმა **გაბრიელ მერკადომ** გამოიჩინეს.

### ტურის მატჩი

**ესტუდიანტესი VS არხენტინოსი**

ლიდერთა ბრძოლა ამ შეხვედრასთან ახლოსაც ვერ მივიდა.

### ტურის გმირი

**გაბრიელ მერკადო** (ესტუდიანტესი)

სამწუხაროა, რომ ამ კარგ მარჯვენაფლანგელს ნაკრებში შანსს არ აძლევენ. „არხენტინოსთან" მატჩში მერკადომ გუნდის პირველი და ბოლო (გადამწყვეტი) გოლები გაიტანა.

### ტურის გოლები

**სანტიაგო სალსედო** (არხენტინოსი), **ჯოვანი მორენო** (რასინგი), **ხუან ელუჩანსი** (ბანფილდი).

**VIII ტური**

**არსენალი-ოლ ბოისი 1:2**

**გოლები:** 0:1 ფერეირა (19), 0:2 ფერეირა (34), 1:2 ლ. ლოპესი (90)

**ბანფილდი-ოლიმპო 1:1**

**გოლები:** 0:1 როლე (26), 1:1 ლასო (55)

**კოლონი-სან მარტინი 0:0**

**გვიან დასრულდა:** ველესი-სან ლორენსო, ატლეტიკო-ინდეპენდიენტე, ბელგრანო ლანუსი, რასინგი-ნიუელსი.

**დღეს:** გოდოი კრუსი-სანტა ფე, არხენტინოსი-ტიგრე, ბოკა-ესტუდიანტესი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოკა | 7 | 5 | 2 | 0 | 10-2 | 17 |
| 2. ატლეტიკო | 7 | 5 | 1 | 1 | 12-6 | 16 |
| 3. კოლონი | 8 | 4 | 3 | 1 | 8-5 | 15 |
| 4. ლანუსი | 7 | 4 | 2 | 1 | 9-3 | 14 |
| 5. რასინგი | 7 | 3 | 4 | 0 | 7-2 | 13 |
| 6. ტიგრე | 7 | 3 | 3 | 1 | 10-7 | 12 |
| 7. ბელგრანო | 7 | 3 | 3 | 1 | 8-5 | 12 |
| 8. გოდოი კრუსი | 7 | 3 | 2 | 2 | 13-10 | 11 |
| 9. სანტა ფე | 7 | 2 | 3 | 2 | 5-7 | 9 |
| 10. ოლ ბოისი | 8 | 2 | 3 | 3 | 7-12 | 9 |
| 11. ველესი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-6 | 8 |
| 12. ნიუელსი | 7 | 1 | 5 | 1 | 5-5 | 8 |
| 13. არსენალი | 8 | 2 | 2 | 4 | 9-10 | 8 |
| 14. ინდეპენდიენტე | 7 | 2 | 1 | 4 | 3-6 | 7 |
| 15. სან ლორენსო | 7 | 2 | 1 | 4 | 8-10 | 7 |
| 16. ოლიმპო | 8 | 1 | 4 | 3 | 7-10 | 7 |
| 17. სან მარტინი | 8 | 1 | 4 | 3 | 5-7 | 7 |
| 18. ესტუდიანტესი | 7 | 1 | 2 | 4 | 8-13 | 5 |
| 19. არხენტინოსი | 7 | 0 | 4 | 3 | 6-13 | 4 |
| 20. ბანფილდი | 8 | 1 | 1 | 6 | 2-10 | 4 |

**ბომბარდირები:** 5 - რამირესი (გოდოი კრუსი); 4 - განდინი (ატლეტიკო), გუტიერესი (რასინგი).

● ბრაზილია. სერია A. XXIV ტური

# ვასკუს ტრიუმფი

## ვანდერლეი ლუშემბურგოს ანტირეკორდი

**ატლეტიკო გ.-ატლეტიკო მ. 1:0**

**გოლი:** 1:0 ვიტორ ჟუნიორი (61)

**ვასკუ და გამა-გრემიო 4:0**

**გოლები:** 1:0 ელტონი (4), 2:0 დიეგო სოუზა (34), 3:0 ედერ ლუისი (52), 4:0 ფაგნერი (61)

**სან პაულუ-სეარა 4:0**

**გოლები:** 1:0 ჟუანი (42), 2:0 პირისი (44), 3:0 კაზემირო (65), 4:0 რივალდო (72)

**ბაია-ფლუმინენსე 3:0**

**გოლები:** 1:0 სოუზა (28), 2:0 გუმი (61 ს.კ.), 3:0 სოუზა (71)

**გაძევება:** გუმი (70. ფლუმინენსე)

**ავაი-პალმეირასი 1:1**

**გოლები:** 1:0 ბატიშტა (5), 1:1 ჩიკო (41)

**გაძევება:** რივალდო (23. პალმეირასი), ჟერლეი (48. პალმეირასი), რაფაელ კოელიო (61. ავაი)

**კორინთიანსი-სანტოსი 1:3**

**გოლები:** 1:0 ლიედსონი (12), 1:1 ენრიკე (37), 1:2 ბორჟესი (53), 1:3 ჩიკაო (80 ს.კ.)

**გაძევება:** ენრიკე (66. სანტოსი)

**ბოტაფოგო-ფლამენგო 1:1**

**გოლები:** 1:0 აბრეუ (25), 1:1 ჟაელი (49)

**ინტერნასიონალი-კორიტიბა 1:1**

**გოლები:** 1:0 ოსკარი (1), 1:1 ემერსონი (47)

**შენიშვნა:** ანდერსონ აკინო სათადარიგო იყო

**ატლეტიკო პ.-ფიგეირენსე 0:0**

**კრუზეირო-ამერიკა 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვასკუ | 24 | 13 | 6 | 5 | 37-27 | 45 |
| 2. სან პაულუ | 24 | 13 | 5 | 6 | 39-28 | 44 |
| 3. კორინთიანსი | 24 | 13 | 4 | 7 | 36-26 | 43 |
| 4. ბოტაფოგო | 23 | 12 | 5 | 6 | 37-26 | 41 |
| 5. ფლუმინენსე | 24 | 12 | 1 | 11 | 30-29 | 37 |
| 6. ფლამენგო | 24 | 9 | 10 | 5 | 39-32 | 37 |
| 7. ინტერნასიონ. | 24 | 9 | 9 | 6 | 40-31 | 36 |
| 8. პალმეირასი | 24 | 8 | 11 | 5 | 30-24 | 35 |
| 9. კორიტიბა | 24 | 9 | 6 | 9 | 40-30 | 33 |
| 10. ატლეტიკო გ. | 24 | 9 | 6 | 9 | 30-27 | 33 |
| 11. სანტოსი | 22 | 9 | 5 | 8 | 32-33 | 32 |
| 12. ფიგეირენსე | 24 | 8 | 8 | 8 | 28-30 | 32 |
| 13. გრემიო | 23 | 8 | 6 | 9 | 27-31 | 30 |
| 14. კრუზეირო | 24 | 8 | 5 | 11 | 30-28 | 29 |
| 15. სეარა | 24 | 7 | 6 | 11 | 30-41 | 27 |
| 16. ბაია | 24 | 6 | 9 | 9 | 28-32 | 27 |
| 17. ატლეტიკო მ. | 24 | 7 | 3 | 14 | 30-41 | 24 |
| 18. ატლეტიკო პ. | 24 | 5 | 8 | 11 | 24-36 | 23 |
| 19. ავაი | 24 | 5 | 7 | 12 | 28-49 | 22 |
| 20. ამერიკა | 24 | 3 | 10 | 11 | 30-44 | 19 |

**ბომბარდირები:** 17 - ბორჟესი (სანტოსი); 13 - ლეანდრო დამიაო (ინტერნასიონალი), 12 - რონალდინიო (ფლამენგო), მონტილიო (კრუზეირო).

**მომდევნო ტური**

გვიან დასრულდა: ფლუმინენსე-ავაი, კორიტიბა-კრუზეირო, ამერიკა-სანტოსი, ბაია-ატლეტიკო პ., სან პაულუ-კორინთიანსი, ატლეტიკო მ-ფლამენგო, ფიგეირენსე-ინტერნასიონალი.

დღე: სპალმეირასი-სეარა, ვასკუ და გამა-ატლეტიკო გ, გრემიო-ბოტაფოგო.

ბოლო 17 ტურში პირველად ბრაზილიაში ლიდერი შეიცვალა - დღეიდან, პირველი „ვასკუ და გამაა". ახალმა ლიდერმა ეს შინ „გრემიოს" 4:0 განადგურებით შეძლო. ძალიან მაგრად ითამაშა ნახევარმცველმა **დიეგო სოუზამ**. მის ანგარიშზე გოლი და ორი საგოლე პასია. „ვასკუს" პროგრესი თვალში საცემია, არადა, ეს გუნდი მხოლოდ შარშან დაბრუნდა ელიტაში.

ახლა „ვასკუ" ჩემპიონობისთვის იბრძვის, ბრაზილიის თასის მფლობელს შეუძლია ლიბერტადორესის თასის საგზურზე (ანუ ოთხეულში მოხვედრაზე) აღარ იფიქროს, გარისკოს და მაქსიმალური ამოცანა დაისახოს მიზნად. რამდენად რეალურია ეს? რატომაც არა - „ვასკუს" ბრწყინვალე შემადგენლობა ჰყავს, განსაკუთრებით კი შუა ხაზში. რიოელებს თავისუფლად შეუძლიათ ჩემპიონობისთვის ბრძოლა, რომელშიც მათ მთავარ კონკურენტად „სან პაულუ" გვესახება, რომელმაც ასეთივე ანგარიშით „სეარა" გაანადგურა.

„ტრიკოლორმა" სტუმართა წინააღმდეგობა პირველი ტაიმის მიწურულს ორი გოლით გატეხა. მეორე ტაიმში „სეარა" ახალგაზრდა **კაზემირომ** და ვეტერანმა **რივალდომ** საბოლოოდ გაანადგურეს. განსაკუთრებით ბრწყინვალე კაზემიროს გოლი იყო 25 მეტრიდან.

„კორინთიანსი" ბოლო ორი თვე მხოლოდ იღბლისა და მეტოქეების წყალობით ინარჩუნებდა ლიდერობას. და აი, საოცრებები დასრულდა - მართალია, პორტუგალიის ნაკრებში ნათამაშებმა **ლიედსონმა** (მას ჩვენს კარშიც გაუტანია) მალევე დააწინაურა „კორინთიანსი", მაგრამ ამის შემდეგ „სანტოსმა" ინიციატივა იგდო ხელთ და მასპინძლებს სამი გოლი გაუტანა, ტრადიციულად თავი გამოიჩინა ჩემპიონატის ბომბარდირმა **ბორჟესმა**. 24 მატჩში 30 წლის ფორვარდმა უკვე 17 გოლი გაიტანა. არადა, შარშანდელი ბომბარდირი ჟონასი 19 გოლით გავიდა პირველ ადგილზე.

„ფლამენგომ" კვლავ ვერ იყოჩაღა, „რუბრო-ნეგროს" აგერ უკვე 9 ტურია არ მოუგია. ეს „ფლას" ისტორიაში ანტირეკორდია. **ვანდერლეი ლუშემბურგუ** გადადგომას სულაც არ აპირებს, „ბოტაფოგოსთან" ფრის შემდეგ მან თქვა, რომ გუნდს კიდევ ცოტა დრო სჭირდება ფორმის პიკში შესასვლელად.

● ლათინური კალეიდოსკოპი

### ისევ ის ადრიანო

არა **ადრიანოს** საშველი არ იქნება: „კორინთიანსის" შლეგი ფორვარდი კვლავ დასაჯეს, ამჯერად, კლუბის ვარჯიშზე დაგვიანებისთვის. 29 წლის ფეხბურთელმა „ტიმაოს" ვარჯიშზე გვარიანად დააგვიანა, თუმცა მისი ბრალი ნაკლებად იყო - თვითმფრინავის რეისმა დაიგვიანა. კლუბში ამ მიზეზით თავი ვერ იმართლა და ადრიანოს ხელფასის 10% დაუკავეს. სხვათა შორის, „ინტერისა" და „რომას" ყოფილ ფორვარდს ტრავმის გამო მიმდინარე ჩემპიონატში ჯერ ერთხელაც არ უთამაშია.

### გოროსიტო არხენტინოსში ბრუნდება

„არხენტინოს ხუნიორსის" მთავარი მწვრთნელის პოსტი ვაკანტურია, რადგან „წითელი ხოჭოების" თავკაცმა **პედრო ტრულიომ** ბოლო ტურში მარცხის შემდეგ გადადგომა გამოაცხადა. „ოლეს" ცნობით ტრულიოს 47 წლის **ექტორ გოროსიტო** შეცვლის, რომელსაც „რივერ პლეიტში" და ესპანურ „ხერესში" უმუშავია. გოროსიტო „არხენტინოს ხუნიორსს" უკვე ედგა სათავეში - 2007-2008 წლებში.




### ნეიმარი ჩვენთვის გვინდაო

მადრიდის „რეალსა" და „ბარსელონას" კიდევ ერთი კონკურენტი გამოუჩნდა 19 წლის **ნეიმარისთვის** ბრძოლაში - ბრაზილიური „კორინთიანსი". ამ კლუბის პრეზიდენტმა **ანდრეს სანჩესმა** განაცხადა, რომ მალე „კორინთიანსი" სენსაციურ შეთავაზებას გაუკეთებს „სანტოსს": *„ჩვენ გვაქვს ნეიმარის შეძენის ფული, ეჭვიც არ შეგეპაროთ. ეს სულაც არ არის სიგიჟე, გაისად, ნეიმარმა შეიძლება, ჩვენთან ითამაშოს"*, - განუცხადა სანჩესმა „ლანსენეტს" ინტერვიუში.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ევროპასკეტი ციფრებში

## მოთამაშეები

### ქულა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. პარკერი (საფ) | 10 | 221 | 22.1 |
| 2. მაკალები (მაკ) | 11 | 235 | 21.4 |
| 3. პ. გასოლი (ესპ) | 10 | 201 | 20.1 |
| 4. ნოვიცკი (გერ) | 8 | 156 | 19.5 |
| 5. ნავარო (ესპ) | 11 | 206 | 18.7 |
| 6. კრსტიჩი (სერ) | 10 | 155 | 15.5 |
| 7. კამანი (გერ) | 8 | 124 | 15.5 |
| 8. კირილენკო (რუს) | 11 | 164 | 14.9 |
| 9. ბატუმი (საფ) | 11 | 152 | 13.8 |
| 10. სავანოვიჩი (სერ) | 11 | 147 | 13.4 |
| 13. სანიკიძე (საქ) | 8 | 96 | 12.0 |

### მოხსნა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. კამანი (გერ) | 8 | 80 | 10.0 |
| 2. აშიძი (თურ) | 8 | 68 | 8.5 |
| 3. ანტიჩი (მაკ) | 11 | 93 | 8.5 |
| 4. პ. გასოლი (ესპ) | 10 | 83 | 8.3 |
| 5. ნოა (საფ) | 10 | 80 | 8.0 |
| 6. სანიკიძე (საქ) | 8 | 64 | 8.0 |
| 7. მ. გასოლი (ესპ) | 11 | 80 | 7.3 |
| 8. ნოვიცკი (გერ) | 8 | 53 | 6.6 |
| 9. ილიასოვა (თურ) | 8 | 52 | 6.5 |
| 10. ბეგიჩი (სლო) | 11 | 71 | 6.5 |

### პასი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ტეოდოშიჩი (სერ) | 11 | 63 | 5.7 |
| 2. ხრიაპა (რუს) | 10 | 51 | 5.1 |
| 3. იასიკიავიჩუსი (ლიტ) | 11 | 51 | 4.6 |
| 4. რანიკო (ფინ) | 8 | 36 | 4.5 |
| 5. პარკერი (საფ) | 10 | 44 | 4.4 |
| 6. შაფარციკი (გერ) | 8 | 31 | 3.9 |
| 7. კალნიეტისი (ლიტ) | 11 | 42 | 3.8 |
| 8. კალატესი (საბ) | 11 | 42 | 3.8 |
| 9. მაკალები (მაკ) | 11 | 41 | 3.7 |
| 10. ცინცაძე (საქ) | 6 | 20 | 3.3 |

### ჩაჭრა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. კირილენკო (რუს) | 11 | 29 | 2.6 |
| 2. მაკალები (მაკ) | 11 | 23 | 2.1 |
| 3. ბატუმი (საფ) | 11 | 22 | 2.0 |
| 4. კოტი (ფინ) | 8 | 15 | 1.9 |
| 5. ვ. სტოიანოვსკი (მაკ) | 11 | 19 | 1.7 |
| 6. დრაგიჩი (სლო) | 11 | 18 | 1.6 |
| 7. კალატესი (საბ) | 11 | 18 | 1.6 |
| 8. კალდერონი (ესპ) | 11 | 18 | 1.6 |
| 9. პარკერი (საფ) | 10 | 16 | 1.6 |
| 10. ფერნანდესი (ესპ) | 11 | 17 | 1.5 |
| 11. მარკოიშვილი (საფ) | 8 | 12 | 1.5 |

### დაფარება

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ბეგიჩი (სლო) | 11 | 21 | 1.9 |
| 2. კამანი (გერ) | 8 | 14 | 1.8 |
| 3. პ. გასოლი (ესპ) | 10 | 17 | 1.7 |
| 4. აშიძი (თურ) | 8 | 12 | 1.5 |
| 5. მოზგოვი (რუს) | 11 | 16 | 1.5 |
| 6. იბაკა (ესპ) | 11 | 13 | 1.2 |
| 7. ვალანჩუნასი (ლიტ) | 10 | 11 | 1.1 |
| 8. კუფოსი (საბ) | 11 | 12 | 1.1 |
| 9. სამარძინსკი (მაკ) | 11 | 10 | 0.9 |
| 10. გეჩევსკი (მაკ) | 6 | 5 | 0.8 |
| 17. შენგელია (საქ) | 8 | 5 | 0.6 |

### შეცდომა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ტეოდოშიჩი (სერ) | 11 | 42 | 3.8 |
| 2. იასიკიავიჩუსი (ლიტ) | 11 | 33 | 3.0 |
| 3. სანიკიძე (საქ) | 8 | 24 | 3.0 |
| 4. მარკოიშვილი (საფ) | 8 | 23 | 2.9 |
| 5. დრაგიჩი (სლო) | 11 | 29 | 2.6 |
| 6. კამანი (გერ) | 8 | 21 | 2.6 |
| 7. ვალანჩუნასი (ლიტ) | 10 | 26 | 2.6 |
| 8. ხრიაპა (რუს) | 10 | 26 | 2.6 |
| 9. ლაკოვიჩი (სლო) | 11 | 28 | 2.5 |
| 10. რანიკო (ფინ) | 8 | 20 | 2.5 |

### პერსონალური

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ნოა (საფ) | 10 | 33 | 3.3 |
| 2. სონგაილა (ლიტ) | 11 | 36 | 3.3 |
| 3. ანტიჩი (მაკ) | 11 | 36 | 3.3 |
| 4. კოტი (ფინ) | 8 | 26 | 3.3 |
| 5. მარკოიშვილი (საფ) | 8 | 26 | 3.3 |
| 6. ლი (ფინ) | 8 | 25 | 3.1 |
| 7. შერმადინი (საქ) | 8 | 25 | 3.1 |
| 8. აშიძი (თურ) | 8 | 25 | 3.1 |
| 9. მაკალები (მაკ) | 11 | 34 | 3.1 |
| 10. კირილენკო (რუს) | 11 | 33 | 3.0 |

### თამაშიდან ტყორცნა (%)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. კრსტიჩი (სერ) | 10 | 56 | 93 | 60.2 |
| 2. კამანი (გერ) | 8 | 55 | 102 | 53.9 |
| 3. პ. გასოლი (ესპ) | 10 | 70 | 130 | 53.8 |
| 4. ბატუმი (საფ) | 11 | 53 | 99 | 53.5 |
| 5. სანიკიძე (საქ) | 8 | 36 | 68 | 52.9 |
| 6. სავანოვიჩი (სერ) | 11 | 56 | 111 | 50.5 |
| 7. ბურუსისი (საბ) | 11 | 46 | 93 | 49.5 |
| 8. კირილენკო (რუს) | 11 | 55 | 112 | 49.1 |
| 9. მაკალები (მაკ) | 11 | 79 | 168 | 47.0 |
| 10. ნავარო (ესპ) | 11 | 67 | 145 | 46.2 |

### 3-ქულიანი (%)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. ჟელაბალე (საფ) | 9 | 14 | 22 | 63.6 |
| 2. ბენცინგი (გერ) | 8 | 10 | 19 | 52.6 |
| 3. შვეტჰელმი (გერ) | 8 | 10 | 19 | 52.6 |
| 4. ფოცისი (საბ) | 11 | 20 | 39 | 51.3 |
| 5. ფრიძონი (რუს) | 11 | 20 | 41 | 48.8 |
| 6. ონანი (თურ) | 8 | 13 | 27 | 48.1 |
| 7. კეშელი (სერ) | 11 | 23 | 48 | 47.9 |
| 8. იასაიტისი (ლიტ) | 11 | 17 | 36 | 47.2 |
| 9. კოპონენი (ფინ) | 8 | 16 | 34 | 47.1 |
| 10. ჰუფი (ფინ) | 8 | 11 | 24 | 45.8 |
| 27. სანიკიძე (საქ) | 8 | 8 | 23 | 34.8 |

### საჯარიმო (%)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. ნოვიცკი (გერ) | 8 | 42 | 45 | 93.3 |
| 2. ცისისი (საბ) | 10 | 34 | 37 | 91.9 |
| 3. იასიკიავიჩუსი (ლიტ) | 11 | 33 | 36 | 91.7 |
| 4. ნავარო (ესპ) | 11 | 38 | 42 | 90.5 |
| 5. მაკალები (მაკ) | 11 | 64 | 75 | 85.3 |
| 6. ბატუმი (საფ) | 11 | 29 | 34 | 85.3 |
| 7. მ. გასოლი (ესპ) | 11 | 58 | 69 | 84.1 |
| 8. კოპონენი (ფინ) | 8 | 20 | 24 | 83.3 |
| 9. ბურუსისი (საბ) | 11 | 33 | 40 | 82.5 |
| 10. ნოა (საფ) | 10 | 26 | 32 | 81.3 |
| 21. სანიკიძე (საქ) | 8 | 16 | 24 | 66.7 |

## გუნდები

### ქულა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 11 | 937 | 85.2 |
| 2. ლიტვა | 11 | 898 | 81.6 |
| 3. საფრანგეთი | 11 | 876 | 79.6 |
| 4. სერბეთი | 11 | 861 | 78.3 |
| 5. რუსეთი | 11 | 816 | 74.2 |
| 6. გერმანია | 8 | 593 | 74.1 |
| 7. თურქეთი | 8 | 583 | 72.9 |
| 8. ფინეთი | 8 | 580 | 72.5 |
| 9. საბერძნეთი | 11 | 781 | 71.0 |
| 10. მაკედონია | 11 | 771 | 70.1 |
| 12. საქართველო | 8 | 548 | 68.5 |

### მოხსნა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ლიტვა | 11 | 429 | 39.0 |
| 2. ესპანეთი | 11 | 419 | 38.1 |
| 3. საქართველო | 8 | 301 | 37.6 |
| 4. თურქეთი | 8 | 297 | 37.1 |
| 5. სლოვენია | 11 | 400 | 36.4 |
| 6. რუსეთი | 11 | 390 | 35.5 |
| 7. გერმანია | 8 | 276 | 34.5 |
| 8. მაკედონია | 11 | 379 | 34.5 |
| 9. სერბეთი | 11 | 379 | 34.5 |
| 10. საბერძნეთი | 11 | 375 | 34.1 |

### პასი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 11 | 214 | 19.5 |
| 2. რუსეთი | 11 | 204 | 18.5 |
| 3. ლიტვა | 11 | 187 | 17.0 |
| 4. სერბეთი | 11 | 181 | 16.5 |
| 5. ფინეთი | 8 | 117 | 14.6 |
| 6. საბერძნეთი | 11 | 156 | 14.2 |
| 7. სლოვენია | 11 | 146 | 13.3 |
| 8. საფრანგეთი | 11 | 140 | 12.7 |
| 9. საქართველო | 8 | 101 | 12.6 |
| 10. თურქეთი | 8 | 96 | 12.0 |

### ჩაჭრა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 11 | 91 | 8.3 |
| 2. მაკედონია | 11 | 90 | 8.2 |
| 3. რუსეთი | 11 | 88 | 8.0 |
| 4. საფრანგეთი | 11 | 82 | 7.5 |
| 5. სლოვენია | 11 | 82 | 7.5 |
| 6. საბერძნეთი | 11 | 79 | 7.2 |
| 7. საქართველო | 8 | 48 | 6.0 |
| 8. თურქეთი | 8 | 42 | 5.3 |
| 9. ფინეთი | 8 | 41 | 5.1 |
| 10. ლიტვა | 11 | 52 | 4.7 |

### დაფარება

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 11 | 42 | 3.8 |
| 2. რუსეთი | 11 | 40 | 3.6 |
| 3. თურქეთი | 8 | 27 | 3.4 |
| 4. საბერძნეთი | 11 | 37 | 3.4 |
| 5. გერმანია | 8 | 21 | 2.6 |
| 6. სლოვენია | 11 | 28 | 2.5 |
| 7. საფრანგეთი | 11 | 25 | 2.3 |
| 8. ლიტვა | 11 | 23 | 2.1 |
| 9. მაკედონია | 11 | 20 | 1.8 |
| 10. საქართველო | 8 | 14 | 1.8 |

### შეცდომა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 8 | 146 | 18.3 |
| 2. რუსეთი | 11 | 161 | 14.6 |
| 3. ლიტვა | 11 | 160 | 14.5 |
| 4. სერბეთი | 11 | 154 | 14.0 |
| 5. სლოვენია | 11 | 145 | 13.2 |
| 6. საფრანგეთი | 11 | 143 | 13.0 |
| 7. საბერძნეთი | 11 | 140 | 12.7 |
| 8. ფინეთი | 8 | 101 | 12.6 |
| 9. გერმანია | 8 | 100 | 12.5 |
| 10. თურქეთი | 8 | 94 | 11.8 |

### პერსონალური

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ფინეთი | 8 | 192 | 24.0 |
| 2. რუსეთი | 11 | 240 | 21.8 |
| 3. თურქეთი | 8 | 174 | 21.8 |
| 4. გერმანია | 8 | 174 | 21.8 |
| 5. სერბეთი | 11 | 236 | 21.5 |
| 6. საქართველო | 8 | 171 | 21.4 |
| 7. საფრანგეთი | 11 | 234 | 21.3 |
| 8. სლოვენია | 11 | 232 | 21.1 |
| 9. ლიტვა | 11 | 231 | 21.0 |
| 10. საბერძნეთი | 11 | 227 | 20.6 |

### თამაშიდან ტყორცნა (%)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. ლიტვა | 11 | 337 | 663 | 50.8 |
| 2. საფრანგეთი | 11 | 323 | 663 | 48.7 |
| 3. რუსეთი | 11 | 309 | 644 | 48.0 |
| 4. ესპანეთი | 11 | 333 | 703 | 47.4 |
| 5. სერბეთი | 11 | 300 | 651 | 46.1 |
| 6. საქართველო | 8 | 209 | 454 | 46.0 |
| 7. გერმანია | 8 | 211 | 462 | 45.7 |
| 8. თურქეთი | 8 | 213 | 482 | 44.2 |
| 9. საბერძნეთი | 11 | 274 | 621 | 44.1 |
| 10. სლოვენია | 11 | 269 | 666 | 40.4 |

### 3-ქულიანი (%)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. ლიტვა | 11 | 68 | 171 | 39.8 |
| 2. გერმანია | 8 | 58 | 148 | 39.2 |
| 3. ფინეთი | 8 | 70 | 179 | 39.1 |
| 4. საფრანგეთი | 11 | 56 | 146 | 38.4 |
| 5. რუსეთი | 11 | 70 | 200 | 35.0 |
| 6. სერბეთი | 11 | 77 | 226 | 34.1 |
| 7. ესპანეთი | 11 | 70 | 211 | 33.2 |
| 8. მაკედონია | 11 | 80 | 271 | 29.5 |
| 9. საბერძნეთი | 11 | 62 | 212 | 29.2 |
| 10. სლოვენია | 11 | 77 | 271 | 28.4 |
| 11. საქართველო | 8 | 36 | 127 | 28.3 |

### საჯარიმო (%)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 11 | 174 | 214 | 81.3 |
| 2. ესპანეთი | 11 | 201 | 248 | 81.0 |
| 3. გერმანია | 8 | 113 | 141 | 80.1 |
| 4. საბერძნეთი | 11 | 171 | 215 | 79.5 |
| 5. სერბეთი | 11 | 184 | 234 | 78.6 |
| 6. მაკედონია | 11 | 165 | 211 | 78.2 |
| 7. ლიტვა | 11 | 156 | 208 | 75.0 |
| 8. ფინეთი | 8 | 110 | 159 | 69.2 |
| 9. სლოვენია | 11 | 140 | 209 | 67.0 |
| 10. რუსეთი | 11 | 128 | 196 | 65.3 |
| 12. საქართველო | 8 | 94 | 146 | 64.4 |



მეჰმეთ ოქური

# ისინი სამშობლოში დაბრუნდნენ

## კობის სამ მატჩში 800 ათასი აქლევენ

მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ კონტრაქტი გააფორმა ესპანეთის ნაკრების ერთ-ერთ ლიდერთან - **რუდი ფერნანდესთან**. ხელშეკრულება NBA-ში ლოკაუტის დასრულებამდე იქნება ძალაში, ამასთან, რუდის ევროპულ კარიერაზე „რეალს“ დარჩება უფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ კალათბურთელი ევროპაში გადაწყვეტს თამაშს, მან ეს მხოლოდ მადრიდში უნდა გააკეთოს.

გასული სეზონი ფერნანდესმა პორტლენდში გაატარა, სადაც საშუალოდ 8.6 ქულასა და 2.5 შედეგიან გადაცემას აგროვებდა. ამ ზაფხულს ესპანელი „დალას მავერიქსში“ გადავიდა და ლოკაუტის დასრულების შემდეგ სწორედ ჩემპიონის რიგებში დაბრუნდება.

■ ■ ■

NBA-ის კიდევ ერთი კალათბურთელი დაბრუნდა სამშობლოში. „იუტა ჯაზის“ თურქმა ცენტრმა **მეჰმეთ ოქურმა** ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა „თურქ ტელეკომთან“. ამ შემთხვევაშიც, ხელშეკრულება ლოკაუტის მსვლელობისას იქნება ძალაში. თუმცა კლუბის პრეზიდენტმა **გექჰანთ ბოზქურთმა** განაცხადა, რომ იმედი აქვს ოქური 2011-12 წლების სეზონის ბოლომდე დარჩება „ტელეკომის“ რიგებში.

■ ■ ■

ამასობაში, ცნობილი გახდა ბოლონიის „ვირტუსსა“ და **კობი ბრაიანტს** შორის მოლაპარაკებების დეტალები.

კლუბის მიერ გავრცელებულ პრეს-რელიზში წერია, რომ იტალიური გუნდი მზად არის 800 ათასი დოლარი გადაუხადოს ბრაიანტს „ვირტუსის“ მაისურით ჩატარებული სამი მატჩის სანაცვლოდ. ასე რომ, „ლოს ანჯელესის“ ლიდერი თითო მატჩისთვის დაახლოებით 270 ათასს გამოიმუშავებს.

■ ■ ■

ამერიკულმა პრესამ გაარკვია ლოკაუტის პერიოდში მიმდინარე მოლაპარაკებების დროს კლუბების მფლობელთა ზოგიერთი მოთხოვნის შესახებ.

რამდენიმე ძლიერი კლუბის მფლობელი აქტიურად იბრძვის მკაცრი სახელფასო ბიუჯეტის შემოღების გამო. ასეთი მოთხოვნის ძირითადი მოტივი შემოსავლების განაწილების სქემაა, რომელიც, მათი აზრით, ძალიან იმოქმედებს კლუბების ბიუჯეტზე.

იტყობინებიან, რომ მფლობელები მზად არიან სხვას გაუყონ გამომუშავებული თანხები, მაგრამ არა ასეთი შემოსავლების პირობებში. ამ სიტუაციიდან გამოსავალს კლუბების მეპატრონეები მკაცრ სახელფასო ლიმიტში ხედავენ.

ამ იდეის ერთ-ერთი მთავარი გამტარებელია „ფინიქს სანზის“ მფლობელი **რობერტ სარვერი**. იმავე ინიციატივას აქტიურად უჭერს მხარს „ბოსტონის“ მეპატრონე ვიკ გრუსბეკი.

სნუკერი. მასტერსის სერია

# პირველად ბრაზილიაში

სნუკერის გეოგრაფია თანდათან იზრდება და გასულ კვირას სპორტის ამ სახეობამ სამხრეთ ამერიკამდე მიაღწია, კერძოდ, ბრაზილიამდე. სწორედ ამ ქვეყანაში ჩატარდა პირველი სარეიტინგო ტურნირი, რომელსაც Brazil Masters უწოდეს. 16 მონაწილე სამ ქვეყანას წარმოადგენდა - 2 შოტლანდიელი, 3 ბრაზილიელი და 11 ინგლისელი. შემადგენლობა საკმაოდ ძლიერი იყო - ფლორიანაპოლისში ჩავიდნენ: **მარკ სელბი, პიტერ ებდონი, გრემ დოტი, შონ მერფი, სტივენ ჰენდრი** და სხვები. რა თქმა უნდა, პუბლიკა, პირველ რიგში, ბრაზილიის პირველ პროფესიონალ სნუკერისტს **იგორ ფიგუერედოს** უჭერდა მხარს. მის გარდა, ტურნირში მონაწილეობა მიიღო ორმა ადგილობრივმა მოყვარულმა - **სობრადინიუ დი დუეშმა** და **ნოელ როდრიგეშმა**.

ამ დუეტმა დაამტკიცა, რომ სნუკერის თამაში იცის, მაგრამ მერფისა და ჰენდრის წინააღმდეგ ჯამში ერთი ფრეიმი აიღო. ფიგუერედო კი იოლად დანებებას არ აპირებდა. პირველ მატჩში მან **ჯეიმი კოუპი** დაამარცხა - 4:2, მაგრამ დოტს ვერაფერი მოუხერხა, არადა, შანსი არსებობდა - 2:4. სხვათა შორის საკმაოდ დიდი ხანი ფიგუერედო ტურნირზე ყველაზე გრძელი სერიის ავტორი იყო - 114 ქულა.

მაყურებელი, რომელიც პირველ დღეებში არც ისე მრავლად იყო, მხურვალედ გულშემატკივრობდა თავისიანებს, მაგრამ ხშირად ზღვარს გადადიოდა - ყურადღებას არ აქცევდა მეტოქეთა შესანიშნავ დარტყმებს და რაც ყველაზე მეტად დაუშვებელია, სტუმართა შეცდომებს უკრავდა ტაშს. გარდა ამისა, ხშირად მაყურებელი ვერ აფასებდა რთულ და გათვლილ დაცვით დარტყმებს. რა თქმა უნდა, ბრაზილიური პუბლიკის მკაცრად განსჯა არ შეიძლება, რადგან ასეთი დონის სნუკერი მათ ქვეყანაში პირველად მივიდა და მაყურებელმა არ იცოდა მოქცევის წესები.

ბრაზილიური მასტერსის მთავარი ფავორიტი იყო სელბი, რომელმაც ერთი კვირის წინ შანხაიში იმარჯვა, როცა ფინალში გამოსტაცა მოგება **მარკ უილიამსს** - 10:9. სნუკერისტები, ჩოგბურთელებისგან განსხვავებით, მიჩვეულნი არ არიან ყოველ კვირას თამაშს, მით უმეტეს სხვადასხვა ქვეყანასა და სხვადასხვა კონტინენტზე. ბრაზილიაში სელბი შორს იყო ჩინური ფორმისგან, მაგრამ 0:2-დან 4:3 მოუგო **სტიუარტ ბინემს**. შემდეგ დღეს მისი მატჩი ისევ მივიდა საკონტროლო პარტიამდე, მაგრამ ამჯერად გამარჯვებული ებდონი გამოვიდა. აღსანიშნავია, რომ ტურნირის გრაფიკი საკმაოდ მკაცრი იყო - ოთხი წრის გავლა ოთხ დღეში, ამასთან, ნახევარფინალები და ფინალი ერთ დღეს.

სატურნირო ბადის ქვედა ნაწილში, ადრეულ სტადიებზე პრობლემა არ ჰქონიათ მერფისა და ჰენდრის. ორივენი ერთმანეთის წინააღმდეგ ნახევარფინალამდე ისე მივიდნენ, რომ მეტოქეებს თითო ფრეიმი დაუთმეს. მათ შეხვედრას მაყურებელი დიდი ინტერესით ელოდა, მაგრამ ბრძოლა მხოლოდ დასაწყისში იყო. მერფი პრაქტიკულად უშეცდომოდ თამაშობდა, სტივენს კი სიზუსტე ღალატობდა. მერფიმ 5:1 მოიგო და ფინალში გავიდა, სადაც მას დოტი ელოდა. მისი მატჩი ებდონთან ასევე დასაწყისში იყო თანაბარი, მაგრამ მეორე ნახევარში შოტლანდიელი აშკარად დომინირებდა, რთულ ბურთებს აგდებდა და დამსახურებულად მოიგო - 5:2.

ფინალმა არ გაამართლა მაყურებელთა მოლოდინი. მერფიმ ფანტასტიკური სნუკერი აჩვენა, მინიმალური რაოდენობის ტაქტიკური და სათამაშო შეცდომა დაუშვა, ბრწყინვალედ წაიყვანა სერიები და მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ 60 ქულა დააგროვებინა მოწინააღმდეგეს. შონმა ლამაზად დაასრულა ფინალი - ტურნირზე საუკეთესო ბრეიკი დააფიქსირა - 139 ქულა.

მომდევნო ტურნირი ამ კვირას მიმდინარეობს შეფილდში, ერთი კვირის შემდეგ კი სნუკერისტები პოლონეთში გადავლენ. ინგლისში პირველივე წრეში დიდ ინტერესს იწვევს **რონი ო'სალივანისა** და მარკ უილიამსის შეხვედრა, მესამე წრეში კი ისევ შეხვდებიან ერთმანეთს შონ მერფი და სტივენ ჰენდრი. ვარსკვლავები პოლონეთშიც ჩავლენ, მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ კვალიფიკაციაში ითამაშებს 13 (!) წლის უკრაინელი **ვლადისლავ ვიშნევსკი**.

**ბრაზილიის მასტერსი**

**ფლორიანაპოლისი. ბრაზილია**

15-18 სექტემბერი.
სარეიტინგო ტურნირი
**საპრიზო ფონდი**: 200 ათასი ფუნტი;
**გამარჯვებული**: 40 ათასი

**ფინალი**

გრემ დოტი (შოტლანდია)-შონ მერფი (ინგლისი) 0:5

**მატჩის მსვლელობა**: 4:93(81), 35:84, 21:72(54), 0:79(79), 0:139(139)

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



შონ მერფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# მეფე ფაბიანი დაემხო

კოპენჰაგენში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე პრესტიჟულ სახეობაში - დროზე განცალკევებით რბოლაში გათამაშდა ოქროს მედალი. გუშინდელი სტარტის წინ მთავარი კითხვა ასე ჟღერდა - **ფაბიან კანჩელარა** თუ **ტონი მარტინი?**

წინა წლებში კანჩელარა ფავორიტის რანგში ჩადიოდა პლანეტის პირველობაზე და მუდმივად გამარჯვებული გამოდიოდა, მაგრამ წელს შვეიცარიელს ფავორიტის სტატუსი აღარ ჰქონდა. საქმე ისაა, რომ მარტინმა ამ სეზონში პრაქტიკულად ყველა ინდივიდუალური რბოლა მოიგო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო - ტურ ალგარვე, პარიზი-ნიცა, ბასკეთის ტური, კრიტერიუმ დოფინე, ტურ დე ფრანსი, ვუელტა... ზოგიერთში მან სწორედ კანჩელარა ჩამოიტოვა უკან.

ექსპერტების ფრთხილი ვარაუდი გამართლდა - ფაბიანმა დათმო ჩემპიონის ტიტული. პირველივე საშუალედო ფინიშიდან დაიწყო მან გერმანელთან ჩამორჩენა, რომელმაც ბოლოს წუთი და 20 წამი შეადგინა. შვეიცარიელმა ვერცხლის მედალიც კი დაკარგა - ის ბრიტანელ **ბრედლი უიგინსს** ერგო.

26 წლის ტონი მარტინი კარიერაში პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და ეს მისი ბრწყინვალე სეზონის ბრწყინვალე დასასრული იყო. ამასთან, მარტინის ოქრო მეორეა ამ ჩემპიონატზე გერმანიისთვის. მანამდე ქალებს შორის განცალკევებითი რბოლა **იუდიტ არნდტმა** მოიგო.

**განცალკევებითი რბოლა**

**კაცები**

1. **ტონი მარტინი** (გერ) - 53:43.85; 2. **ბრედლი უიგინსი** (ბრიტ) - +1.15; 3. **ფაბიან კანჩელარა** (შვეიც) - +1.20; 4. **ბერტ გრაბში** (გერ) - +1.31; 5. **ჯეკ ბობრიჯი** (ავსტრა) - +2.13; 6. **რიჩი პორტი** (ავსტრა) - +2.29...

**ქალები**

1. **იუდიტ არნდტი** (გერ) - 37:07.38; 2. **ლინდა მელანი ვილუმსენი** (ზელ) - +0.21; 3. **ემა პული** (ბრიტ) - +0.24; 4. **ტარა ვიტერი** (კან) - +0.26; 5. **კლარა ჰიუზი** (კან) - +0.36; 6. **ელეონორა ვან დიიკი** (ჰოლ) - +0.38...



ტონი მარტინი

## ამბები

**ფორმულა 1**

### ტრაგედია ტრიუმფის შემდეგ

იტალიის გრანპრიზე „რედ ბულის“ პილოტის **სებასტიან ფეტელის** გამარჯვება ავსტრიული საჯინიბოს ერთ-ერთი თანამშრომლის სიკვდილით გაფერმკრთალდა. მონცაზე რბოლის შემდეგ გუნდი გამოეთხოვა **ერინ პეცელას**, რომელიც 31 წლის ასაკში კიბოთი გარდაიცვალა.

„ის ოთხი წლის განმავლობაში გუნდის ნაწილი იყო და დამარცხდა ამ საშინელ ავადმყოფობასთან უთანასწორო ბრძოლაში. იტალიაში გამარჯვება სწორედ პეცელას მივუძღვენით“, - განაცხადა „რედ ბულის“ შეფმა **კრისტიან ჰორნერმა.**

### ჰემილტონი სტილს არ შეიცვლის

„მაკლარენის“ პილოტი **ლუის ჰემილტონი** არ აპირებს თავისი აგრესიული მართვის სტილის შეცვლას. ბრიტანელს მიაჩნია, რომ ის ამისთვის ძალიან ახალგაზრდაა.

„ვფიქრობ, რისკზე წასვლა გამოარჩევს ყველაზე სწრაფ პილოტებს სხვებისგან. რა თქმა უნდა, უფრო ასაკოვანმა პილოტებმა, რომლებსაც ოჯახი და შვილები ჰყავთ, შეიძლება დაკარგონ ეს თვისება.

როცა დევიდ კულტჰარდს შვილი შეეძინა, მან მითხრა: „აღარ მინდა რისკზე წასვლა, რადგან დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ მომდევნო დღეს საკუთარ შვილს ვიხილავ“. და ეს სრულიად ბუნებრივია.

მაგრამ მე ჯერ ახალგაზრდა ვარ და არ შემიძლია იმის თქმა, როდის მეყოლება საკუთარი ოჯახი. ამ მომენტამდე ჯერ შორია“, - ამბობს ჰემილტონი.

**ბიატლონი**

### ბრინჯაოს ნაცვლად ვერცხლი

საფრანგეთის სათხილამურო სპორტის ფედერაციამ გამოაცხადა იმის შესახებ, რომ 7 ოქტომბერს ქალ ბიატლონისტთა ნაკრები **მარი დორენის, მარი-ლორ ბრიუნეს, სოფი ბუაიესა** და **ანაის ბესკონის** შემადგენლობით მსოფლიოს 2011 წლის ჩემპიონატის ვერცხლის მედლებს მიიღებს ესტაფეტაში გამოსვლისთვის.

ფრანგებისთვის ამ სინჯის მედლებს მას შემდეგ გადასცემენ, რაც დისკვალიფიკაცია მისცეს იმ რბოლაში მეორე ადგილზე გასულ უკრაინას. აგვისტოში ბიატლონის საერთაშორისო კავშირმა ერთი წლით დასაჯა უკრაინელი **ოქსანა ხვოსტენკო** აკრძალული პრეპარატის გამოყენებისთვის. შესაბამისად, მას და მის თანაგუნდელებს ხანტი-მანსიისკში მოპოვებული ვერცხლის მედლები ჩამოერთვათ.

**ოლიმპიზმი**

### ბრიტანეთი ოლიმპიელებს აგროვებს

ცნობილი გახდა ბრიტანეთის ოლიმპიური ნაკრების პირველი წევრების შესახებ. აფროსნობის ნაკრების მწვრთნელთა შტაბმა ოლიმპიადის 11 მონაწილის სია გამოაქვეყნა. მათ შორისაა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი **ბენ ეინსლი**, რომელიც ლონდონში მეოთხედ ეცდება „ფინის“ კლასში გამარჯვებას.

„შვებით ამოვისუნთქე, როცა გავიგე, რომ 2012 წლის თამაშებისთვის ნაკრებში შემიყვანეს. რა თქმა უნდა, წინა წლების გამოცდილება მეხმარებოდა, მაგრამ საშინაო თამაშებს კიდევ უფრო მეტი მღელვარება და ზეწოლა ახლავს თან“, - განაცხადა ეინსლიმ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2012**

**UNDER 17**

| | |
|---|---|
| შვედეთი-მოლდოვა | 3:0 |
| ბელგია-უელსი | 3:0 |
| შოტლანდია-სლოვენია | 1:2 |

**ინგლისი**

**ლიგის თასი. III რაუნდი**

| | |
|---|---|
| ბრაიტონი-ლივერპული | 1:2 |
| კარდიფი-ლესტერი | 2:2 პენ. 7:6 |
| ჩელსი-ფულჰემი | 0:0 პენ. 4:3 |
| მანჩესტერ სიტი-ბირმინგემი | 2:0 |
| საუთჰემპტონი-პრესტონი | 2:1 |
| ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი | 2:1 დ.დ. |

**იტალია**

| | |
|---|---|
| მილანი-უდინეზე | 1:1 |
| ჩეზენა-ლაციო | 1:2 |
| კიევო-ნაპოლი | 1:0 |
| ფიორენტინა-პარმა | 3:0 |
| ჯენოა-კატანია | 3:0 |
| იუვენტუსი-ბოლონია | 1:1 |
| ლეჩე-ატალანტა | 1:2 |
| პალერმო-კალიარი | 3:2 |

**სერია C1/B**

| | |
|---|---|
| კრემონეზე-კარარეზე | 3:0 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ატლეტიკო-სპორტინგი | 4:0 |
| მალაგა-ბილბაო | 1:0 |
| რასინგი-რეალი | 0:0 |
| რ. ვალეკანო-ლევანტე | 1:2 |
| ვალენსია-ბარსელონა | 2:2 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| აიაჩო-მონპელიე | 1:3 |
| კაენი-ლიონი | 1:0 |
| დიჟონი-ბრესტი | 1:0 |
| ლორიანტი-ოსერი | 1:1 |
| მარსელი-ევიანი | 2:0 |
| ნანსი-ვალანსი | 1:1 |
| პსჟ-ნიცა | 2:1 |
| სოშო-რენი | 2:6 |
| სტ. ეტიენი-ტულუზა | 1:1 |

**ჰოლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| ჰზს-ლისე | 2:3 |
| ჰილვერსუმი-ვაალვიკი | 0:3 |
| შევენინგენი-დენ ჰააგი | 1:3 |
| ვვსბ-პსვ ეინდჰოვენი | 0:8 |
| ნოორდვიკერჰაუტი-აიაქსი | 1:3 |
| არგონი-ალმერი | 0:2 |
| ბერკუმი-ვეენდამი | 2:0 |
| დე ტრეფერსი-ჰჰც | 3:2 |
| ეინდჰოვენი-ემენი | 3:1 |
| გენემუიდენი-ჰსც | 3:1 |
| სუიკი-ჰერაკლესი | 0:1 |
| უნა-ვოლენდამი | 1:3 |
| ცვალუვენი-ტვენტე | 1:8 |
| გრააფსხაპი-უტრეხტი | 1:1 პენ. 4:3 |

**ბელგიის თასი**

| | |
|---|---|
| ბეერსხოტი-მუსკრონი | 1:1 პენ. 4:3 |
| სტანდარდი-ჰოოგსტრატენი | 8:2 |
| ვარეგემი-რონსე | 6:0 |
| გენტი-რუზელარე | 4:0 |
| სერკლი-მეხელენი | 1:0 |
| დაინცე-გენკი | 2:6 |
| დესელი-ბრიუგე | 2:3 |
| ლიერსი-ტურნჰაუტი | 1:0 |
| ლოკერენი-ეუპენი | 3:0 |
| ოსტენდე-მეხელენი | 0:3 |
| ჰევერლე-რუპელი | 1:2 |
| სტ. ტრუიდენი-ვაასლანდი | 3:0 |
| ვესტერლო-ჯეანტსი | 1:0 |
| ლომელი-ანდერლეხტი | 0:4 |

**შოტლანდია**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| როსი-სელტიკი | 0:2 |
| ეირი-ჰართსი | 1:1 პენ. 4:1 |
| ფალკირკი-რეინჯერსი | 3:2 |

**დანიის თასი**

| | |
|---|---|
| მარინლისტი-ჰობრო | 1:4 |
| სვებოლე-სონდერიისკი | 0:1 |
| სვენდბორგი-როსკილდე | 1:1 პენ. 4:5 |
| ელიტი-ბრონდბიუ | 0:4 |
| ჰიორინგი-ნორდსილანდი | 0:2 |
| ნორდვესტი-ვიბორგი | 0:1 |
| რანდერსი-სილკებორგი | 1:2 დ.დ. |
| ვესტსილანდი-კოპენჰაგენი | 0:2 |

**ნორვეგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჰამ კამი-სტრომენი | 4:2 |
| ჰიონეფოსი-ბრინი | 1:1 |
| კონგსვინგერი-სანდნესი | 1:0 |

**ნორვეგიის თასი**

| | |
|---|---|
| ფრედრიკსტადი-ბრანი | 0:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ელფსბორგი-ჰელსინგბორგი | 3:2 |
| ჰალმსტადი-მალმიო | 1:5 |
| ნორჩოპინგი-გეფლე | 1:1 |
| სირინასკა-ერებრუ | 3:1 |
| ტრელებორგი-გაის | 0:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| იარო-კუოპიო | 1:1 |
| ჰიკ-ვაასა | 2:0 |
| ჰონკა-როვანიემი | 5:2 |
| მიუპა-ინტერი | 2:3 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ოულუ-ოპს | 6:2 |
| პოპა-ვიიკინგიტი | 1:5 |

**ავსტრიის თასი**

| | |
|---|---|
| ბად ვასლაუ-რაპიდი | 1:4 |
| კლაგენფიურტი-ზალცბურგი | 0:4 |
| რაიხენაუ-კაპფენბერგი | 2:1 დ.დ. |
| ალერჰაილიგენი-აუსტრია | 1:3 |
| ზალცბურ. A-მატერსბურ. | 1:1 პენ. 5:4 |
| ვაიცი-შტურმი | 0:4 |
| მარგარეტენი-ტიროლი | 0:3 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ბაზელი-ლოზანა | 6:0 |
| იანგ ბოიზი-ქსამაქსი | 4:1 |
| ციურიხი-თუნი | 0:0 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| ქსანტი-აეკ | 3:4 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ქარაბუქი-გალათასარაი | 1:1 |
| ანთალია-მერსინი | 1:2 |
| ესქისეჰირი-გენჩლერი | 0:0 |
| სამსუნი-ტრაბზონი | 1:1 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| ბრეი-უნივერსიტი | 4:0 |

**ჩეხეთის თასი**

| | |
|---|---|
| კუნიცე-იაბლონეცი | 4:6 |
| სეზიმოვო-სიგმა | 1:4 |
| პრევიშოვი-ლიბერეცი | 1:4 |
| ტეპლიცე-კარვინა | 1:0 |

**რუსეთის თასი**

| | |
|---|---|
| ტერეკი-ტორპედო (ვ) | 2:0 |
| ამკარი-რუბინი | 0:2 |
| დინამო (მ)-ანჟი | 1:0 დ.დ. |
| როსტოვი-ტომი | 3:1 |
| ლოკომოტივი-ლუჩ ენერგია | 1:0 |
| ზენიტი-დინამო (ბრ) | 2:0 |
| სპარტაკი-ვოლგა | 1:1 პენ. 5:6 |

**[illegible]**

| | |
|---|---|
| პუბლიკუმი-ოლიმპია | 0:0 |
| ნაფტა-ტრიგლავი | 1:0 |
| კოპერი-მურა | 0:0 |
| გორიცა-მარიბორი | 1:1 |

**ლატვია**

| | |
|---|---|
| ფკ იურმალა-მეტალურგსი | 1:4 |
| იეგლავა-იურმალა | 4:1 |
| ოლიმპსი-დაუგავა | 1:3 |
| სკონტო-გულბენე | 5:0 |

**მოლდოვა**

| | |
|---|---|
| ცსკა-სფინტული | 0:0 |
| აკადემია-ოლიმპია | 1:1 |
| მილსამი-შერიფი | 0:2 |
| ნისტრუ-ისკრა | 1:2 |
| ტირასპოლი-ზიმბრუ | 0:0 |
| დაჩა-კოსტულენი | 1:0 |

**ისრაელი**

| | |
|---|---|
| ირონი (რ-ჰ)-მაკაბი (თ-ა) | 3:1 |
| აშდოდი-მაკაბი (ფ-თ) | 1:3 |
| ჰაპოელი (ჰ)-ჰაპოელი (ა) | 2:4 |
| ჰაპოელი (ფ-თ)-ბნეი იეჰუდა | 0:1 |
| ირონი (რ-ლ)-ირონი (ქ-შ) | 1:1 |
| ჰაპოელი (თ-ა)-ჰაპოელი (ბ-შ) | 2:0 |
| მაკაბი (ნ)-ბეითარი | 1:1 |
| ბნეი საჰნინი-მაკაბი (ჰ) | 2:0 |

**არგენტინა**

| | |
|---|---|
| ველესი-სან ლორენსო | 1:2 |
| ატ. რაფაელა-ინდეპენდიენტე | 1:3 |

**კოლუმბია**

| | |
|---|---|
| იტაგუი-მილიონარიოსი | 2:1 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| სიბირი-ს. იულიაევი | 5:4 (ბ) |
| აკ ბარსი-ავტომობილისტი | 2:1 |
| ნეფტეხიმიკი-ტრაქტორი | 3:3 |
| ატლანტი-პოპრადი | 4:3 (ბ) |
| დინამო (მ)-ბარისი | 6:3 |
| დინამო (რ)-დინამო (მნ) | 2:3 (ბ) |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| საიპა-კალპა | 1:4 |
| იუვიასკიულა-ბლუზი | 2:1 (ო) |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| კარლოვი ვარი-პარდუბიცე | 3:7 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ბრინასი-ფრიოლუნდა | 0:2 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ბუქარესტი**

| | |
|---|---|
| რიბა-სტარაჩე | 6:1, 3:2 უარი |
| ანდრეევი-**სეპი** | 2:6, 6:3, 1:6 |
| ჩელა-სერა | 6:1, 6:0 |

**ATP. მეცი**

| | |
|---|---|
| კოლშრაიბერი-დასნიერი | 6:4, 7:6 |
| კუნიცინი-დე შეპერი | 7:6, 5:7, 6:4 |
| ჟ. მიულერი-პერი | 7:6, 6:4 |
| კლემანი-ლოდრა | 6:3, 6:4 |
| დოლგოპოლოვი-ბაღდატისი | 6:7, 7:6, 6:4 |
| რენავანი-**ლუბიჩიჩი** | 5:7, 5:7 |

**WTA. გუანგჯოუ**

| | |
|---|---|
| ჩანი-**უ. რადვანსკა** | 6:2, 2:6, 2:6 |
| მინელა-**გაიდოშოვა** | 6:4, 2:6, 3:6 |
| დიასი-**მარტიჩი** | 6:4, 2:6, 4:6 |
| ჟაო-**ლუჟანსკა** | 4:6, 6:2, 5:7 |
| **კირილენკო**-ბრემონი | 6:3, 6:1 |
| ჰსიე-**სხეპერსი** | 6:3, 6:7, 1:6 |
| **რიბარიკოვა**-რეზაი | 6:4, 6:1 |
| **ჟენგი**-ლერტჩეევაკარნი | 6:3, 7:5 |

**WTA. სეული**

| | |
|---|---|
| ბეგუ-**ზაკოპალოვა** | 1:6, 1:6 |
| **ციბულკოვა**-შვედოვა | 7:6 უარი |
| **კინგი**-ბარტოლი | 6:3, 7:5 |
| სუარეს ნავარო-**ჰერცოგი** | 3:6, 5:7 |

## TV პროგრამა

**21 სექტემბერი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
**11:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. VI ტურის მიმოხილვა.
**12:00** იტალიის ჩემპიონატი. IV ტური. იუვენტუსი-ბოლონია.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. IV ტური. მილანი-უდინეზე.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. VII ტური. კაენი-ლიონი.
**18:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXIV ტურის მიმოხილვა.
**18:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**19:00** არგენტინის ჩემპიონატი. VI ტური. რასინგი-ნიუელსი.
**21:00** არგენტინის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**22:45** იტალიის ჩემპიონატი. IV ტური. რომა-სიენა (LIVE).
**00:45** ინგლისის ლიგის თასი. III ეტაპი. ბრაიტონი-ლივერპული.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ბორუსია (მ).
**12:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. II წრე. ინდიან უელსი. აშშ.
**18:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-კატანია.
**20:00** მძლეოსნობა. IAAF-ის სერია - World Challenge. ბერლინი. გერმანია.
**22:10** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
**22:35** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/8 ფინალი. რაფაელ ნადალი-სომდევ დევარმანი. ინდიან უელსი. აშშ.

**GMG-სპორტი 2**

**16:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ბარსელონა.
**18:00** ჩოგბურთი. როლან გაროსი 2011.
**20:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-არსენალი.
**22:00** მხატვრული ტანვარჯიში.

**I არხი**

**17:00** წყალბურთი. ევროპის საკლუბო ჩემპიონატი. თბილისი. საქართველო (LIVE).
**18:30** წყალბურთი. ევროპის საკლუბო ჩემპიონატი. თბილისი. საქართველო (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**21:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-ხეტაფე (LIVE).
**23:55** ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-სარაგოსა (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**21:55** მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალები. საფრანგეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**17:55** ხელბურთი. მსოფლიოს თასი. ქალები. ესპანეთი-რუსეთი. დანია (LIVE).
**19:55** ხელბურთი. მსოფლიოს თასი. ქალები. ნორვეგია-რუმინეთი. დანია (LIVE).
**22:40** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-სიენა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**13:00** ATP-ის ტური. ბუქარესტი. რუმინეთი (LIVE).
**17:00** ATP-ის ტური. მეცი. საფრანგეთი (LIVE).
**20:00** ATP-ის ტური. მეცი. საფრანგეთი (LIVE).

**EUROSPORT**

**18:00** ზაფხულის ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შერეული ესტაფეტა. ნოვე მესტო. ჩეხეთი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1




# აბაზანა მილიონნახევრად

ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერის ქალიშვილმა - **ტამარა ექლსტოუნმა** უცნაური აბაზანა შეიძინა უცნაურ ფასად - 1.5 მილიონ დოლარად. ამ ნივთის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ აბაზანა გამოკვეთილია ამაზონის ტროპიკულ ტყეებში ნაპოვნი სამთო კრისტალისგან. ტამარამ კრისტალის აბაზანა ლონდონში საკუთარი სახლისთვის შეიძინა, რომლის ღირებულებაა 72 მილიონი დოლარი.

ბერნის ქალიშვილს არ ერიდება ასეთი დანახარჯების შესახებ ლაპარაკის. *„დიახ, მილიონზე მეტი დავხარჯე ჩემი აბაზანისთვის, სამაგიეროდ, ნაკლებს გადავიხდი საწოლში, ქალებში ან იატაკის საფარში. საქმე ისაა, რომ აბაზანაში ჩემი თავისუფალი დროის დიდ ნაწილს ვატარებ და ამიტომაც ღირდა ამ ფულის გადახდა“*, - განაცხადა ტამარამ.

მსოფლიოში სულ სამი ასეთი ეგზემპლარია. პირველი გაიყიდა 2008 წელს რუსეთში 858 763 დოლარად, მეორე Harrods-ისთვის შეიქმნა და მისი ფასი იყო 790 310 დოლარი. ახლა, მესამე უნიკალური აბაზანის მფლობელი გახდა ტამარა ექლსტოუნი.

ჰოკეი

# მოდანომ დაამთავრა

არ არის გამორიცხული, რომ 2012-13 წლების სეზონში ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ სტრუქტურა შეცვალოს. სავარაუდოდ, ცვლილებებს დღეს NHL-ის მმართველთა საბჭოს სხდომაზე მიიღებენ.

უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ დასავლეთის სამი კლუბი - „დეტროიტი“, „ნეშვილი“ და „კოლამბუსი“ აღმოსავლეთ კონფერენციაში გადაბარგებას ითხოვს.

„დეტროიტისთვის“ ეს არის „დიდი ექვსეულის“ გუნდებთან ხშირად შეხვედრის შესაძლებლობა, „ნეშვილისა“ და „კოლამბუსისთვის“ ფინანსური საკითხის მოგვარება, რადგან აღმოსავლეთში გადასვლის შემთხვევაში ეს კლუბები შეამცირებენ გადაფრენებზე გათვალისწინებულ ხარჯებს.

განიხილება 7-8-გუნდიანი ოთხი დივიზიონის შექმნის ვარიანტიც.

*„ვფიქრობ, წინ უნდა ვიაროთ და ყველა კლუბისთვის უფრო მოხერხებული კალენდარი შევქმნათ“*, - განაცხადა ლიგის კომისარმა **გერი ბეტმენმა**.

გარდა ამისა, უახლოეს დღეებში უნდა დაამტკიცონ მომავალი სეზონიდან „ვინიპეგ ჯეტსის“ გადასვლა ჩრდილო-დასავლეთ დივიზიონში. „ჯეტსი“ იქ „კოლორადოს“ ადგილს დაიკავებს, თავად „ეველანში“ კი წყნარი ოკეანის ხუთეულში მოხვდება „ფინიქსის“ ადგილას, რომლის ბედიც ჯერაც გაურკვეველია.

■ ■ ■

ლეგენდარულმა ამერიკელმა ჰოკეისტმა, 41 წლის **მაიკ მოდანომ** გუშინ ოფიციალურად გამოაცხადა კარიერის დასრულების შესახებ, არადა, ცოტა ხნის წინ ფიქრობდა მინიმუმ ერთი წლით კონტრაქტის გახანგრძლივებას.

გასული სეზონი მოდანომ „დეტროიტის“ შემადგენლობაში ჩაატარა, თუმცა ყოველთვის ვერ ხვდებოდა შემადგენლობაში და ჯამში 40 მატჩი ჩაატარა.

მოდანოს კარიერა ძირითადად „დალას სტარზს“ უკავშირდება - მაიკმა ამ კლუბში 20 სეზონი გაატარა და ლიგის ისტორიაში საუკეთესო ამერიკელი ბომბარდირი გახდა.

NHL-ში მოდანომ 1499 მატჩი ჩაატარა და 1374 (561+813) ქულა დააგროვა.

■ ■ ■

„პიტსბურგ პინგვინზის“ კაპიტანი **სიდნი კროსბი** კი კვლავაც აღდგენით პროცესს გადის. კანადელი ვარსკვლავი თავს უკეთ გრძნობს და კლუბის საწვრთნელ ბანაკში ემზადება.

თუმცა, როგორც იცით, მოთამაშეს ჯერჯერობით აკრძალული აქვს კონტაქტური ვარჯიშები. კროსბი ამბობს, რომ სავარაუდოდ, დააკლდება სეზონის პირველ მატჩებს.

*„მოხარული ვიქნებოდი მეთქვა, რომ სეზონის პირველ მატჩს ვითამაშებ, მაგრამ ეს ნაკლებად რეალურია. მიუხედავად ამისა, უნდა აღვნიშნო, რომ თავს კარგად ვგრძნობ“*, - განაცხადა კროსბიმ.




ჩოგბურთი

# ჩაკვეტაძე დუმაში

ქართული წარმოშობის რუსი ჩოგბურთელი **ანა ჩაკვეტაძე** პოლიტიკაში მიდის. მსოფლიო რეიტინგის ტოპ-ათეულის ყოფილი წევრი დეკემბერში დანიშნული დუმის არჩევნებში მონაწილეობისთვის ემზადება. ჩოგბურთელი პარტია - „სამართლიანი საქმის“ სიის პირველ სამეულში შეიყვანეს. როგორც 24 წლის ჩაკვეტაძე ამბობს, დუმაში მოხვედრის შემთხვევაში ბავშვთა სპორტის აღორძინებასა და ქალების უფლებების დაცვისთვის იბრძოლებს.

*„შემომთავაზეს პარტიის სიის პირველ სამეულში ადგილი და მეც მხარი დავუჭირე ამ ინიციატივას. ეს ახალი გამოცდილებაა ჩემთვის. მინდოდა ახალ საქმეში მეცადა ბედი - არა მხოლოდ სპორტში, არამედ პოლიტიკაში“*, - ამბობს ჩაკვეტაძე.

■ ■ ■

ამასობაში, UNICEF-მა ამერიკელი ჩოგბურთელი **სერენა უილიამსი** კეთილი ნების ელჩად დანიშნა. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი მონაწილეობას მიიღებს ნიუ იორკში UNICEF-ის რიგით მეორე სამიტში, რომელიც სოციალურ პრობლემებს მიეძღვნება.

*„სერენა უილიამსი მხოლოდ საჩოგბურთო ჩემპიონი არ არის. ის ჩემპიონია ბავშვებისთვის, აგრეთვე მათი უფლებების დამცველიც გახლავთ*, - განაცხადა UNICEF-ის აღმასრულებელმა დირექტორმა **ენტონი ლეიკმა**. - *მოხარული ვარ, რომ სერენა UNICEF-ს შეუერთდა. მოუთმენლად ველით ერთობლივ მუშაობას ბავშვების საკეთილდღეოდ“*.

შეგახსენებთ, რომ უმცროსი უილიამსისა და UNICEF-ის თანამშრომლობა 2006 წელს დაიწყო, როცა სპორტსმენი განაში ვიზიტით ჩავიდა. სერენა მხარს დაუჭერს UNICEF-ის მისიას აფრიკის ქვეყნებში განათლების დონის ასამაღლებლად, აგრეთვე მსგავსი პროგრამის განვითარებისთვის იზრუნებს აზიის ქვეყნებში.

*„მე მჯერა, რომ ყველა ბავშვი იმსახურებს საზოგადოებაში გასვლას*, - ამბობს უილიამსი. - *სიამოვნებით დავეხმარები UNICEF-ს იმაში, რომ ბავშვებმა ხარისხიანი განათლება მიიღონ და შემდეგ უკეთესი მომავალი შექმნან საკუთარი თავისთვის, ოჯახებისა და საზოგადოებისთვის“*.




# წილისყრა ბანგკოკში



გუშინ, ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში დევისის თასის 2012 წლის გათამაშების წილისყრა გაიმართა. წლევანდელი ტურნირის ფინალისტებს - ესპანეთსა და არგენტინას განსხვავებული იღბალი ერგოთ.

ესპანეთის ნაკრებს შინ მოუწევს შეხვედრა ყაზახეთის ნაკრებთან, არგენტინას კი რთული გასვლა ელის გერმანიის წინააღმდეგ. თუმცა სამხრეთამერიკელები ურთიერთშეხვედრებში 5:2-ს უგებენ ევროპელებს, ბოლო მატჩი კი შორეულ 1991 წელს 5:0 მოუგეს.

ყაზახებს კი წელს ჰქონდათ დებიუტი მსოფლიოს ჯგუფში და სენსაციურად გააღწიეს მეოთხედფინალში.

წესით, საინტერესო მატჩი უნდა გამოვიდეს შვეიცარიასა და აშშ-ის შორის, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ შვეიცარიელების რიგებში **როჯერ ფედერერი** ითამაშებს.

**წილისყრის შედეგები**

**ესპანეთი-ყაზახეთი**
**ავსტრია-რუსეთი**
**კანადა-საფრანგეთი**
**შვეიცარია-აშშ**
**ჩეხეთი-იტალია**
**სერბეთი-შვედეთი**
**იაპონია-ხორვატია**
**გერმანია-არგენტინა**

*მატჩები 10-12 თებერვალს გაიმართება*

# მუსტერი ოქტომბერში წავა

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ტომას მუსტერმა** განაცხადა, რომ საბოლოოდ კარიერას ოქტომბრის ბოლოს, ვენაში საშინაო ტურნირის შემდეგ დაასრულებს. შეგახსენებთ, რომ 43 წლის ავსტრიელი დიდ სპორტში 2010 წელს, 11-წლიანი შესვენების შემდეგ დაბრუნდა.

კარიერის განახლების მომენტიდან ტომასმა „ჩელენჯერის“ სერიის 18 ტურნირში ითამაშა და მხოლოდ ორი მატჩი მოიგო. ამჟამად ჩოგბურთელი 847-ე ადგილს იკავებს ATP-ის კლასიფიკაციაში.

*„შეუძლებელია მუდმივად გადავდო წასვლის მომენტი. მინდოდა ისევ მეთამაშა ჩოგბურთი სერიოზულ დონეზე და ეს მართლაც მომეწონა.*

*ვენის ტურნირი ბოლო იქნება ჩემთვის პროფესიულ დონეზე. შეიძლება კიდევ ვითამაშო მომავალ წელს რამდენიმე „ჩელენჯერი“, მაგრამ წერტილს სწორედ ოქტომბერში დავსვამ.*

*წელს დიდი ნაბიჯი გადავდგი წინ, მაგრამ ასაკი თავის დაღს ასვამს თამაშს. პირადად მე ვიცი, რომ თუ მონდომებით ვითამაშებ, შევძლებ კარგი ფორმის შენარჩუნებას, მაგრამ ოჯახი მყავს, თანაც ოდესღაც ძალა გამომელევა“*, - ამბობს მუსტერი სააგენტო „როიტერთან“ კომენტარში.

შეგახსენებთ, რომ ტომასი ავსტრიის ერთადერთი წარმომადგენელია, ვინც „დიდი სლემის“ ტურნირი მოიგო (როლან გაროსი 1995).




# შტიხი: ჩოგბურთელები წააგებენ

ცნობილი გერმანელი ჩოგბურთელი, უიმბლდონის 1991 წლის ჩემპიონი **მიხაელ შტიხი**, რომელიც ამჟამად ჰამბურგის ტურნირის დირექტორი გახლავთ, ATP-ის წამყვანი ჩოგბურთელების მოსალოდნელ გაფიცვას გამოეხმაურა. შტიხს მიაჩნია, რომ ვარსკვლავები ზედმეტს ითხოვენ, როცა სეზონის გადატვირთულ კალენდარზე ლაპარაკობენ.

*„მიურეი არც კი თამაშობს დევისის თასის ოთხივე რაუნდს. პრობლემა ტურნირებსა და ATP-ში არ არის - საქმე ჩოგბურთელებშია. იქნებ უკეთესი იყოს, რომ მათ მეტი დრო დაუთმონ მომზადებას და უკეთ აირჩიონ ტურნირები? ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამ ჩოგბურთელებს ნაკლები თამაში, მაგრამ მეტი ფულის მიღება უნდათ, თანაც კომფორტული გრაფიკით. ჩვენ ზღაპარში არ ვცხოვრობთ. ჩოგბურთი - მათი სამუშაოა და თუ ეს წესები მიიღეს, მაშინ კიდევაც უნდა მისდიონ მას.*

*ჩოგბურთელებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ გაფიცვის მოწყობის შემთხვევაში სამუშაოს დაკარგავენ, კარიერას გაიფუჭებენ და ჰონორარებს ველარ გამოიმუშავებენ. მოლაპარაკებების გამართვა შეიძლება, მაგრამ გაფიცვა - საუკეთესო გადაწყვეტილება არ არის“*, - ამბობს შტიხი ვებგვერდ Tennis.com-ზე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**